ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

# ილორი

www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№254 (313) 28 იანვარი – 4 თებერვალი 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ორგანო 30 თეთრი

# "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" დანაშაულებრივი ორგანიზაციაა

***მთავარი რედაქტორის გვერდი***

ავადსახსენებელი **"ვარდების რევოლუციის"** მოხდენის დღიდან დაახლოებით წელიწადნახევრის შემდეგ, როცა საეჭვო ვითარებაში დაიღუპა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, ყველასათვის ნათელი გახდა, რომ საქართველოს ხელისუფლებას სათავეში ედგნენ პირწავარდნილი სისხლის სამართლის დამნაშავე მიხეილ სააკაშვილი და მისი დანაშაულებრივი ბანდის წევრები, რომლებიც **"ერთგულად"** აგრძელებდნენ საქართველოს გასანადგურებლად საერთაშორისო თაღლითისა და პოლიტიკური ავანტიურისტის ედუარდ შევარდნაძის მიერ აღებულ პოლიტიკურ (სინამდვილეში კი ანტიქართულ და ანტიპოლიტიკურ) კურსს. ახლა კი ნათელი ხდება, რომ ზურაბ ჟვანია შეეწირა მიხეილ სააკაშვილის ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის მხილების საფრთხეს და მისმა მკვლელობამ სათავე დაუდო უამრავი სხვა უდანაშაულო ადამიანის მკვლელობებს, რომელთა ორგანიზატორებიც იყვნენ სააკაშვილი და მისი დამქაშები. დიახ, ულმობელი სიკვდილი დათარეშობდა საქართველოს ყველა კუთხეში, ზეიმი ედგათ სატანურ ძალებს, გაჩუმდა საქვეყნოდ გამოცხადებული ტერორისაგან უზომოდ დაშინებული ინტელიგენცია, წინა პლანზე გამოვიდნენ მეძავები, მკვლელები, პოლიტიკური ავანტიურისტები, ხაზინის ქურდები...

ამ ვაქხანალიის დასაწყისი გახლდათ ცნობილი მკვლელი-მხედრიონელის ნიკა რურუას დანიშვნა საქართველოს კულტურის მინისტრად და ცნობილი მკვლელისა და არაკაცის, ამჟამად პარლამენტარ გიორგი ბარამიძის მიერ სვანეთში მოწყობილი სისხლიანი ეკზეკუციის წახალისება, რამაც აფრასიძეების ოჯახის უდანაშაულო წევრების სიცოცხლე შეიწირა. ეს იმის **"ნათელი"** სიგნალი გახლდათ, რომ ქვეყანაში გადამწყვეტ ფაზაში შევიდა ხელისუფლების მიერ დეკლარირებული ძალადობა და ტერორი!

შემდეგ მაღალ თანამდებობაზე (შიდა ქართლის გუბერნატორად) აღზევებულმა ირაკლი ოქრუაშვილმა აიკიდა მხარზე ავტომატი და მალულად ესხმოდა თავს სასტუმროებსა თუ სხვა ობიექტებს, დამნაშავე პირების გამოსავლენად. და ეს ყველაფერი კეთდებოდა თვითნებურად, საკუთარი სურვილის მიხედვით, ყოველგვარი სანქციისა და იურიდიული ლეგიტიმაციის გარეშე!

ქვეყანაში განუკითხაობის **"სურნელი"** დატრიალდა...

ყველაფერი წინასწარ, **"დაშნაკური"** სიზუსტით იყო გათვლილი – შევარდნაძის მიერ აღზრდილ-დავაჟკაცებულმა, მოქკავშირის საშოში დაბადებულმა ნაცებმა და მათმა დორბლიანმა ბელადმა კარგად იცოდნენ, რომ ყველაზე იოლად სამართავი დაშინებული საზოგადოებაა, და ამიტომაც, საკუთარი მოღვაწეობა ქართველი ხალხის დაშინებითა და დათრგუნვით დაიწყეს!

შემდეგ იყო მშვიდობიანი დემონსტრაციების დარბევა, სანდრო გირგვლიანის მხეცური მკვლელობა, ქუჩებში დაუნდობლად ჩახოცილი უდანაშაულო ახალგაზრდები, ტელეარხ **"იმედის"** დატერორება და კანონიერი მეპატრონისათვის წართმევა, კორუფცია და ჩინოვნიკთა განუკითხაობა, თავხედურად გაყალბებული საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო არჩევნები, 2008 წლის აგვისტოს პროვოკაციული ომი, რამაც ლამის გაანახევრა საქართველო, ბიზნესის დაწიოკება, ხურჩის ტერაქტი, ლაფანყურის **"სპეცოპერაცია"**, საპატიმროებში და პოლიციის უწყებებში ადამიანების წამება...

და ყველა ეს კანონდარღვევა, რომელიც უშუალოდ ნაციონალებისა და მიხეილ სააკაშვილის ამფსონების მონაწილეობით თუ დაკვეთით ხდებოდა, გახლდათ საერთაშორისო დანაშაული, რომელიც მეტად მკაცრ სასჯელს იმსახურებს! ნებისმიერი დამნაშავე მის მიერ ჩადენილ ამგვარ მხეცობებს ერთი სიტყვით მაინც მოინანიებდა, მაგრამ ნაცები და სააკაშვილი იმდენად უზნეოები და სულგამომპალები არიან, რომ კიდევ აქეთ გვასწავლიან ჭკუას, ცოფიანი ძაღლებივით იღრინებიან და აქეთ გვემუქრებიან: ქვეყნის ხელისუფლებაში რომ დავბრუნდებით, ყველას მკაცრად გაგებინებთ პასუხს თქვენს უსამართლობაზეო!

ყველაზე ცინიკური კი ის გახლავთ, რომ ყველასაგან მოძულებული ნაცები დღეს ურცხვად უყიჟინებენ ხელისუფლებაში მოსულ **"ქართული ოცნების"** მესვეურებს, რომ ჩვენს მიერ აშენებულ ქვეყანას ანგრევთო. თუ რა **"აგვიშენეს"** ნაცებმა, ცხრა წელი საკუთარ ტყავზე ვცდიდით და არც იმას გამოვრიცხავთ, რომ შეცდომები დღევანდელ ხელისუფლებასაც ჰქონდეს, მაგრამ ეს გახლავთ ადამიანებისათვის დამახასიათებელი შეცდომა და არა წინასწარგანზრახული სიბოროტე, რითაც **"ნაცები"** წლების განმავლობაში ურყევდნენ ჩვენს ქვეყანას სახელმწიფოებრიობის ბურჯს, მორალს, ზნეობასა და რელიგიურობას!

როცა ტელეკომპანია "იმედთან" დაკავშირებით ბადრი პატარკაციშვილის ოჯახსა და წინა მთავრობას შორის გაფორმებულ დოკუმენტს გრიფი "საიდუმლო" მოეხსნა და მემორანდუმის ინგლისური ვერსია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნდა, ადამიანები კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, თუ როგორი თავხედობით ძარცვავდა ხალხს სააკაშვილის აღვირახსნილი ხელისუფლება.

არა, ბატონებო, ავადსახსენებელი **"ნაცები"** არ შეიძლება იყვნენ ეთნიკური ქართველები, რადგან ჩვენს ჯიშსა და ჯილაგს არ ახასიათებს იმგვარი სიფლიდე, უტიფრობა და უზნეობა, რითაც ასე გამოირჩევიან სააკაშვილი და მისი თანამზრახველები! ყველა ეს სიმახინჯე დამახასიათებელია შუასაუკუნეობრივი აზიური ბნელეთისათვის, რისგანაც ვერა და ვერ დაუღწევიათ თავი სააკაშვილებს, დარჩიაშვილებს, ვაშაძეებს, თაქთაქიშვილებს, კანდელაკებს, კუბლაშვილებს, მინაშვილებს, ბარამიძეებს, მაჭავარიანებს, საყვარელიძეებს, ჯაფარიძეებს, თევზაძეებს, პაიჭაძეებს, ბოკუჩავებს და მათ იმ ევროამერიკელ ამფსონებს, რომლებიც ფულს დახარბებულები მიდიან ყოველნაირ სიყალბეზე, გზას უბნევენ ჭეშმარიტებაში გარკვევის მსურველ შეუბღალავ საზოგადოებას და სინდისის ქენჯნის გარეშე ასაღებელ თეთრს შავად და – პირიქით! დიახ, ეს ის ჰომოსექსუალი, ბისექსუალი, ლესბოსელი თუ ურჯულო ევროამერიკელები არიან, რომლებიც უარს არ იტყვიან, რომ დიდი ფულის სანაცვლოდ საკუთარი მეუღლეც კი ჩაგიგორონ ლოგინში. ამ ადამიანებისათვის რომ წმინდა არაფერი გახლავთ, ეს არაერთგზის დადასტურდა!

ახლახან დადასტურდა კიდევ ერთი ამაზრზენი ფაქტი – თუ როგორ იყო დაკავშირებული თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი საერთაშორისო დანაშაულებრივ სამყაროსთან. კერძოდ, დადგინდა, თუ სად და რომელ ოფშორულ კუნძულებზე დარეგისტრირებულ კომპანიებში ილექებოდა ამჟამად საფრანგეთის ციხეში მჯდომი კეზერაშვილის მიერ კორუფციული საქმიანობით მიღებული დიდძალი ფული, დადგინდა ისიც, რომ სწორედ ამ კომპანიების მეშვეობით შემოდიოდა საქართველოში უკვე გათეთრებული ფული, რომელიც უცხოური კაპიტალის სახელით ფიქსირდებოდა, რაც სახელმწიფოს ეთვლებოდა ინვესტიციის გაზრდაში, დავით კეზერაშვილის მიერ ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული კომპანიები ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ ტენდერებში, თავდაცვის თუ მასმედიის **"განვითარების"** მიმართულებით, მათ შორის იარაღის შეძენა-გაყიდვის ოპერაციებში. სააკაშვილსა და კეზერაშვილს იარაღით უკანონო ვაჭრობიდან **"შავ სალაროში"** მილიარდობით დოლარები რჩებოდათ და ეს ფული ირიცხებოდა მთლიანად თავისუფალ სავაჭრო ზონებში დარეგისტრირებულ ოფშორულ კომპანიებში.

ეს ის კეზერაშვილი გახლავთ, რომელიც სააკაშვილის მიერ 2008 წლის აგვისტოში რუსეთის წინააღმდეგ ომის დაწყებისას სადღაც წყნარი ოკეანის კუნძულებზე ისვენებდა და ძლივს მოძებნეს კოლეგებმა, მაგრამ მისი ჩამოსვლის დროს უკვე ყველაფერი **"გაწერილი"** იყო – დაშნაკური გეგმის თანახმად სააკაშვილმა იურიდიულად გააფორმა საქართველოსაგან აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ჩამოჭრა!

დიახ, ეს ის დავით კეზერაშვილი გახლავთ, რომელიც ნაქურდალი ფულით ამარაგებდა ნაციონალების ყოველი დონის საარჩევნო კომპანიას და არამზადა ნაციონალებსა და მათ დორბლიან ბელადს ჰყოფნით თავხედობა, რომ სარეკომენდაციო წერილებით მიმართონ საფრანგეთის სასამართლოს კეზერაშვილის პატიმრობიდან განთავისუფლების თაობაზე!

მაგრამ, რა ჰქნან, უჭირთ ნაციონალებს, ძალიან უჭირთ და ამიტომაც მიძვრებიან ყველა ხვრელში გაწყალებული სპერმატოზოიდებივით, რადგან იციან, რომ თუ დავით კეზერაშვილი პირს მოაღებს და გამოძიებას ნაცების მიერ ჩადენილ ყველა საერთაშორისო დანაშაულს ჩაუკაკლავს, სააკაშვილსა და მის თანამზრახველ ნაცებს ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე წარსდგომა არ ასცდებათ.

ამიტომაც მიაჩნია ქართული საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილს, რომ ნაციონალები არიან არა წესიერი ოპოზიციონერები, არამედ რევანშისტები, რომელთაც მათდა მოულოდნელად დაჰკარგეს ძალაუფლება და ახლა მოსალოდნელი სასჯელის შიშით ატანილები კადრულობენ უკადრისს.

ცინიზმია, როცა ნაპროკურორალი დავით საყვარელიძე, რომლის თანდასწრებითა და მონაწილეობით აწამებდნენ უდანაშაულო ადამიანებს და ციხეებში ჰყრიდნენ მათ, ახალ ხელისუფლებას კანონდარღვევებზე უყიჟინებს, ცინიზმია, როცა ბოკუჩავა სხვებს მიანიშნებს მაღალ ზნეობასა და მორალზე, ცინიზმია, როცა ნაცი არაკაცები სამართლიანობაზე ყბედობენ...

გაბანდიტებულმა სააკაშვილმა ისიც კი იკადრა, რომ თბილისის რეზიდენციაში ბუნებრივი აირი მრიცხველის გვერდის ავლით შეიყვანა და ბევრ აირს იპარავდა. ვიღაცეებმა ეს გაუგებრობად ჩათვალეს, სინამდვილეში კი საქმე ბევრად უფრო სერიოზულადაა, ვიდრე მიამიტ ქართველებს გვგონია. სააკაშვილმა წინასწარ ეშმაკურად გათვლილი ისეთი ჭკვიანური სომხური სვლა გააკეთა, რომ უამრავ ქართველს შეშურდება. გაიხსენეთ, თუ როგორ დაისაკუთრა ედუარდ შევარდნაძემ კრწანისის საპრეზიდენტო რეზიდენცია მისი **"ჩამოლაბორანტების"** შემდეგ. ახლა ისიც გაიხსენეთ, თუ როგორი სიჯიუტით გადაჰქონდა პარლამენტი და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურები სააკაშვილის თბილისიდან ქუთაისში, რათა ქვეყნის დედაქალაქი დასავლეთ საქართველოში გადაეტანა და აღმოსავლეთ საქართველო სომხებისა და სხვა არაქართველებისათვის დაეთმო. ეს გახლდათ მრავალწლიანი სომხურ-დაშნაკური პროგრამა, რომლის რეალიზებას ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში გეგმავდნენ სტეფანე შაუმიანი და აღასი ხანჯიანი, მაგრამ ჩანაფიქრის განხორციელების შანსი მხოლოდ საქართველოს სათავეში პირწავარდნილი დაშნაკის მიშა სააკიანცის მოყვანის შემდეგ გაუჩნდათ. და როცა დედაქალაქი ქუთაისში გადაინაცვლებდა, თბილისის რეზიდენცია ფუნქციას დაჰკარგავდა და სააკაშვილიც, მისი მასწავლებლის ედუარდ შევარდნაძის დარად, თბილისის რეზიდენციის პრივატიზებას მოახდენდა, გახსნიდა იქ სასტუმროს ან ბიზნესცენტრს და უფასო გაზიც გარანტირებული ექნებოდა!

ნეტა ამაზე თუ დაფიქრებულა ზოგიერთი ტვინგაყინული დარდიმანდი ქართველი, რომელიც სააკაშვილის მიერ გაზის ქურდობას გაუგებრობას და სისულელეს რომ უწოდებს?!

როდემდე უნდა ვიყოთ ქართველები ამგვარი მიამიტები და გაგრიები?

როდის უნდა ვირწმუნოთ საბოლოოდ, რომ ნაციონალური მოძრაობა არის დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომელსაც არა აქვს ლეგალურად არსებობისა და **"მოღვაწეობის"** იურიდიული და მორალური უფლება. მე სულაც არა ვარ იმის მომხრე, რომ ნაციონალებს ქვებით ვსდიოთ ქუჩებში და თავები დავუხეთქოთ, როგორც ამას თავად აკეთებდნენ. შეგახსენებთ მხოლოდ ხევისბერი გოჩას წყევლას, რომელიც ბევრად უფრო ესადაგება ნაციონალთა და მათი დორბლიანი ბელადის უბადრუკ მოღალატეობრივ ყოფას, ვიდრე სრულიად უდანაშაულო გუგუას: **"...დღეის შემდეგ არც ვის აქვს ნება მას მიაწოდოს ცეცხლი, თუ უცეცხლოდ ნახა... ყველას სახლის კარი დახშული უნდა იყოს მისთვის, ყველა დამუნჯებული უნდა იქმნეს მისთვის პასუხის მისაცემად, ყველა დაყრუებულ უნდა იყოს მისი ხვეწნის გასაგებად... ხევის ჯვარ-ანგელოზნო, თემის პირის გამტეხს და გადამბრუნებელს..."**

საქართველოს სამტროდ შემოკედლებულმა ყველა უცხოტომელმა თუ გულით გადამთიელმა ქართველმა უნდა იცოდეს, რომ ავკაცობა არ შერჩება და ხალხის წინაშე მოუწევს პასუხისგება!

მართალია ნაციონალური მოძრაობა თანდათან ჰკარგავს ძალას და მის შხამსა და ბალღამს ძველებური ჭრა აღარა აქვს, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ახერხებენ ზიანი მიაყენონ და დაამუხრუჭონ ქვეყანაში მიმდინარე აღმშენებლობითი პროცესები, საჩივარს საჩივარზე აგზავნიან მათსავით სულწაწყმედილ ევროპელ ჩინოვნიკებთან, რომ თითქოს მათზე პოლიტიკური დევნა ხორციელდება, სისხლის სამართლის პირწავარდნილი დამნაშავეები მერაბიშვილი, ახალაია, კეზერაშვილი, უგულავა თუ სხვა არაკაცები ლამის წმინდანებად წარმოგვიდგინონ, კორუფციას დემოკრატიად ასაღებენ, სიძვას – სახელმწიფო პოლიტიკის ქმედით ნაწილად, ძალმომრეობას – აღმშენებლობით პროცესად, უსამართლობას – რეფორმად...

ედუარდ შევარდნაძის აღზრდილებისაგან სხვა არაფერ სიკეთეს უნდა ველოდოთ, რადგან, როგორც ამბობენ, **"ვაშლი ვაშლის ხიდან შორს არ ეცემა"**, დამპალი ვაშლი კი დროზე უნდა მოაშორო საღ ვაშლებს, რათა ისინიც არ დაჭიანდნენ.

ამიტომ არის აუცილებელი ნაციონალთა სასწრაფოდ იზოლირება საზოგადოების ჯანსაღი ნაწილისაგან!

**როლანდ ჯალაღანია**

# ღია წერილი გულბაათ რცხილაძეს

შვილო, გულბაათ, მე, ქართველ კაცს, აფხაზეთიდან ჩვენი ვაიპოლიტიკოსების მიერ გამოგდებულს და არა არძინბას მიერ დევნილს, გამიხარდა გაზეთ **"ილორ-ში"** რომ წავიკითხე თქვენი წერილი, რომელიც მთლიანად ემთხვევა ჩემსა და ყველა საღად მოაზროვნე ქართველის აზრს. მე, პატიოსან, მშრომელ, პატრიოტ გლეხკაცს გული მტკივა იმაზე, რომ ამერიკის აგენტებმა – სააკაშვილებმა, ბოკერიებმა, ბარამიძეებმა – აგვირიეს გზა და კვალი, უსინდისოდ მიაფურთხეს ჩვენი ხალხის გმირულ ისტორიას და დაანგრიეს წარსულში საათივით აწყობილი, აყვავებული, მშენებარე საქართველო. მე იმედი მაქვს, რომ არენაზე გამოჩნდებიან თქვენისთანა საღად მოაზროვნენი და, ბოლოს და ბოლოს, ჩვენც გვეშველება.

შვილო, გულბაათ, მართალი თქვა ვლადიმერ პუტინმა, რომ, საბჭოთა კავშირის დანგრევა იყო დიდი გეოპოლიტიკური კატასტროფა ყველა ჩვენთაგანისათვისო. მე, ყოფილ მოწინავე მეჩაიეს, კარგად მახსოვს, ერთმანეთს ჩახუტებული რომ ვცხოვრობდით აფხაზები და ქართველები. ჩვენ არ ვიცოდით რა იყო სიძულვილი, შეიარაღებული დაპირისპირება. ბედნიერი ცხოვრება გვქონდა, თითქმის ყველაფერი უფასო იყო – სწავლა,-განათლება, მკურნალობა, დასვენება და სხვა სოციალური მომსახურეობები. არავინ იცოდა რა იყო უმუშევრობა. პირიქით, ქვეყანა მუშახელის დეფიციტს განიცდიდა, ჩვენთან სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოდიოდნენ სამუშაოდ. დღეს კი პირიქით, საზღვარგარეთ გარბიან კაცები, ქალები, ბავშვები ლუკმა პურის საშოვნად. გულსატკენია ის, რომ დღეს დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოში უფულო კაცი განწირულია. მაგრამ სად უნდა იშოვნოს კაცმა ეს **"ფარა"**? ფული რომ გქონდეს, მგელი უნდა იყო, მგელზე უფრო მგელი. დღეს პატიოსან მშრომელ კაცს ჩვენთან უჭირს ცხოვრება, ალბათ ამიტომაც, დღეს გახშირებულია თვითმკვლელობა, ნაკლებია მშობიარობა და სხვა. შვილო, გულბაათ, მე 80 წელს გადაცილებულ გლეხს კარგად მახსოვს, როცა კანონი კანონობდა, უფროსი უფროსობდა, უმცროსი უმცროსობდა, ახალგაზრდა მოხუცს ადგილს უთმობდა, ადამიანს ადამიანურად ეპყრობოდნენ, საზოგადოებაში პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა იყო. როგორ შეიძლება გადააფურთხო წარსულ ეპოქას, რომელმაც შობა უამრავი საქვეყნოდ ცნობილი ადამიანი, მეცნიერები, ხელოვნებისა და კულტურის კორიფეები, ვისი ნამოღვაწარითაც ვსიამოვნებთ, სული გვიდგას დღესაც. 25 წელია ერთი კინოფილმი არ გადაუღიათ, თავი მოგვაბეზრა მექსიკურმა და თურქულმა სერიალებმა. ხანდახან გამოჩნდება ქართული ფილმი, მაგრამ ბოლომდე მას ვერ უყურებ, რადგან ნახევარი დრო ნერვების სამშლელ და არაფრისმთქმელ რეკლამებს ეთმობა.

შვილო, გულბაათ, ჩემთვის ყველაზე გულსატკენი ისაა, რომ დედიკოებისა და მამიკოების მიერ ოთხკედელშუა, ფუფუნებაში გამოზრდილი გაბღენძილი ახალგაზრდები შეურაცხყოფენ სტალინის სახელს. განა ვანდალიზმი არ იყო გორში სტალინის ძეგლის ქურდულად აღება? ქუთაისში ააფეთქეს გმირთა მემორიალი რომელსაც დედა-შვილის სიცოცხლე შეეწირა. საქართველოში აიკრძალა პუშკინის ენა, დაიხურა რუსული სკოლები. დღეს ზუგდიდში რუსულ ენაზე მთარგმნელს ვერ იშოვნი. ასეთი რამე ფაშისტურ გერმანიას არ ჩაუდენია. აი, საით მივყავართ სააკაშვილისეულ ანტირუსულ ისტერიას. ხალხნო, უკიდეგანო, მდიდარ რუსეთს უჩვენოდ არაფერი დააკლდება, ჩვენ კი ურუსეთოდ გაგვიჭირდება. ფაქტი სახეზეა – გულსატკენია ის, რომ ამერიკის კოლონიად ქცეულ საქართველოს პრაქტიკულად მართავს რიჩარდ ნორლანდი, მის წინაშე ივანიშვილიც კი უძლურია. ძალიან რთულ სიტუაციაშია ისედაც პოლიტიკურად ჭრელი **"ქართული ოცნება"**. მე, მშვიდობისმოყვარე კაცს, მსურს შევახსენო კომპეტენტურ პირებს: გთხოვთ, ნუ ელაპარაკებით იარაღის ენით დიდ რუსეთს, კრემლს უკან ვერ დაახევინებ მათ სამხედრო ტექნიკასთან შედარებით სათამაშო **"დიდგორითა"** და **"ლაზიკით"**. გთხოვთ, საქართველოს ნუ გადავაქცევთ ზეძლიერი სახელმწიფოების საჯილდაო პოლიგონად. ამერიკელებს სულაც არ ადარდებთ მშიერი ქართველის ბედი, მათ მხოლოდ თავის სტრატეგიული ინტერესი აწუხებთ. ჩვენ, გეორგიანელებს, არაფრად გვჭირდება უბედურების მომტანი ტანკები, ავტომატები... ჩვენ გვჭირდება მშვიდობა, მდიდარი სოფელი, ტრაქტორები და ყველასათვის მისაწვდომი მდიდარი რუსული ბაზარი. ჩემო გზააბნეულო ქართველებო, გონს მოდით, ერთმორწმუნე კეთილი რუსეთი და მისი პრეზიდენტი ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინი არ გახლავთ ჩვენი მტერი. გთხოვთ დაუფიქრებლად ნუ ვაიძულებთ ვ. პუტინს, ჩვენს წინააღმდეგ, მიიღოს რადიკალური ზომები. ნება მომეცით მოგიყვანოთ კეთილი გულით მისი ნათქვამი:

„Грузинский народ самый красивый, самый талантливый народ, для России ближе Грузинов нет ни кого, по культуре, по вере и т.д."

ვერ გამიგია, რას ვერჩით ამ ადამიანს. გთხოვთ, ნუ ვიყურებით დასავლეთისკენ, ნუ ვატყუებთ ხალხს. რუსეთის გვერდის ავლით ვერც **ნატო**-ში შევალთ, ვერც საშინაო და საგარეო გლობალურ საკითხებს მოვაგვარებთ. მით უმეტეს ტერიტორიულს. ნათქვამია: **„ნუ დავკარგავთ ძველსა გზასა, ძველსა ჩვენსა მეგობარსა"**-ო.

შვილო, გულბაათ, მე, აფხაზეთიდან დევნილს, ბევრი მაქვს სათქმელი, მაგრამ ყველაზე მეტად აფხაზეთი მტკივა, რისი მოგვარებაც რუსეთის კეთილი ნების გარეშე გამორიცხულია. მე გული მტკივა იმაზე, რომ მრავალი ქართველი პოლიტიკოსი არ იცნობს აფხაზებს, ამახინჯებენ მათ ისტორიას. სწორედ ეს გახლავთ მთავარი მიზეზი აფხაზური ტრაგედიისა. მე გული მტკივა იმაზე, რომ დღეს არ ჩანს არენაზე აფხაზურ საკითხში გარკვეული ადამიანი. საქვეყნოდ ცნობილი ნეიროქირურგი ნაპოლეონ მესხია წარმოშობით აფხაზეთიდან გახლავთ, იქაური მკვიდრია, კარგად იცნობს აფხაზი ხალხის ისტორიას, სხვაზე უკეთესად ესმის აფხაზი ხალხის სუნთქვა, დიდი სიმპატიით სარგებლობს აფხაზებში. ასევე, აუცილებელია რომ უფრო გააქტიურდეს აფხაზეთის დიდი გულშემატკივარი და მკვიდრი, ცნობილი ქართველი პატრიოტი. პოლიტიკოსი. ბატონი ალექსანდრე ჭაჭია.

მე, უბრალო მოქალაქე, ღრმად ვარ დარწმუნებული – მაშინდელ ქართველ ვაიპოლიტიკოსებს ბატონი ნაპოსთვის რომ მოესმინათ, არც სისხლი დაიღვრებოდა და არც დევნილები გვეყოლებოდა. ნათქვამია: სჯობს გვიან ვიდრე არასდროსო! ხომ ვხედავთ, რომ თითქმის მეოთხედი საუკუნე გავიდა აფხაზეთის ომის ავბედითი წლებიდან და ამერიკისა და დასავლეთის იმედით ნახევარი ნაბიჯი არ გადადგმულა აფხაზურ საკითხში, პირიქით უფრო ვშორდებით ჩვენ აფხაზ ძმებსა და დებს. საინტერესოა, რატომ არ ვეუბნებით ხალხს სიმართლეს? ჩვენ როდემდე უნდა ვატაროთ ეს სამარცხვინო იარლიყი – დევნილი?

ასე რომ, ბატონებო, ნუ იტყუებით, ნუ ატყუებთ ხალხს რომელიც ჯერ კიდევ აფხაზეთის მიწაზე დაბრუნების სურვილით სულდგმულობს!

შვილო, გულბაათ, მე გახლავართ მონაწილე ყველა ყრილობისა რომელიც ეხებოდა აფხაზურ საკითხს, არაერთგზის გამოვსულვარ სიტყვით მოსკოვში ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებისას. მე ბედნიერად ვგრძნობდი თავს როცა ჩემთან მოდიოდნენ აფხაზები, ქართველები და მადლობის ნიშნად მხარზე ხელს მხვევდნენ. საღამოს აფხაზებმა მიმიპატიჟეს. მე ვარ აქტიური მონაწილე სმოლნში, ტავრიის სასახლეში, СНГ-ს შტაბ-ბინაზე ქართული დროშის აფრიალებისა, ვახტანგ გოგუაძესთან, ანატოლი სობჩაკთან, შუმეიკოსთან ერთად. უამრავი რამ გამიკეთებია ქართული ეროვნული საქმისათვის. სურვილი მაქვს, მომავალშიც მივუჯდე მრგვალ მაგიდას და ველაპარაკო აფხაზ ძმებს. მათი ყველა ლიდერი მიცნობს, ერთმანეთს ვენდობით, დიდი პატივს ვცემთ. ჩვენ არაფერს მოგვიტანს უაზრო ვოიაჟები ჟენევაში, ევროპასა და ამერიკაში. უმჯობესია აფხაზები და ქართველები მიუსხდნენ მოლაპარაკებათა მაგიდას ზუგდიდში, გალში, სოხუმში, თბილისსა თუ მოსკოვში. მოლაპარაკებები უნდა წარვმართოთ სხვათა ჩაურევლად. ბუნებრივია, დიალოგი იქნება ძალიან რთული და დაძაბული. დაე, აფხაზებმა თავად გადაწყვიტონ, თუ ვისთან უნდათ თანაარსებობა – მთავარია მოვილაპარაკოთ და ბოლოს და ბოლოს ყველაფერს დაერქვას თავისი სახელი. მე მჯერა მხოლოდ ბატონების ალექსანდრე ჭაჭიასა და ნაპო მესხიასი. მხოლოდ მათ გააჩნიათ ყველა რესურსი, რომ გამონახონ საერთო ენა აფხაზებთან. მე გული მტკივა, რომ უბრალო, უდანაშაულო მშრომელი ადამიანები მეოთხედი საუკუნეა ვატარებთ დევნილის სტატუსს.

ნუთუ არ გვეშველება ჩვენც და საქართველოსაც?

აი, რისი თქმა მინდოდა თქვენთვის, შვილო, გულბაათ!

კარგად მეყოლეთ ოჯახითა და ერით.

**გვანჯი დარასელია,**
**ზუგდიდი**

*რას წერენ ჩვენს აფხაზ მეგობრებზე*

## "Newsweek": აფხაზეთი – პატარა არაქვეყანა დიდი ოცნებებით

**"სოჭის აჩრდილქვეშ",** – ამ სათაურით აქვეყნებს ამერიკული გამოცემა "Newsweek" რეპორტაჟს აფხაზეთიდან. **"ჩვენი ოცნება ოლიმპიურ თამაშებზე აფხაზეთის სახელით გამოსვლაა"**, – ციტირებს ავტორი აფხაზი მწვრთნელის, ჯარნაზ ბენიას სიტყვებს.

როგორც რეპორტაჟის ავტორი კოსუკე ოკაჰარა წერს, აფხაზეთი საქართველოს თვითგამოცხადებული ტერიტორიაა, რომელიც 10 მილითაა დაშორებული სოჭის ოლიმპიური პარკიდან.

ამასთან, იაპონელი ჟურნალისტი წერს, რომ 1992-1993 წლებში აფხაზეთსა და საქართველოს შორის ომი იყო, რის შემდეგად აფხაზეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

**"აფხაზეთის დამოუკიდებლობა მხოლოდ რუსეთმა და სხვა რამდენიმე პატარა სახელმწიფომ აღიარეს. არც მსოფლიოს დანარჩენ ნაწილს და არც საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს აფხაზეთის დამოუკიდებლობა არ უღიარებიათ. აფხაზეთიდან სოჭის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას ნებისმიერი სპორტსმენი რუსეთის სახელით მიიღებს, თუმცა არც ერთი მათგანი არ მიდის თამაშებზე"**, – წერს კოსუკე ოკაჰარა.

ამასთან, როგორც ავტორი აღნიშნავს, გასულ წელს აფხაზეთში ყოფნისას ადგილობრივ სტუდენტებს შეხვდა, რომელთაც უთხრეს, რომ ამაყობენ თავიანთი აფხაზობით, მაგრამ იციან, რომ მათი ქვეყნის მომავალი გაურკვეველია.

**"მე მიყვარს ჩემი ქვეყანა და ვამაყობ მისით, მაგრამ ვიცი, რომ ჩვენ ახლა ჩიხში ვართ. ჩვენი ქვეყნის საკუთარი გზა სწორედ ჩვენმა თაობამ უნდა გაიკვალოს"**, – ციტირებს ავტორი ერთ-ერთი აფხაზი სტუდენტის ნათქვამს.




სახალხო მოძრაობა "სამეგრელო"-ს ზუგდიდის ორგანიზაცია და გაზეთ "ილორი"-ს კოლექტივი თანაუგრძნობენ გაზეთ "ГАЛ"-ის თანამშრომელ მაყვალა ჭოლარიას დედის

**რონია ხოჭავა-ჭოლარიას**

გარდაცვალების გამო

## შესაძლებელია თუ არა ტრანსკავკასიური სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა რუსეთ-აფხაზეთ-საქართველო-სომხეთს შორის?

ამ საკითხში უმთავრესია იმის დადგენა, თუ ვისთვის მოიტანს ეს სარგებელს და ვინაა დაინტერესებული ამ ამოცანის გადაჭრით, ასევე, რა ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებს გამოიღებს აღნიშნული სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა ამ პროცესში მონაწილე ქვეყნებისათვის.

ამ პროცესის მონაწილე კი ოთხი მხარეა: რუსეთი-აფხაზეთი-საქართველო-სომხეთი. თითოეული მხარის დაინტერესების ხარისხი სხვადასხვაა. რუსეთი სტრატეგიულ ამოცანებს წყვეტს, სომხეთი – უტილიტარულს, აფხაზეთი – წმინდა ეკონომიკურს. საქართველო იძულებულია არა მარტო თავისი სოციალურ-ჰუმანიტარული და ეკონომიკური ამოცანები, არამედ სერიოზული პოლიტიკური პრობლემებიც გადაჭრას.

ტრანსკავკასიური სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენით, პირველ რიგში, დაინტერესებულია სომხეთი.

სარკინიგზო მიმოსვლაში აფხაზეთის სატრანზიტო როლი ყველასათვის ნათელია.

რუსეთისათვის ამ პროექტის აუცილებლობა, პირველ რიგში, სტრატეგიული ამოცანებითაა გამოწვეული, რადგან მისი აღდგენის შემთხვევაში ირანსა და რუსეთს შორის პირდაპირი მიმოსვლა იქნება, რასაც მოჰყვება სპარსეთის ყურე, ერაყი, დამატებითი გზა ავღანეთისკენ, და ბოლოს, პირდაპირი კავშირი პაკისტანთან, შემდგომ – გზა ინდოეთსა და ინდოეთის ოკეანისკენ. ამასთან დაკავშირებით რუსეთი მზადაა ირან-სომხეთის რკინიგზის აღდგენითი სამუშაოები 2015 წლის შუა ხანებში დაიწყოს.

საქართველოსთვის პირველი პრობლემა ამ საკითხის გადაწყვეტაში თავად აფხაზეთის მონაწილეობაა, რაც პირდაპირ კავშირშია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან. ამასთან, საქართველოს ხელისუფლება მთლიანად დამოკიდებულია გავლენის გარე ფაქტორებზე არა მარტო ეკონომიკაში, არამედ პოლიტიკაშიც.

**საქინფორმი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამბები სამეგრელოდან

## საჯარო შეხვედრა პროექტის „ამხანაგობების შექმნა და განვითარება“ ფარგლებში

საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი **„აფხაზეთის“** ორგანიზებით, პროექტის **„ამხანაგობების შექმნა და განვითარება“** ფარგლებში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სააქტო დარბაზში საჯარო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ – სენაკისა და ზუგდიდის გამგეობის თანამშრომლები, აგრეთვე ზუგდიდში, თამარ მეფის ქ. 27 ა–ში შექმნილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა **„ერთობას“** თავმჯდომარე და წარმომადგენლები.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა ამხანაგობა, ასევე შენობის მოვლა-ექსპლუატაციის ჯგუფი. ამხანაგობამ გრანტის სახით მიიღო 2000 ლარის ოდენობის სამშენებლო ინსტრუმენტი და უახლოეს მომავალში მიიღებენ ბიზნესგრანტს, რაც ხელს შეუწყობს მათი შემოსავლების გაზრდას.

აღნიშნულ შეხვედრაზე ამხანაგობების წარმომადგენლებსა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის მომავალი ურთიერთთანამშრომლობის გეგმებიც დაისახა.

შეხვედრას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი გიზო სართანია ესწრებოდა.

## სენაკის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი: ფეხმოტეხილ სკამზე ვზივარ

სენაკის გამგეობა სავარძლების ტენდერს ეხმაურება და აცხადებს, რომ 500 ლარზე ნაკლებად სავარძელი ვერ იშოვეს. სენაკის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა დგებუაძე აცხადებს, რომ ერთი სავარძელი თვითონ, მეორე კი საკრებულოს თავმჯდომარეს სჭირდება.

**„ჩემი სავარძლის ფეხი დაიმტვრა. ფეხმოტვრეულ სკამზე ვზივარ კინაღამ მეც გადავვარდი. კომპიუტერს დავეჯახე და ისიც წავაქციე. გუშინ „დავსვარკეთ“. სავარძელი არ მაქვს და რა ვქნა, რაზე დავჯდეთ? ასევე გამოცხადებულია ტენდერი საკონფერენციო მაგიდაზე არ გვაქვს მაგიდა, თათბირებზე ხალხი ფეხზე იწერს“,** – აცხადებს სენაკის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი.

გოჩა დგებუაძის თქმით, სენაკის გამგეობის შენობაში რემონტი მიმდინარეობს, რაც 28 ათას ლარამდე ჯდება.

ტენდერების საკითხს სენკში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია **„ქალთა კავშირის“** ლიდერი ინგა ქარდავაც ეხმაურება. ქარდავას განცხადებით:

**„მაშინ, როდესაც ჩემს ორგანიზაციაში ათასობით სოციალურად დაუცველი შემოდის დახმარებისთვის, არ შეიძლება გამგეობამ ძვირადღირებული სავარძლები და ავეჯი იყიდოს. ამ დროს კი უამრავი მოქალაქე შიმშილობს“,** – აცხადებს ქარდავა.

**„ლაივპრესმა“** სავარძლების საწყისი ფასები ავეჯის მაღაზია **„ემბავუდში“** გადაამოწმა. საოფისე სავარძლის ღირებულება მაღაზიაში 130 ლარიდან იწყება, მაქსიმალური ფასი კი 700 ლარია.

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობა ავეჯის შესაძენად ტენდერი კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოაცხადა, სადაც ორი სავარძლის სატენდერო ღირებულებად 1000 ლარია მითითებული. საკონფერენციო მაგიდის სატენდერო ფასი 1330 ლარია, მეორე მაგიდისთვის კი 1020 ლარია გამოყოფილი.

## მარტვილში სოციალურად დაუცველ ოჯახებს შეშა გადაეცათ

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ კურზუს, კერძოდ, დობერაზენის უბანში 9 სოციალურად დაუცველ ოჯახს (გული ნაჭყებია, მედეა ნაჭყებია, ინდიკო ნაჭყებია, ამირან ნაჭყებია, ომარ ნაჭყებია, დემურ ნაჭყებია, იაშა ნაჭყებია, ვალიკო ჯოჯუა) შეშა დაურიგდა. პროექტი განხორციელდა გარემოს დაცვის სამინისტროს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, ფინანსთა სამინისტროსა და რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ. პროექტში აქტიურად მონაწილეობდა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგელები და ადგილობრივი ხელისუფლება.

## „ბიბლიოთეკა ბორბლებზე”

გამომცემლობა **„მერანმა“** კულტურის სამინისტროს თანადგომით დაიწყო აქცია **„ბიბლითეკა ბორბლებზე“**. აქციის მიზანია, საკუთარ გამომცემლობაში გამოცემული წიგნები დაურიგონ ბიბლიოთეკებს. 10 ნოემბერს პროექტის ფარგლებში მარტვილის საჯარო ბიბლიოთეკას გამომცემლობა **„მერანის“** დირექტორი ნანა ჭოჭუა თანამშრომლებთან და სლოვაკ მწერალ გუსტავ მორინთან ერთად ეწვია და საჩუქრად წიგნები გადასცა. სლოვაკ მწერალმა ისაუბრა თავის ქართულად თარგმნილ მოთხრობაზე. საკუთარი ლექსები წაიკითხა გოგოშა გეგელიამ, ზურაბ დანელიამ და სოფო რუხაიამ. კიდევ ერთი კარგი შეხვედრა შედგა მარტვილის საჯარო ბიბლიოთეკაში და შეივსო წიგნადი ფონდი. სტუმრებს მადლობა გადაუხადა კულტურის ცენტრის დირექტორმა.

## მოსახლეობის სტატისტიკური აღწერა დაიწყო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონფერენციო დარბაზში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ტერიტორიული ორგანო ფოთის სტატისტიკის სამმართველოს წარმომადგენელი ფირუზი სორდია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს გიზო სართანიასა და ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებს შეხვდა.

სრულიად საქართველოს მასშტაბით დაიწყო მაოსახლეობის რაოდენობის სტატისტიკის კვლევა. ამ ეტაპზე, 10–დან 24 თებერვლის ჩათვლით მოსამზადებელი სამუშაოები განხორციელდება, რაც საცხოვრისებისა და მათში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობის დადგენას გულისხმობს. აღწერა ერთდროულად საქართველოს მასშტაბით დაიწყება 5, ხოლო დასრულდება 19 ნოემბერს.

საქართველოში მოსახლეობის სტატისტიკური აღწერა 2002 წლის შემდეგ არ განხორციელებულა. 2002 წლის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობა 4 მლ. 400 000 ადამიანს წარმოადგენდა.

## პატრიარქის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ტურნირი მინი ფეხბურთში

საქართველოს პატრიარქის ლოცვა–კურთხევით ჩატარდა ფეხბურთის ტურნირი სამეგრელოს გუნდებს შორის. ტურნირს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი მერაბ ქვარაია და სასულიერო პირები ესწრებოდნენ.

გამარჯვებული გუნდები მუნიციპალიტეტის გამგეობამ სპეციალური პრიზებით დააჯილდოვა.

## კალიგრაფიის კონკურსი მარტვილში

19 დეკემბერს მარტვილის მუნიციპალიტეტის საჯარო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ქართული კალიგრაფიის კონკურსი. კონკურსის მიზანია ქართული დამწერლობისა და ქართული კალიგრაფიის პოპულარიზაცია, ხელით წერის კულტურის განვითარება და კონკურსანტების შემოქმედებითი უნარის წარმოჩენა. კონკურსში მონაწილეობდნენ საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები, ასევე დაინტერესებული პირები. მონაწილეთა ნამუშევრები შეაფასა ჟიურიმ. კონკურსის ბოლოს გამოვლინდნენ გამარჯვებულები და ისინი დაჯილდოვდნენ პრიზებით და დიპლომებით. კონკურსი ჩატარდა მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მიერ.

## წლის საუკეთესო სპორტსმენები და მწვრთნელები

2013 წლის 18 დეკემბერს სენაკის სასპორტოს სკოლაში ჩატარებულ შემაჯამებელ სხდომაზე გამოვლინდნენ წლის წარმატებული სპორტსმენები და მწვრთნელები. 18 წლის ზევით წარმატებულ სპორტსმენებად აღიარებულ იქნენ: საჩინო დავითაია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), ხვიჩა ჭითავა (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) და ბექა კუჭავა(კრივი).

მოსწავლეთა შორის წარმატებულ სპორტსმენებად დასახელდნენ: აკაკი კაჭარავა (კრივი), დავით ხარბედია (კრივი), აბელ ხარბედია (კრივი), არდევან ჯანაშია (კრივი), ალეკო ქაქუთია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), დავით ქარჩავა (კრივი), გიორგი მეფარიშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), თემურ გოგია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა).

საუკეთესო მწვრთნელებად დასახელდნენ: ამირან დავითაია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), ვალერიან მურღულია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) და ზაზა ხურცილავა (კრივი).

# მიხეილ სააკაშვილის საიდუმლო წერილი

საფრანგეთის ხელისუფლებისადმი კეზერაშვილთან დაკავშირებით მიწერილ წერილში ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი წერს, რომ 2008 წლიდან მოყოლებული, თავდაცვის ყოფილი მინისტრი პარტიისთვის ფინანსების მოძიების კუთხით ცენტრალური ფიგურა იყო. ასევე ის მონაწილეობდა პარტიის ყველა სტრატეგიულ გადაწყვეტილებაში.

**“პოლიტიკური გუნდი, რომელმაც ათწლეულის მანძილზე რადიკალური და ამბიციური რეფორმები განახორციელა და საქართველო ევროკავშირს კიდევ უფრო დაუახლოვა, ახლა დევნის, დაშინების და ძალადობის მსხვერპლად იქცა. ეს „კუდიანებზე ნადირობა“ მიმდინარეობს მას მერე, რაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ოლიგარქმა ბიძინა ივანიშვილმა გაიმარჯვა როგორც პოლიტიკური გუნდის საკვანძო ფიგურა და ერთ-ერთი დამფუძნებელ წევრი, დავით კეზერაშვილი იგივე საშიშროების წინაშეა და იგივე ბედი ელის, როგორც პარტიის სხვა ლიდერებს. დავით კეზერაშვილის ფიგურას ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ მისი დაფუძნების დღიდან. მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა „ვარდების რევოლუციის“ დროსაც... მისი როლი იყო უმნიშვნელოვანესი კორუფციის და მექრთამეობის სისტემის განადგურებაში, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას და პროგრესს აფერხებდა. ეს წარმატება დაფიქსირდა ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, რომლებიც ხოტბას ასხამდნენ და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მაგალითად ასახელებდნენ ამ მიღწევას. ამ ყველაფერმა საქართველოს საშუალება მისცა განვითარებულიყო, მაგრამ როგორც უწყით, ამან ბევრი მტრები გაუჩინა ქვეყანას და, განსაკუთრებით, დავით კეზერაშვილს. ეხლა, როდესაც ის ხალხი დაუბრუნდნენ სახელმწიფო სტრუქტურებს, რომლებიც ამ კორუფციის სისტემას ხელმძღვანელობდნენ, მათ შურისძიება სწადიათ და დავითი მათი ერთ-ერთი უპირველესი სამიზნეა... მას შემდეგ, რაც კერძო სექტორში გადასასვლელად 2008 წელს მთავრობიდან წასვლა გადაწყვიტა და ბიზნესმენი გახდა, მთელი ამ წლების მანძილზე ის ფინანსების მოძიების კუთხით ცენტრალური ფიგურა იყო და პარტიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიკოსად რჩებოდა. ის მონაწილეობდა პარტიის ყველა სტრატეგიულ გადაწყვეტილებებში ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე. 2012 წელს არჩევნებში დამარცხების შემდგომ დაიწყო დევნა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ როგორც ახალი ოპოზიციური ძალის და მისი დონორების წინააღმდეგ და მისი როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. ის იყო ერთადერთი, რომელიც იცნობდა ნებისმიერი კამპანიის პოტენციურ დამფინანსებლებს და იყო ერთადერთი, რომელსაც დონორები ენდობოდნენ. მისი უმოქმედობის პირობებში საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც 2013 წლის ბოლოს ჩატარდა, შეფერხებით წარიმართა ოპოზიციისთვის და 2014 წელს დაგეგმილი ადგილობრივი არჩევნები კიდევ უფრო რთული იქნება დავითის წინააღმდეგ მიმდინარეობს და მომავალშიც ადგილი ექნება დევნას, ისევე როგორც ადამიანის უფლებების დარღვევას, რადგან ის ფუნდამენტური მნიშვნელობის მატარებელია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისათვის“. ფრანგულ სასამართლოს ვთხოვ აღიაროს, რომ დავით კეზერაშვილის ექსტრადირება პოლიტიკურად მოტივირებული მოთხოვნაა, რომელიც ყალბ ბრალდებებს ეფუძნება და, შესაბამისად, გთხოვთ, უარი თქვათ ექსტრადიციის მოთხოვნაზე”,** – ნათქვამია სააკაშვილის წერილში.

**საქინფორმი**

# ვინ უყიდა სააკაშვილს ძვირადღირებული სპორტული ავტომობილი

ხალხს ჰგონია, რომ საბოლოოდ გაინთავისუფლა თავი სააკაშვილის ავბედითი აჩრდილისაგან, მაგრამ, როგორც ჩანს ეს არაკაცი კიდევ ხშირად შეგვახსენებს თავს თავისი უსაქციელობის გამო.

ერთ-ერთ ასეთ შეხსენებას ვთავაზობთ ჩვენ მკითხველს.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ამჟამად უმუშევარ მიხეილ სააკაშვილის ექსტრემალობის შესახებ აქამდეც ბევრს გაუგია – უყვარს მთაზე ცოცვა, თხილამურები, ცურვა, ყვინთვა, ფრენა, სიჩქარე და ავტომანქანები... ბევრი დაწერილა, რომ სააკაშვილის ეს გატაცებები სახელმწიფო ბიუჯეტს საკმაოდ ძვირი უჯდებოდა, თუმცა აქამდე არავინ იცოდა, რომ დაახლოებით ორი წლის წინ, სპეციალურად მისთვის ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სპორტული ავტომობილი **“ფორმულა ალფა”** შეიძინა...

არსებობს დამამტკიცებელი დოკუმენტაცია, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობამ **“ფორმულა ალფას”** შეძენაზე 2012 წლის ზაფხულში ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა. იმავე წლის 19 ივნისს სატენდერო კომისიამ ტენდერში გამარჯვებულად შპს **“სტრომოსი”** გამოავლინა და აღიშნული სპორტული ავტომობილის მუნიციპალიტეტისთვის შესყიდვაც სწორედ მას დაევალა...

ისიც გაირკვა, რომ **“ფორმულა ალფა”,** რომელიც ბოლნისის გამგეობამ ელექტრონული ტენდერით შეისყიდა, მიხეილ სააკაშვილს იქამდე მოსწონებია, ვიდრე მას უსახსოვრებდნენ. ეს სწორედ ის სპორტული ავტომობილია, რომლითაც საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა 2012 წლის აპრილში რუსთავში განახლებული ავტოდრომი გახსნა და ახალი ტრასა პირველმა პირადად გამოსცადა. როგორც გაირკვა, **“ფორმულა ალფა”** საქართველოში რამდენიმე თვის შემოყვანილი იყო, როცა ის ბოლნისის გამგეობამ შეიძინა.

ცნობისთვის, მუნიციპალიტეტს და სახელმწიფო ბიუჯეტს ყოფილი პრეზიდენტის ეს **“საჩუქარი”** 40 ათასამდე დაუჯდა. ინფორმირებულმა წყარომ ისიც გვითხრა, რომ ავტომობილს მიხეილ სააკაშვილი რუსთავის ავტოდრომზე ღამ-ღამობით იმდენად ხშირად იყენებდა და **“ისეთ დღეში აგდებდა”,** რომ ახლა ძრავის მწყობრიდან გამოსვლის გამო ბოლნისის გამგეობის საწყობში იმტვერება...



ილორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუბილე: ფრიდონ თოდუა – 70



*გაზეთი „ილორი“ ულოცავს სახელოვან ქართველ მეცნიერს, მკურნალს, საზოგადო მოღვაწესა და მამულიშვილს ბატონ ფრიდონ თოდუას 70 წლის იუბილეს და უსურვებს ულევ სიხარულს, ბედნიერებასა და გამარჯვებებს ჩვენი სამშობლოს სასახელოდ.*

**ბატონი ფრიდონ თოდუა რომ სუპერპროფესიონალი ექიმია მოწოდებით, ცხოვრების წესით, საყოველთაოდ ცნობილია.**

**ბატონი ფრიდონ თოდუა რომ სანიმუშო ადამიანია, კეთილი, გულმოწყალე, მხარში ამომდგომი, საქართველოში ყველამ იცის.**

**ბატონი ფრიდონ თოდუა, როგორც მედიცინის უბადლო ორგანიზატორი, აღიარებული რომაა საქართველოშიც, რუსეთშიც და ექიმთა საერთაშორისო საზოგადოებაშიც, ესეც ფაქტია.**

პირველი სტაციონარული ტომოგრაფი ბატონ ფრიდონს 90-იანი წლების დასაწყისში ჩამოაქვს თბილისში, ისეთი, რომელიც მაშინ სამედიცინო ტექნიკის უმაღლეს მიღწევად ითვლებოდა. შარშან კი 640-შრიანი ულტრათანამედროვე ტომოგრაფი შეიძინა და დაამონტაჟა თავის ინსტიტუტში, რომელიც ბევრი ევროპული კლინიკისთვის მხოლოდ ხვალინდელი დღეა.

არნახული ამპლიტუდაა, გნებავთ, ნახტომი წარსულის შედარებითი სიმარტივიდან დღევანდელ სუპერთანამედროვეობამდე.

მანამდეც არაერთი სიახლე დაინერგა თოდუას კლინიკაში, და განსხვავებით საზოგადოებრივ-პოლიტიკური სფეროსგან, რომელშიც **„სექონდ ჰენდის“** პროვინციული მეორადობა მძლავრობს, პროგრესის ტონის მიმცემი, მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა არამარტო რეგიონის მასშტაბით, არამედ მსოფლიოს მედიკოსთა თანამეგობრობისთვისაც.

იშვიათი შემთხვევაა! საამაყო თავისი გამონაკლისობით და უმეტესად სასურველი.

**უამრავ გაჭირვებულს ეხმარება ბატონი ფრიდონი.**

***– ჩვენს ფულს როგორც გვინდა, ისე დავხარჯავთ – ადამიანებს მოვახმართ, უწინარეს ყოვლისა, და არავითარ შემთხვევაში არ გავმდიდრდებით მოსახლეობის ხარჯზე.***

**ასეთი მორალის პატრონია. სოვდაგრის პრინციპები შორსაა ამ მაღალი ზნეობის კაცისგან.**

ამ ყველაფრის შესახებ ილაპარაკეს 9 იანვარს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიის პრეზიდიუმის საგანგებო სხდომაზე, სადაც ღირსეულად აღნიშნეს ბატონ ფრიდონ თოდუას საიუბილეო 70 წელი.

სხვა ბევრი სიკეთე თქვეს და მაინც ვერ ამოწურეს მისი მამულიშვილური მოღვაწეობის მასშტაბურობა და მრავალფეროვნება **აკადემიის პრეზიდენტმა** *ოთარ კვესიტაძემ,* **ვიცეპრეზიდენტმა** *როინ მეტრეველმა,* **აკადემიკოსებმა** *ვლადიმერ პაპავამ, რომან შაქარაშვილმა, გუჩა კვარაცხელიამ,* **პროფესორმა** *რევაზ გაგუამ,* **ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ** *ბაკურ გულუამ.*

სხდომის დამთავრებისთანავე ვკითხეთ ბატონ ***ოთარ კვესიტაძეს:***

**– აკადემიის პრეზიდიუმის საგანგებო სხდომის მიძღვნა კოლეგის სიუბილეო თარიღისთვის იშვიათი მოვლენაა. რამ გადაგაწყვეტინათ?**

– დავიწყებ იმით, რომ ბატონი ფრიდონი წლების განმავლობაში იყო აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი. ეს იყო ურთულესი წლები, როცა ყველა ემუქრებოდა აკადემიას დახურვით. სამწუხაროდ, ამის ნარჩენი განწყობილებები დღესაც არ არის ბოლომდე აღმოფხვრილი... იმ დროს ბატონი ფრიდონის თავდაუზოგავმა და პრინციპულმა პოზიციამ (მაშინ ბატონი ფრიდონი პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეც იყო), მისმა ჭეშმარიტმა თანადგომამ აკადემიას უდიდესი საქმე გაუკეთა. აკადემია დღეს რომ არსებობს, ამაში მისი წონადი წვლილი არის. საგანგებო სხდომა კი არა, მეტის ღირსია ამიტომ.

შემდეგ: იგი ჭეშმარიტი აკადემიკოსია; არის ყველა ჩვენგანის მკურნალი. ყველა, ვინც აქ ზის, მისი პაციენტია.

**– თანაც უანგარო მკურნალი!**

– აბსოლუტურად! არავის არასოდეს შაური არ გადაუხდია.

**– არც გამოართმევდნენ.**

– რასაკვირველია! ავ-კარგიანი კაცია. მიმაჩნია, რომ იგი იმსახურებდა იმ პატივს, რომელიც დღეს მას მივაგეთ. ეს ხშირად არ ხდება, რა თქმა უნდა.

**P.S. სხდომის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ბატონ ფრიდონს დაურეკა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია II-მ, მიულოცა დაბადების დღე და აცნობა, რომ იგი – ფრიდონ თოდუა – დაჯილდოებულია წმინდა გიორგის ორდენით.**

## კაცი!

**დიდი ხნის წინათ ერთ ჩემს მეგობარს სამედიცინო დახმარება დასჭირდა და მოსკოვს გაემგზავრა. იმ დროს მეც იქ აღმოვჩნდი და მისი თხოვნით კონსულტაცია გავიარე კომპეტენტურ ადამიანებთან, რჩევა ვიკითხე საუკეთესო მკურნალის შერჩევის თაობაზე. ლეგენდარულმა ქირურგმა-აკადემიკოსმა, თბილისში დაბადებულ-გაზრდილმა ვლადიმერ ბურაკოვსკიმ რომ მოისმინა უარყოფითი პასუხი მის მიერ დასმულ შეკითხვაზე, ვიცნობდი თუ არა ფრიდონ თოდუას, მირჩია: გაიცანი და ანდე შენი მეგობრის ჯანმრთელობა, ჩინებული ექიმი, ერთობ საიმედო კაციაო!**

**ახლაც მახსოვს, რა ინტონაციით მითხრა: ჩინებული ექიმი!.. საიმედო კაცი!**

**მას შემდეგ გავიდა ნაცნობობის, თანამშრომლობისა და მეგობრობის 35 წელიწადი.**

**და ამ ხნის მანძილზე არ მახსოვს, ყოფილიყო ისეთი შემთხვევა, რომელიც სულ მცირე, პაწაწინა ეჭვს შეიტანდა დიდი ვლადიმერ ბურაკოვსკის რეკომენდაციაში.**

## ფრიდონ თოდუა დიდი დასტაქარია!

და ეს იცის არამარტო სამედიცინო საზოგადოებამ და მთელმა საქართველომ, არამედ უამრავმა კოლეგამ, მეცნიერმა-მედიკოსმა ძალიან ბევრ ქვეყანაში!

***ფრიდონ თოდუა ნაღდი კაცია, უღალატო მეგობარი!***

და ბევრ ადამიანს რეალურად გამოუცდია მისი ექიმობის შედეგი, რაც პირდაპირ კავშირშია მის ვაჟკაცურ ბუნებასთან, რისკთან, გაბედულებასთან, უანგარობასთან. და ყველაფერი ეს იმაზე ღაღადებს, რომ იგი მართლაც დასაყრდენია, გაჭირვებულის დამხმარე, უშურველი! ასევე უღალატოა მეგობრების მიმართ. და მის ამ თვისებაზე არა და არ მოქმედებს არც პოლიტიკური კონიუნქტურა და არც ბიოგრაფიულ-კარიერული გარდატეხები.

ამ ხნის მანძილზე მასთან დაკავშირებით, ზემოჩამოთვლილის გარდა, კიდევ ბევრი სასიამოვნო და დასაფასებელი „აღმოჩენა“ გაკეთდა. და მათგან უმთავრესად დასაფასებელია ის, რომ ***ფრიდონ თოდუა საქმის (!) კაცია – საქმის მკეთებელი, სხვისი საქმის მხარდამჭერი, წამხალისებელი, ხელისშემწყობი.***

მის მიერ შექმნილი უნიკალური, თანამედროვე სამედიცინო ცენტრი და მისი კოლექტივის საქმიანობა იმაზე მეტყველებს, რომ **აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა გახლავთ ბრწყინვალე ორგანიზატორი, სტრატეგი, ტაქტიკოსი, შედეგზე ორიენტირებული და, რაც მთავარია, პროგრესული აზროვნების, სიახლეების მოტრფიალე და პრაქტიკაში მისი დამნერგავი, ახალგაზრდა სპეციალისტების უანგარო გამზრდელ-დამაოსტატებელი, ნამდვილი პედაგოგი!**

და კიდევ ერთი, რაც, ჩემი აზრით, ღირს, რომ ახლა, სწორედ დღეს ითქვას, თანაც იმათ გასაგონად, ვისაც საქმისა და სიკეთის კეთების მაგივრად შური და ქილიკი ხელეწიფებათ (და ვინაიდან ბატონი ფრიდონი ანგელოზი არ არის, არც მოშურნე და მოქილიკე აკლია მას): ასეთი რანგის, ავტორიტეტული სპეციალისტებისადმი, მეცნიერებისადმი, კულტურის მოღვაწეებისადმი, მით უმეტეს, გამოჩენილი ექიმებისადმი „ლტოლვა“ ყველა დროის ხელისუფალს ახასიათებს. გამონაკლისი არც გასული ათწლეული იყო.

ობიექტურობა მოითხოვს იმის ხაზგასმით აღნიშვნას, რომ იმდროინდელი ხელისუფლების ინიციატივით დანიშნულ მეცნიერებათა აკადემიის პირველ ვიცე-პრეზიდენტ ფრიდონ თოდუას მოუხდა დიდი სიბრძნის, მოქნილობის, თმენის, ზოგჯერ კი თავგანწირვამდე მისული პრინციპულობის გამოჩენაც, რათა ეროვნული მეცნიერებათა აკადემიისთვის აერიდებია, რბილად რომ ვთქვათ, არაკომპეტენტური ჩარევა, მავანის და მავანის უგუნურება, რომლის საბოლოო მიზანი რეფორმა კი არა, ამ დიდი აკადემიის საბოლოო განადგურება იყო.

ასევე, თავად ვარ მოწმე იმისა, რომ **აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ძალისხმევა არ დაუკლია, რათა აკადემიის სისტემის ცალკეული სტრუქტურების, ცალკეული მეცნიერებისთვის არ გამოეტანათ დედაუნივერსიტეტის პროფესურისადმი გამოჩენილი სამარცხვინო დამოკიდებულების მსგავსი სავარაუდო „გამანადგურებელი განაჩენი“, რომელიც დღევანდელი გადასახედიდან არამცთუ სუბიექტური და უსამართლო იყო, არამედ პრიმიტიული ანგარიშსწორების გამოვლინებაც იყო მაშინდელი ხელისუფლების ზოგიერთი გათავხედებული მაღალჩინოსნის მხრიდან!**

და ყოველივე ამას ფრიდონ თოდუა აკეთებდა უხმაუროდ, უანგაროდ! მეცნიერული სინდისის და პატრიოტული სულისკვეთების, თავმდაბლობის, ზნეობრივი პრინციპების მაქსიმალური დაცვით.

***ასე კაცები იქცევიან!***

***ასე ცხოვრობენ საიმედო ადამიანები!***

**ამის დაუნახაობა და დაუფასებლობა უმადურობა იქნებოდა.**

**კეისარს კეისრისა!**

**გაიხარეთ, ბატონო ფრიდონ!**

**ნუგზარ ფოფხაძე**

## აღიარებული მეცნიერი და მოღვაწე

**დიაგნოსტიკურ რადიოლოგიაში არსებობს ასეთი გამოთქმა „მხოლოდ წარმატებული თერაპია ამტკიცებს და ადგენს სწორ დიაგნოზს“. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა თავისი 40-წლიანი მეცნიერული მოღვაწეობით ამ დებულებას ადასტურებს.**

1982 წელს ფრიდონ თოდუამ ჩემი ყურადღება, თავისი ინტელექტის წყალობით, ჩვენი ნაცნობობის პირველი დღიდანვე მიიპყრო. ***იგი გახლდათ ერთ-ერთი პირველი, ვინც დანერგა ენდოვასკულარული ქირურგია ყოფილ სსრკ-ში, რომელიც დასავლეთში ინტერვენციული რადიოლოგიის სახელით არის ცნობილი.*** მაშინ იგი ბევრი ინოვაციური იდეით იყო განთქმული რუსეთსა თუ ევროპაში. ამ მოწინავე იდეებით დაბრუნდა თბილისში 1990 წელს. იგი იყო ერთ-ერთი პირველი იმ ქართველთა შორის, ვინც ასე მოიქცა – მიატოვა ხანგრძლივი წარმატებული კარიერა მოსკოვის აკად. ა. ვ. ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტში. **ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გაუმჯობესებისა და თავისი ხალხის დახმარების მიზნით მან დააფუძნა ახალი ტიპის სამედიცინო დაწესებულება – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.**

მისი პიროვნული თვისებები – კომუნიკაბელურობა და გულისხმიერება კარგად აისახა სამედიცინო საერთაშორისო საზოგადოებებში, კერძოდ, როგორიცაა ევროპის რადიოლოგთა ასოციაცია, მიუნხენისა და გრაცის სამედიცინო უნივერსიტეტები და სხვ.

**1997 წელს ფრიდონ თოდუას ინიციატივით საქართველოში დაარსდა საქართველოს რადიოლოგთა ასოციაცია, რომელიც პირველი იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში და რომლის უცვლელი პრეზიდენტია დღემდე.**

ბატონი ფრიდონის მოწინავე ხედვის შედეგად მისი ინსტიტუტის თანამშრომლები მუდმივად მონაწილეობენ მსოფლიოს უმთავრეს კონგრესებსა თუ კონფერენციებში, რომლებზეც წარმოადგენენ თავიანთი უახლესი სამედიცინო მიღწევების შედეგებს. პირადად მას ახლო მეგობრობა აკავშირებს მედიცინის სხვადასხვა დარგის მსოფლიოში აღიარებულ ბევრ თვალსაჩინო მეცნიერთან.

სულ მალე ინსტიტუტში ამუშავდება სხივური თერაპიის განყოფილება, რომელშიც დამონტაჟდება უახლესი თაობის ხაზოვანი ამაჩქარებლები, რაც დიდ დახმარებას გაუწევს ონკოლოგიურ ავადმყოფებს როგორც საქართველოში, ასევე რეგიონში.

**თქვენი მეგობრები და საერთაშორისო სამედიცინო საზოგადოება გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს თქვენს შემდგომ საქმიანობაში, მომავალი გეგმების განხორციელებაში.**

**თქვენი**

**რენე რინმიულერი,**
**პროფესორი (ავსტრია)**

## *ამონარიდები მოსალოცი წერილებიდან*

ჩემი მოლოცვა მხოლოდ თქვენს დაბადების დღეს არ ეხება, არამედ თქვენს მისწრაფებასა და მიღწევებს საქართველოში ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესების საქმეში. იმ პერიოდში საქართველოში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად, თქვენი თამამი და დაუღალავი მცდელობისა და დიდი ძალისხმევის შედეგად შექმენით სრულიად ახლებური და მაღალპროფესიული სამედიცინო დაწესებულება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ კავკასიის რეგიონის მასშტაბით. გვეამაყება, რომ უკვე 20 წელზე მეტია, რაც იყენებთ ჩვენი უახლესი თაობის აპარატურას რადიოლოგიურ დიაგნოსტიკაში.

დიდ მადლობას მოგახსენებთ, რომ ასე ენდობით „სიმენსს“.

**გულწრფელად თქვენი**

**ჰერმან რეკუარდი,**
**პროფესორი, „სიმენსის“ ჯანდაცვის სექტორის აღმასრულებელი საბჭოს წევრი**

თქვენმა ღრმა ცოდნამ მედიცინასა და დიაგნოსტიკაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ჯანდაცვის სისტემის განვითარების საქმეში საქართველოს საზოგადოების საკეთილდღეოდ.

თქვენ ხართ უაღრესად აღიარებული პიროვნება და ექსპერტი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ რუსეთსა და უცხოეთის ქვეყნებშიც.

ძალიან მადლიერი და ამაყი ვარ, რომ „სიმენსმა“ ჩვენი აპარატურის წყალობით შეძლო თქვენთან ერთად ამ წარმატებული გზის გავლა.

**საუკეთესო სურვილებით,**

**ვოლფგანგ კიოპელი,**
**„სიმენსის“ ჯანდაცვის სექტორის აღმასრულებელი საბჭოს წევრი**

უკვე წლებია, ვსარგებლობთ თქვენი ექიმების მომსახურებით. ჩვენ უკვე ასაკში ვართ და სწორედ ამის გამო ჩვენთვის ორმაგად სასიამოვნოა **„თოდუას კლინიკის“** ექიმების ის თბილი და ყურადღებიანი დამოკიდებულება, რომელიც ყოველთვის იგრძნობა კლინიკაში ვიზიტის დროს.

ძალიან გვიხარია თქვენი კლინიკის წარმატებები. გულწრფელად ვფიქრობთ, რომ ეს სწორედ თქვენი დამსახურებაა. თავის დროზე ჩვენმა ბებიამ, სოფია არღუთინსკაია-მხარგრძელმა, ქალაქს საჩუქრად გადასცა გიმნაზია.

**პატივისცემით,**

**ს. და ე. არღუთინსკაია-მხარგრძელები,**
**თქვენი კეთილისმსურველი პაციენტები**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# "მასტერა" მყიდველს ეძებს – ანუ კუდ-ის ყოფილი თანამშრომლები ფარულ ჩანაწერებს ყიდიან

რა ბინძური მეთოდებით მოქმედებდა ძველი ხელისუფლება და ქვეყანაში რომ ტოტალური მოსმენები იყო, ყველამ იცის. ათასობით ვიდეო და აუდიოფაილი, სადაც ადამიანების პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები იყო აღბეჭდილი, უკვე განადგურდა, მაგრამ შიშობენ, რომ ასლები მაინც არსებობს და მათ გამოქვეყნებას ვიღაცები მაინც შეეცდებიან. შალვა ხაჭაპურიძე ირწმუნება, რომ კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნები ამ ფირების გაყიდვას უცხოეთიდან ცდილობენ. ამბობს, რომ ჰოლანდიიდან დაურეკეს და ფირების შეძენა შესთავაზეს.

**შალვა ხაჭაპურიძე, ადვოკატი:** – ამ 9 წლის განმავლობაში ყველას უსმენდნენ და უთვალთვალებდნენ. გაძლიერებული იყო მოსმენები პოლიტიკურ ფიგურებზე, ოპოზიციონერებზე, ბიზნესმენებზე, ექსპერტებზე, ჟურნალისტებზე, ექიმებზე, შავი სამყაროს წარმომადგენლებზე... **"ნაცმოძრაობის"** წევრები ერთმანეთსაც უსმენდნენ და კომპრომატებს აგროვებდნენ. თითქმის ყველა ძალოვან სტრუქტურას ჰქონდა მოსასმენი აპარატურა. უამრავი მოქალაქის პირადი ცხოვრების კადრები არსებობს. დღეს რამდენიმე მოსამართლეს უნდა, რომ თავი დააღწიოს კუბლაშვილსა და იმ ხალხს, რომლებიც მართავენ სასამართლოს, მაგრამ სწორედ ამ კადრებით აშანტაჟებს მათ საოლქო სასამართლოს ხელმძღვანელი ვალერი ცერცვაძე. ამიტომ იძულებული არიან, უკანონო გადაწყვეტილებები მიიღონ. ვიცი, რომ ორი მოსამართლის წინააღმდეგაც გამოიყენეს ფარული ჩანაწერები.

ჰოლანდიიდან ამ დღეებში ერთი კაცი დამიკავშირდა, ხომ არ შეიძენ იმ უზარმაზარი არქივის ნაწილსო...

**– ვინ შემოგთავაზათ ეს?**

– იმ კაცს ერთ დროს მე ვიცავდი, ბიზნესმენია, გლდანის ციხეში იჯდა შეთითხნილი ბრალდებით, მერე გაატყავეს და გამოუშვეს. მას საქართველოს მოქალაქეობაც ჰქონდა ევროპის მოქალაქეობასთან ერთად. გათავისუფლების მერე მალე წავიდა ჰოლანდიაში. იქ ჩვენი ძალოვანი სტრუქტურების ყოფილ თანამშრომლებს შეხვდა, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში დაბოდიალებენ. როგორც მითხრა, ამ ჩანაწერებში ასახული არიან **"ნაცმოძრაობის"** წევრები, ჟურნალისტები, ოპოზიციონერები, მოსამართლეები, პროკურორები... ვისზეც მოისურვებთ ჩანაწერების ნახვას, იმას მოგყიდიან, შეგიძლია შეარჩიოო. რამდენიმე დეპუტატის გვარიც დამისახელა.

**– რამდენად ყიდიან და ვინ ყიდის?**

– ფასის გარკვევა არც მიცდია, პირდაპირ უარი ვუთხარი, ვინც გადაიღო, იმან უყუროს სხვისი პირადი ცხოვრების ბინძურ კადრებს-მეთქი. კუდ-ის ყოფილი თანამშრომლები ყიდიან, ეტყობა, თან წაიღეს და ცდილობენ ეს შემოსავლის წყაროდ გაიხადონ. ალბათ, ამას მარტო მე არ შემომთავაზებდნენ. თუ სადმე ინტერნეტში დადეს, იციან, ამის გაშიფვრა ადვილია და ამიტომ ასე გავრცელებას არჩევენ. დაახლოებით ვიცი, რომელ გუნდს გადაეყარა ჩემი ნაცნობი, ისინი კუდ-ის ის თანამშრომლები არიან, ყველაფერზე რომ აწერდნენ ხელს. გვარებიც მითხრა, მაგრამ თავს შევიკავებ დასახელებისგან.

**– იქნებ ერთი მაინც დაასახელოთ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაციაა.**

– **"მასტერაზეა"** საუბარი. ის ეძებს მყიდველებს. ვინც შემომთავაზა ყიდვა, იმან ისიც მითხრა, თუ გინდა, უფულოდაც მოვაცემინებო. არ მინდა, ჩემზე თუ აქვთ რამე, აჩვენონ, რომელ არხზეც უნდათ-მეთქი.

**– იქნებ ის გვარები დაასახელოთ, ვისზეც შემოგთავაზეს კომპრომატები?**

– გვარებს ვერ დავასახელებ...

**– სად არის ახლა ის მოსასმენი აპარატურა?**

– ვიცი, რომ დიდი ნაწილი არჩევნების შემდეგ ამოიღეს და მერიაში ერთ-ერთ სართულზე ინახებოდა. ამ დღეებში პატიმარმა პროცესზე წარადგინა ერთი მოსასმენი აპარატი, თურმე გლდანის ციხის კედლიდან ამოიღო, ეტყობა, დარჩათ.

**– იქნებ ახლაც უსმენენ პატიმრებს?**

– რომელიღაც ჯგუფს დღესაც უსმენენ, მაგრამ მოსამართლის ბრძანებით. ეს ტექნიკა 7 ნოემბრის შემდეგ შემოვიდა. მაშინ შემოიყვანეს ის მანქანაც, გარედან თითქოს ნაგვის მანქანა იყო, მაგრამ შიგნით 6-7 კაცი დაეტეოდა. ეს იყო ჯავშნიანი მანქანა, მიშას მოეწონა და აყიდვინა. საჭიროების შემთხვევაში იმიტაციას გააკეთებდნენ, თითქოს პრეზიდენტის სასახლიდან გამოდიოდა ნაგვის მანქანა და სინამდვილეში პრეზიდენტის და მისი ოჯახის ევაკუაცია მოხდებოდა. მაშინ დაძაბული სიტუაცია იყო და სასწრაფოდ შეიძინეს. არ ვიცი, ეს მანქანა ახლა სად არის. მასთან ერთად ისრაელიდან ჩამოიტანეს ულტრათანამედროვე აპარატურა, რომელსაც არ სჭირდებოდა დამონტაჟება, მხოლოდ სათვალთვალო ობიექტზე დამიზნება იყო საკმარისი.

ნაძირალა და ზნედაცემულ სააკაშვილს სხვისი პირადი ცხოვრებაც აინტერესებდა... როცა საკაბელო ტელევიზია ან ინტერნეტი შეჰყავდათ სახლებში, იქაც ამონტაჟებდნენ მოსასმენ აპარატურას... თუ იტყოდი ტელეფონში, ხვალ ამ კაფეში შევხვდეთო, იქ უკვე დაგხვდებოდა აპარატურა. ერთხელ მე და სანდრო ბრეგაძე შევხვდით კაფეში, იქ ერთი ჩვენი ნაცნობი მუშაობდა და მაგიდას რომ მივუსხედით, თვალით რაღაცას გვანიშნებდა. მოვახერხე მასთან საუბარი და მითხრა, თქვენს მაგიდაზე ჩხირები რომ დევს, იმაშია დამონტაჟებულიო. ამის მერე კონკრეტულ ადგილს არ ვუთქვამდით ერთმანეთს, შეხვედრის მერე გადავწყვეტდით, სად წავსულიყავით. წარმოიდგინეთ, ბევრი კაცის ცოლთან ურთიერთობის სცენებიც კი გადაუღიათ.

**– ეს მაინც რისთვის სჭირდებოდათ?**

– ეუბნებოდნენ, ამას გამოვაქვეყნებთ, მერე რა, რომ ცოლთან ხარო... იღებდნენ ქორწილებს, სიძე-პატარძალი ქორწილის მერე სასტუმროში რომ წავიდოდა, მათ ურთიერთობასაც იღებდნენ, მათი პრინციპი იყო ასეთი, რა იცი, რაში გამოგვადგებაო. კაცი, რომელიც არაფერს აშავებდა, აკავებდნენ და ეუბნებოდნენ, ეს დანაშაული შენი ჩადენილიაო. ის ამბობდა, არა, რას ამბობთო. ეგ კი არა, ბიჭო, ჯვარი როდის დაიწერე, შენს ქორწილში რა ხდებოდა, სად იყავი ცოლთან ერთად და რას აკეთებდი, ყველაფერი ვიცითო და ულაგებდნენ ვიდეოფირს. გაგიჟდებოდა კაცი და ამის მერე ყველაფერზე აწერდა ხელს. ზნედაცემული ადამიანი იყო სააკაშვილი და ამიტომ ხდებოდა ასეთი საშინელება. ბაჩო ახალაია შეიწყალა, ცდილობს მის რეაბილიტირებას, ეშინია, პირი არ დააღოს და არ ილაპარაკოს. ჩემი ინფორმაციით, კეზერაშვილი უკვე იძლევა ჩვენებებს ძველ ჩინოვნიკებზე.

**– კეზერაშვილის ადვოკატი რომ უარყოფს? რა ინფორმაციაზე დაყრდნობით აცხადებთ ამას?**

– კეზერაშვილი კი არა, ისეთი ხალხი იძლევა ჩვენებას, გაგიკვირდებათ. ჩვენ გვაქვს ფრანგ ადვოკატებთან ურთიერთობა. ბუნებრივია, დეტალებს არავინ მოგიყვება, კონკრეტულად, რა თქვა, მაგრამ ინფორმაცია მოვიდა, რომ მან ამხილა რამდენიმე პირი...

**ე. ასათიანი**

# რუსეთში დიდი ტერაქტების უკან ამერიკის მთავრობა დგას

აღნიშნული განცხადება ეკუთვნის FBI-ის ყოფილ თანამშრომელს სიბელა ედმონდს.

ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთის თავგამოდებული მეგობარი რომ არ არის, ეს რუსებმაც კარგად იციან, ამერიკელებმაც და მთელმა სამყარომაც. პირიქით, როგორც კი შესაბანის მომენტს დაიჭერენ, ამერიკელები ყოველი ხერხების გამოყენებით ცდილობენ რუსებს ჩაით სავსე დამტკბარ ჭიქაში ბლომად მარილი ჩაუყარონ. განა დიდ საიდუმლოებას წარმოადგენს ის ამბავი, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში მოწყობილი ყველა ფერადი რევოლუცია ამერიკელების სცენარით იყო დადგმული, რათა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა შემცირებულიყო. მართალია, საბოლოოდ, რევოლუციური თრობისაგან ეს გზააბნეული ქვეყნები ხვდებიან, რომ ამერიკელთა იაფფასიან სატყუარას წამოეგნენ და კვლავ საკუთარ პოლიტიკურ ორბიტას უბრუნდებიან, მაგრამ იკარგება ძვირფასი დრო, იღუპებიან უდანაშაულო ადამიანები, საფრთხე ექმნება საერთაშორისო მშვიდობას...

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტებში ჩეჩნური, ალ კაიდასა და მაფიურ-პოლიტიკური ორგანიზაცია ***"Far West"***-ის შესაძლო როლის კვლევისას საერთაშორისო რედაქცია ახლახან გაეცნო FBI-ის ყოფილი თანამშრომლის სიბელა ედმონდსის ოთხსაათიან ინტერვიუს, რომელიც მან **„კორბეტ-რეპორტის"** მფლობელსა და ამერიკული ალტერნატიული ქსელური გადაცემის წაყვან ჯეიმს კორბეტს მისცა. ეს ინტერვიუ ოთხ ნაწილად გამოქვეყნდა თებერვალში, ჩვენ კი მას მხოლოდ მაისის ბოლოს წავაწყდით. 9-11-ის წარმოშობის თაობაზე ჩვენი ძირითადი ჰიპოთეზა იმაში მდგომარეობდა, რომ ამ მასშტაბებისა და სირთულის ტერაქტები შეიძლება ჩაფიქრებული და ორგანიზებული ყოფილიყო მხოლოდ დიდი გამოცდილების მქონე საიდუმლო სტრუქტურების მიერ და რომ ერთადერთი ასეთი სტრუქტურა იყო ნატოს იატაკქვეშა ქსელი კოდური სახელით **"გლადიო"**. ყოველ შემთხვევაში, ამ ქსელს ასე უწოდებდნენ იტალიაში და დღეს ეს სახელი საყოველთაოდ მიღებულია ნატოს ქსელთან დაკავშირებით, მთელი თავისი დიდი შტაბ-ბინით ბრიუსელში.

ამერიკულმა და ბრიტანულმა დაზვერვამ **„გლადიოს"** შექმნა 1940-იანი წლების ბოლოს, გალენის ორგანიზაციის დახმარებით დაიწყო, რომელიც აბვერისა და მესამე რაიხის სხვა სპეცსამსახურების ყოფილი ოფიცრებისაგან შედგებოდა.

**საქ. ინფ.**



## პოეზიის კუთხე

### ხვათახვალე

– ჰა, ხვათახვალე ქიმკვოსქიდი ჭვემა-ჭოროფას,
ჩელა მუნაფას ქუვხუტოლე ჩქიმი ლერსეფი,
გურიშ ტომბაშა მუ უღალგ თეზმა ცოროფას?
ირიათონქჷ დგმოგურუ რინაშ წესეფი.
ართო ჭუა რე, მუჭოთ ქირსეშ ჭიფე ლისმარი,
ტანცჷ წირღოლი, ცარაიას გევორექ ხვალე,
ღურუშ შარა-კარს გჷმოშინანც არძა სისმარი
დო მათხირცალო გივოჩვიგჷქ სქან გურიშ გალე.
მოფორჩილი რე დღალეფი დო ირქენც ბორია,
გვალაშ ლაკადეფც ეკოთხოზჷ ფირქი რტებული,
ცოროფაქ მორთჷნ, თი შვანც დუდი აკივბორკია,
ხვალე თიშოთჷ ვორექია შურგოტებული.
არძა ნარტისჷ ნოკობუე ხეში გოლუა,
მაღურუცალო დინმოჯინე ხუმლა პეული,
თაქ ხვათახვალე ვანორგებე ნგარა-თვალუა,
ოწმახ გიჩქჷ და ოღურუშა მუშენ მეული?
ეკონია რე, ომბოლო ჩქუ ასე ლანჯეფი
დო ჩქინი შკასჷ უჩურცხალი ჭუა ეშარე,
დუც გინმოჯინე თირმოლებური ქირქე-წვანჯეფი
დო არძა ლიმენც მივაკითხა, მუჭოთ მეშარე.

**გიორგი ხულორდავა**

### ერჯიცალო ქივერკინათ

დიხას მუსხი ქიმთოდვეს
ტან – ჩეჯა დო თოლი – გვირა,
წირდა, მუჭოთ წყარიწკონდა
გამბახეს სქვამიცირა...
მუსხიორე, მუსხიორე
ჩილამურით თოლი ეფშა,
გილურს გური გოსოფილი
მითინს ვაგარზინე თეშა...
დორაგვაფილ ომარგალეშ
მიდგას ვაკო წიმოდგინა,
მუშიანიშ გითმაჩამალს
ერჯიცალო ქივერკინათ!..
ქოღირუნო, ქომიწითი,
გოლანძღირო ჩქინი რინა,
ჯაბაშ უღუშ მუნოდგუმა
ვემიფთვინათ, ვემიფთვინათ!
ერჯიცალო, ერჯიცალო,
ბოშკოჩურო ქივერკინათ!..

### სოხუმიშ გვალას

ჩე ვარდამი, მაგლონია,
ცა – სარკილი ბროლი...
– სქან ვორექ დო მუთ გოკონი...
მირაგადუდ თოლი...
ბორჯ მიკილ დო
– ჩქი გვალაშა ჟი ეკულას,
გურკით
მილარნალი ეფშა მაფუ
სიგარეტიშ ფურკით...

**რამაზ კუპრა**

# დარიალის სასაზღვრო გამტარი პუნქტი 15 იანვარის დილის 07:00 საათიდან მუშაობის 24-საათიან რეჟიმზე გადავიდა

გამოქვეყნდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება: **„გაცნობებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს დარიალის სასაზღვრო გამტარი პუნქტი 15 იანვარის დილის 07:00 საათიდან მუშაობის 24 საათიან რეჟიმზე გადავიდა. შს სამინისტრომ გადაწყვეტილება იქიდან გამომდინარე მიიღო, რომ საქართველოში ზამთრის კურორტებზე ტურისტების საგრძნობი მატებაა, იმატა ქვეყნიდან სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზღვარგარეთ ექსპორტმა, ასევე გაიზარდა სატრანზიტო მოძრაობის ინტენსივობა. ამასთან, რუსეთის ფედერაციაში გამსვლელი სატვირთო ავტომობილების მძღოლებისთვის რუსეთის ფედერაციის ვიზების გაცემა გამარტივდა. აღნიშნული პროცედურები იმისთვის ტარდება, რომ ვიზიტორების მოსალოდნელი მატების პირობებში დარიალის სასაზღვრო გამტარი პუნქტის გავლით საქართველოში შემომსვლელ და გამსვლელ მოქალაქეებს მგზავრობისას გაუმარტივდეთ გადაადგილება."**

## ჯალაღონია-ჯალაღანიების გვარის დალოცვა

2014 წლის 25 მაისს საქართველოს **კათალიკოს პატრიარქი ილია II** დალოცავს **ჯალაღონია-ჯალაღანიების** გვარს. ამისთვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა), რისთვისაც **"ლიბერთი ბანკში"** გახსნილია ანგარიში. **მფო 220101480 ანგ. №GE44LB0711101664171640 (როლანდ ჯალაღანიას სახელზე).** მნიშვნელოვანია, ყველა ჯალაღონია-ჯალაღანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: **599-57-33-22, 597-34-43-70 – როლანდ ჯალაღანია).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



*დასაწყისი "ილორი" №171-253*

**– მაშინ რისთვის შემოიყვანეს ბალტინის ფლოტი?**

– ბალტინის ფლოტი შევარდნაძეს არ შემოუყვანია, ყველაფერი შეიძლება დააბრალო მას, მაგრამ ეს არა. თავიდან მე ვიყავი ჩასული მოსკოვში და ვთხოვე დახმარება. აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ მათთან მოლაპარაკება გავმართე და თავადაც იყო მონდომებული, რომ აეღო საპორტო ქალაქები, სოხუმი, გუდაუთა, ოჩამჩირე.

**– როგორ, სამოქალაქო ომში ბალტინს მონაწილეობა არ მიუღია?**

– არა, ბალტინმა, უბრალოდ, შეაჩერა და განმუხტა ქუთაისთან სიტუაცია. ბალტინს ერთი ტყვიაც არ გაუსვრია.

**– სამეგრელოს ვინ ბომბავდა?**

– რომელ სამეგრელოს ბომბავდნენ, ერთმანეთს ებრძოდნენ გვარდია და მხედრიონი. ბალტინის ერთი კაცი მაჩვენეთ, რომელმაც ტყვია გაისროლა.

**– შევარდნაძეს ხელისუფლების შენარჩუნებაში ვინ დაეხმარა მაშინ?**

– შევარდნაძეს თავად ჰყავდა შეიარაღებული ფორმირებები და იგორ გიორგაძის სპეცრაზმი. ქუთაისში ვიყავით დაბანაკებული და შემოვიდნენ ჯაბა იოსელიანი – უჯარო გენერალი და ელგუჯა ბუცხრიკიძე. მათ უთხრეს შაშიაშვილს, რომ ოთხ საათში უნდა დაცლილიყო ქუთაისი, რადგანაც ველარ დაიცავდნენ.

**– ეს როდის?**

– სანამ ბალტინი შემოვიდოდა. მე მაშინ ჭუბერიდან 100 კაცი ჩამოვიყვანე და ხობისკენ გავეშურე. სადაც ედპ-ს ჰქონდა აღებული კონტროლი, მაგრამ მიეტოვებინათ. იქ ახალი გამგებელი, გურამ მონიავა ჩავიყვანე. მოლაპარაკება გავმართეთ ექსპრეზიდენტის მომხრეებთან. მათ აგრესია აღარ გამოუხატავთ. ამის შემდეგ ბალტინი შემოვიდა და სამოქალაქო ომი შეწყდა.

**– მაინც გაუგებარია, რა ფუნქციას ასრულებდა ბალტინი?**

– აბსოლუტურად არაფერს. მას აფხაზეთის დაბრუნების ფუნქცია ჰქონდა. შევარდნაძემ არ გამოიყენა ბალტინი. (გულიკო ბალაძე – **"ბალტინის ჯარი რომ შემოვიდა კოსმოში ვიყავი"**, გაზ. **„ახალი თაობა"**, 2000.წ, 27 მარტი, №84.). ასეთია მაშინდელი მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ა.მარგიანის თვალსაზრისი, თუმცა ხალხმა ყველაფერი იცის. ჟურნალისტები კატეგორიულად მიუთითებენ, რომ ა. მარგიანი აქტიურად იბრძოდა ზ. გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ და ასევე ე. შევარდნაძის დავალებით, აქტიურად დასდევდა სამეგრელოში თავშეფარებულ ზ. გამსახურდიას.

ჟურნალისტმა გიორგი მამაცაშვილმა გაზეთ **„ასავალ-დასავალში"** გამოაქვეყნა საქართველოს სამხედრო მინისტრისა და ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდლის. ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებული ამბოხის გზით დამხობის ორგანიზატორისა და 1991-1992 წლების მოვლენების ერთ-ერთი ორგანიზატორის თენგიზ კიტოვანის ე.წ. **„დაკითხვის ოქმი"**. კიტოვანი ამბობს: **„ზვიად გამსახურდია შევარდნაძემ მოკლა. სხვას არავის მოუკლავს. ეგ იყო ერთ-ერთი ავტორი ამ მკვლელობისა, რომლის შემსრულებელი იყო ოთხი კაცი! შევარდნაძის დანაშაულებზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. მაგის სინდისზე არ არის „თვითფრინავის ბიჭების" დახვრეტა? თუ მაგის მოწყობილი არ იყო ის ავარია პრემიერი შეიწირა? დიახ, ზურაბ პატარიძეს სწორედ შევარდნაძის დავალებით მოუწყვეს ავარია, რომ მოეკლათ! იუზა კობახიძე რომ იყო, მე დავახვრეტინე თუ ედუარდ შევარდნაძემ? ფინანსთა მინისტრი დემურ დვალიშვილი ვინ მოკლა? ედუარდ შევარდნაძე არ იყო, მაგის თვალწინ რომ ჩახოცა ხელებშეკრული ბიჭები კვირაიამ? პასუხი მოთხოვა კვირაის ვინმემ? მაგის და კვირიას სინდისზე იმდენი მკვლელობაა, რომ ჩამოგითვალოთ გაგიჟდებით... მე იმ ოთხი კაცის გვარსაც გეტყვით, რომლებმაც მოკლეს ზვიად გამსახურდია შევარდნაძის დავალებით!"** (თენგიზ კიტოვანის **„დაკითხვის ოქმი"**, გაზ. **„ასავალ-დასავალი"**, 2011, 29 აგვისტო-4 სექტემბერი (გაგრძელებით) №35, გვ. 30). როგორც ითქვა, თენგიზ კიტოვანი ადანაშაულებს გია გულუას, გია ჭანტურიას და სხვებს. იმასაც ამბობს, რომ ავთანდილი მარგიანს 50 ათასი დოლარი ჰქონდა ზვიადის მოსაკლავად.

თენგიზ კიტოვანის ინტერვიუებში და „დაკითხვის ოქმში" ვერ გაარკვევ რომელია სიმართლე და რომელი სიცრუე. მას იმდენი დანაშაული აქვს ჩადენილი ქართველი ხალხის წინაშე, რომ მისი **„გათეთრება"** შეუძლებელია. მას საქართველოში არ ედგომებოდა და რუსეთს აფარებს თავს.

ქართველმა ხალხმა იცის, რომ ხელისუფლებამ მრავალი მილიონი დოლარი გადაუხადა ედუარდ ბალტინს და რუსეთის ხელისუფლებას საქართველოს ხელახალი იკუპაციისათვის; ედუარდ ბალტინის საზღვაო ქვეითმა ჯარებმა დაამარცხა კოპიტნარამდე თითქმის მარშით მოსული კანონიერი ხელისუფლების ჯარები, რომელსაც დიდი მსხვერპლი მოყვა. ამით ხელისუფლებამ ძალაუფლება შეინარჩუნა. ბალტინის ჯარს მიუძღოდა – ბალტინს ტანკში ეჯდა ა. მარგიანი და მანქანით უკან მიყვებოდა ვ. გოგუაძე. ამ საკითხებზე სხვაგანაც გვაქვს საუბარი.

საქართველოში, 1991 წლის ბოლოს და 1992 წლის დამდეგს, დაწყებული შიდა ომის სხვადასხვაგვარი შეფასება არსებობს. მიმომხილველთა უმრავლესობა მას სამოქალაქო ომს უწოდებს. ღირსეული ქალბატონი, დიდი პატრიოტი, ლატავრა ფოჩიანი, რომელმაც თავისი სილამაზითა და ცეკვით განაცვიფრა მსოფლიო, ინტერვიუში, ჟურნალისტ ანი ფერაძესთან ამბობს: **„ჩვენი ქვეყნის უბედურების ბოლო წლების მიზეზი 1991-92 წლების სამხედრო კრიმინალური გადატრიალებაა. არავითარი სამოქალაქო ომი საქართველოში არ ყოფილა, იმიტომ, რომ სამოქალაქო ომში უცხო ძალა... არ მონაწილეობს. ჩვენ კი რუსეთის იმპერია გვებრძოდა, სამხედრო ტექნიკის, მათ მიერ ჩანერგილი აგენტებისა და ელიტარული ინტელიგენციის სახით.**

**დემოკრატიის დროშით მოსულები სისხლში ახშობდნენ ყოველგვარ საპროტესტო აქციებს, ბოლო არ უჩანდა მხედრიონის აღვირახსნილ თარეშს, სადამსჯელო ოპერაციების სახით. ამ პუტჩის მთავარმა სულისჩამდგმელმა და ორგანიზატორმა შევარდნაძემ სამაჩაბლო და აფხაზეთი მის მშობლიურ რუსეთს ჩააბარა, ქვეყანა ძაძებით შემოსა.** (ლატავრა ფოჩიანი, **"ბესო გუგუშვილი ზვიად გამსახურდიას მკვლელობის თანამონაწილეა. ულამაზესი ქალი, რომელიც „ბეტეერს" წინ გადაუდგა"**, ინტერვიუ ანი ფერაძესთან, გაზ. **„ჯორჯიან თაიმსი"**, 2007, 15-22 მარტი, №011, გვ.8.).

სახელოვანი ქალბატონი, ლატავრა ფოჩიანი, ერთ-ერთი ზვიადის მომხრეთა მიტინგის დარბევის დროს **„ბეტეერს"** გადაუდგა, მაგრამ სიკვდილს გადაურჩა, იგონებს: **„მახსოვს, დიდუბის მეტროსთან სისხლის გუბეები, ნარკოტიკით გაბრუებული ახალგაზრდები ხალხს დაუზოგავად ურტყამდნენ... გამოდიოდა ჯაბა იოსელიანი და ამაყად იძახდა, მიტინგს თუ არ დაშლით, ყველას ადგილზე დაგხვრეტთ..."**

ზვიად გამსახურდიას შესახებ ლ. ფოჩიანი ამბობს: **„მე-20 საუკუნეში საქართველოსთვის მასზე მეტი არავის გაუკეთებიაო".**

**„რაც უფრო შორდება საქართველოს ზვიად გამსახურდიას ეპოქა, მით უფრო უახლოვდება ზვიადი საქართველოს! ამ მოვლენას ერთადერთი სახელი ჰქვია – უკვდავება!"...** (იხ. დიტო ჩუბინიძის სტატია, გაზ. **„ასავალ-დასავალი"**, 2007, 2-8 აპრილი, №14, გვ. 6.).

ლ. ფოჩიანი და სხვები, შემთხვევით არ მოითხოვენ პირობითად მაინც გაასამართლონ სახელმწიფო დამნაშავეები: **„აი, სამართალი მაშინ იზეიმებდა, ჯერ პირობითად მაინც რომ გაესამართლებინათ პუტჩის ორგანიზატორები" და საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს მიმართავს: „თქვენ შეძელით შევარდნაძე და მისი ხროვა ხელისუფლებიდან ჩამოგეცილებინათ, ახლა ჩემი თხოვნაა, ჯერ ზვიადის და საქართველოს მკვლელი შევარდნაძე გაასამართლოთ და მერე გადმოასვენოთ სამშობლოში საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ცხედარი".** (ლატავრა ფოჩიანი, **"ბატონო მიხეილ, ჯერ ზვიადის მკვლელი შევარდნაძე გაასამართლეთ და მერე გადმოასვენეთ პირველი პრეზიდენტის ცხედარი საქართველოში!"**, ინტერვიუ ჟურნალისტ ნატო ფოცხიშვილთან, გაზ. **„ასავალ-დასავალი"**, 2007, 19-25 მარტი, №12, გვ. 15.).

შემთხვევით არაა ნათქვამი: **„ილია ჭავჭავაძესა და ზვიად გამსახურდიას საქართველო ფერშლებმა მოკლეს"** (იგულისხმება ს. ორჯონიკიძე და ე. შევარდნაძე).

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, რუსეთში მოღვაწე ვლადიმერ ვახანია წერს: **„გავიხსენოთ ბოლო ათწლეულებიც. შევარდნაძის გაუაზრებელმა (პოლიტიკურად უსაფუძვლო და არაადეკვატურმა) მოქმედებამ – აფხაზეთში ე.წ. ჯარების შეყვანამ, წარმოშვა სამხედრო კონფლიქტი ჩვენს სისხლისმიერ ხალხთან. ამ გაუგებარ ომში ათასობით უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა, 300 ათასზე მეტი აწიოკდა და უსახლკაროდ დარჩა. ვინაა დამნაშავე? „ქართველი პატრიოტი" შევარდნაძე ხომ არა? „დიდი პოლიტიკოსი", რომელმაც როგორც „დიპლომატმა" მთელი მსოფლიო მოიარა, ნუთუ ვერ უნდა გაეთვალისწინებინა არძინბას და მის ზურგს უკან მდგარი ძალების სეპარატისტული შეთქმულების მომავალი შედეგები? შევარდნაძის მოქმედება აშკარად პროვოკაციული იყო და ჰგავდა „ნადირის შეტყუებას დაგებულ ხაფანგში". ეს სარწმუნოდაა ცნობილი აფხაზეთში გასამხედროებულ ფორმირებათა შეყვანის მომენტისათვის, სეპარატისტებთან ახლოს მდგარ სპეცსამსახურებში ამტკიცებდნენ, რომ „...ყველაფერი დამუშავებული გეგმის მიხედვით მიმდინარეობს... საზღვარი მდინარე ენგურზე გავა..." რატომ მიჰყვა შევარდნაძე ამ დამუშავებულ გეგმას, არ ესმოდა და ვერ გაიგო? რა აქვს საამაყო ადამიანს, რომელმაც თავისი მოქმედებით, საკუთარი ძალაუფლების მოსაპოვებლად მთლიანად არია საქართველო? ან იქნებ თქვას, რომ მოატყუეს? მაშინ განაცხადოს, ვინ მოატყუა და ვისთან რაზე მოილაპარაკა."** (ვლადიმერ ვახანია, საქართველოს ერთადერთი მოკავშირე თავისი ხალხია, გაზ **„ასავალ-დასავალი"**, 2007 წლის 31 დეკემბერი, 2008, 13 იანვარი, №1, გვ. 2-3.).

ვლადიმერ ვახანია ანალიზს უკეთებს უკანასკნელ წლებში საქართველოში შექმნილ ვითარებას, ხაზგასმით ამბობს: **„ძმათამკვლელ ომში გააგზავნა მშიერ-ტიტველი ბიჭები და მათთან ერთად გასამხედროებული ფორმირებები ცრუ პატრიოტების (თუ ყაჩაღების არა) კიტოვანისა და იოსელიანის ხელმძღვანელობით (მათ მიერ ორგანიზებული სამეგრელოს ძარცვა ყველასათვის ცნობილია). შევარდნაძემ შეატაკა ერთმანეთთან ხალხი, ოჯახები, აფხაზები ხომ ძირძველი ქართველები არიან. ტრაგედია დატრიალდა – ქართველები ქართველებს დაერივნენ. რის გამო? იქნებ დავკითხოთ შევარდნაძე? გვითხრას, ვინ რას დაჰპირდა და რამდენად გაყიდა თავისი ხალხი? ან იქნებ გვითხრას როგორი ფინანსური ანგარიშები აქვს (მათ შორის გაყინული) და სხვა რა ბერკეტები გააჩნია? ან ეგებ ეს ყველაფერი საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად, თავისი პრივილეგიებისათვის მოიმოქმედა?"** შემდეგ აგრძელებს: **„ჟვანიამ დიდი როლი შეასრულა შევარდნაძის გადაყენებაში. შეუძლებელია, შევარდნაძეს ეს დავიწყებოდა. კიდევ მეტი – შევარდნაძე როგორც შურისმაძიებელი პიროვნება, ამას არ აპატიებდა, რადგან მისთვის ხელისუფლება ნიშნავდა ყველაფერს.**

**...ძალაუფლებისა და ფულის გამო შევარდნაძე არ იშურებდა არაფერს და არ ერიდებოდა არავის. თავის გზაზე ის თელავდა ყველას. აწყობდა მკვლელობებს და თვითმკვლელობებს, აფეთქებებსა და აოხრებებს, ოსტატურად ანაცვლებდა მესამე პირებს."**

ე. შევარდნაძეს დანაშაულებების წინააღმდეგ სისხლის სამართლის დანაშაულსა და პასუხისგებაში მიცემის შესახებ აღნიშნავს: **„ამ ფაქტთან დაკავშირებით სააკაშვილმა ერთ-ერთ გამოსვლაში განაცხადა შევარდნაძეზე სასამართლოს დევნის შესახებ. მაგრამ ეტყობა მის (შევარდნაძის) რამდენიმე საერთაშორისო „მეგობარ-მფარველის" თხოვნით ეს არ განახორციელა. ჩვენ ყველას ვაპატიებთ დანაშაულს და მერე კი გვიკვირს. აქ საქმე ეხება არა შურისძიების, არამედ საკუთარი ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამოაშკარავებას. ცრუ ხელმძღვანელების გამოაშკარავება, ყოველთვის მისასალმებელია...**

**სამწუხაროდ, საქართველოში სახელმწიფო სამსახურში ყოფნა მრავალს სურს მხოლოდ საკუთარი ბიზნესის წარმატებით მართვისათვის და არა ერისკაცობისათვის. ცნობილია, რომ ბიზნესი და სახელმწიფო პოსტი შეუთავსებელი ცნებებია. ეს დამღუპველია ქვეყნისათვის, მითუმეტეს საქართველოსათვის. ფული ყველას სჭირდება, მაგრამ საშინელებაა, მისი გულისათვის სამშობლოს ჰყიდიან.**

**ეს აბსოლუტურად სწორი დებულება, უნდა გაითვალისწინოს ხელისუფლებამ. კაპიტალისტ-ოლიგარქები ხელისუფლებას უნდა ჩამოსცილდნენ.**

აკად. ვლადიმერ ვახანია აკეთებს დასკვნას: **„მინდა განვმარტო ჩემი პოზიცია: ჩვენ ვერ გვიშველის დასავლეთი, აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი თუ სამხრეთი. ჩვენ თავს მხოლოდ ჩვენ ვუშველით, არაფერს გვარგებს ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადავარდნა. არ შეიძლება, გაუთავებლად ვადანაშაულებდეთ სხვებს საკუთარი შეცდომების გასამართლებლად. ასე აკეთებდა ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძე და, სამწუხაროდ, დღევანდელი ხელისუფლებაც ამას სცოდავს."** (ვლადიმერ ვახანია, საქართველოს ერთადერთი მოკავშირე... გაზ. **„ასავალ-დასავალი"**, 2007, 31 დეკემბერი, 2008 წ. 13 იანვარი, №1, გვ. 4.).

ხალხი, ერი თხოულობს სახელისუფლო დამნაშავეების სააშკარაოზე გამოყვანას, მათ უნდა აღიარონ თავიანთი დანაშაული და ქვეყანას პატიება უნდა თხოვონ, სხვა რომ არა, ხომ უნდა მოინანიონ! ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ცნობილი ლიდერი ქალბატონი თამარ ჩხეიძე სწორად წერს: **„დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ, თორემ სახელმწიფო ვერ აშენდება".**

ყველა მიუკერძოებელი მიმომხილველი ერთხმად ამტკიცებს და ცხადია, რომ ყველაფერი ეს გაკეთდა ხელისუფლების შენარჩუნებისათვის. ყველამ კარგად იცის, რომ ე. შევარდნაძე უდიდესი პოლიტიკოსია, მაგრამ ქვეყნისათვის უდიდესი ტრაგედია იყო ძალაუფლების შენარჩუნებისათვის ის რაც გააკეთეს, სხვა რეალური გზა რომ არ აღმოჩნდა (სხვა გზა არ უნდოდათ, სხვა გზა არ უძებნიათ, რადგან ეს შეკვეთილი გზა მოსწონდათ). აფხაზეთი და სამაჩაბლო ამიტომ დათმეს.

რაც გინდა წერონ და ილაპარაკონ უტყუარი ჭეშმარიტებაა ის ფაქტი, რომ ედუარდ შევარდნაძე უნიჭიერესი პიროვნებაა, დიდი დიპლომატი (შეიძლება ითქვას, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი დიპლომატი), სტრატეგი.

ჟურნალისტები სხვადასხვა სპეციალობის მიმომხილველები. პოლიტოლოგები წერენ, რომ XX საუკუნის 70-იანი წლებიდან დღემდე (2009წ.) საქართველოს რაც უბედურება ჭირს ე. შევარდნაძისაგან მომდინარეობს, მაგრამ ყოველთვის ყოველი საქმიდან **„მშრალი"** გამოდიოდაო. ეს განა უდიდესი ნიჭი არ არის?

**კლიმენტი შელია,**
**პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იბერიული ენა და საზოგადოების სრულყოფის პრობლემა

წყლის ღრმა ჭა, სიღრმის სიმბოლოა, საიდანაც სიცოცხლის წყარო მოიპოვება. სიტყვა **ჭარა** (წერა) ნაწარმოებია სიტყვათა კომპოზიტიდან **ჭ, რე→ჭა რე** (სიღრმე არის) →ჭა რა. **ჭ** ბგერის აღმნიშვნელი ასონიშნის (ჭ), სახელდებით **ჭარ**, ქარაგმაგახსნილ მდგომარეობაში „**ჭ**[,] ა[დამიანიში] **რ**[ინაში]" (სიღრმე ადამიანის არსებობისა), გრაფიკულ მოხაზულობაში, ჩვენი აზრით, ხაზგასმულია შემოქმედის ჩანაფიქრის საბოლოო მიზანი: თავისი უდიდესი ქმნილების, სამყაროს გვირგვინის – ადამიანის შერწყმა მარადიულობასთან. ასონიშნის (ჭ) გრაფიკული მოხაზულობა უსასრულობის ნიშანია.

6. ბგერა-სიტყვა **წ**, დღეს იხმარება ორი მნიშვნელობით: ა) წ, (მიმდინარე წელს); ბ) წ, (წოვა). მაგ., „ჩქ, ჩქ, ქ ძუძუ გე-**წ**," (ჩვილმა ძუძუ მო-წოვა).

**წოვა, საკვების მიღება** ხორციელი ადამიანისათვის აუცილებელი და ბუნებრივი, მაგრამ ეგოისტური არაწმინდა ძალთა თვისებაა ადამიანში. მზე მუდმივად აფრქვევს დედამიწას სასიცოცხლო ძალას, მაგრამ მიღებულ ძალას დედამიწა გასცემს. ხოლო ადამიანი წოვს, იღებს თავისთვის. მისი გარდაქმნა ალტრუისტულ თვისებად, შეუძლებელია, მაგრამ, თუ ადამიანი წოვს, ისრუტავს ღვთიურ სიბრძნეს, მის კანონზომიერებებს და ამ კანონზომიერებებთან ჰარმონიაში ცდილობს გაატაროს თავისი ცხოვრება, ამასთან, სიხარულით გასცემს შეძენილ ცოდნას და სიბრძნეს, მაშინ აღსრულდება დიდი შოთა რუსთაველის შეგონება: **„რასაცა გასცემ შენია, რას არა დაკარგულია".**

ამდენად დიდია, ამდენად ამამაღლებელია და სასარგებლო შემოქმედთან თანამშრომლობა. ე.ი. სიტყვაში წოვა დევს ადამიანში არსებული ურთიერთ საწინააღმეგო თვისებები.

7. ბგერა-სიტყვა **ძ**, იხმარება შემდეგი მნიშვნელობებით: ა) **ძევს** (დევს), უმოძრაოდაა; ბ) ძოვა. მაგ. „ჩხოუ მინდორც **ძ, -ნც**" (ძროხა მინდორზე ძოვ-ს), მსგავსად სიტყვებისა თ, -ნც (თოვ-ს), წ, -ნც (წოვ-ს) და ა.შ.

ძევს (დევს), ზოგადად, დება უმოძრაობის სიმბოლოა და უსულო საგანთა თვისებაა, **ძოვა**, კიდევ, ცხოველური. თუ ადამიანი ამ თვისებათა მატარებელია, ის მკვდართ მიეკუთვნება და არათუ გარემოცვისთვის სარგებლის მოტანა, საკუთარი თავის პირდაპირი მტერია.

მაგრამ ამ (დების) თვისების გარეშე, ვერ იარსებებდა სამყარო, რადგან იქნებოდა ქაოსი და არ იქნებოდა სიცოცხლე. ე.ი. არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო, მაგრამ შემოქმედისთვის არ არსებობს უარყოფითი თვისება.

**ძ** ბგერის აღმნიშვნელი ასონიშნის (ძ), სახელდებით **ძილ**, ქარაგმაგახსნილ მდგომარეობაში „**ძ**[, ნელო] [მ]**ილ**[,]" (უმოძრაოდ მოვლო), გრაფიკულ მოხაზულობაში მრგვალი ნაწილი ვერტიკალური ხაზით, უსასრულოდ მოძრაობის სიმბოლოა, ხოლო მარჯვნივ გამოსული ტეხილი ხაზი – უმოძრაობისა. ე.ი. ასონიშნის გრაფიკული მოხაზულობაში და სახელდებაში **უმოძრაო მოძრაობაა** განსახიერებული. ეს უაზრობაა, თუ ასეთს ნამდვილად აქვს სამყაროში ადგილი?

დედამიწის ზედაპირზე, ეკვატორთან აბსოლუტურად უძრავად დამაგრებული საგანი მოძრაობს დედამიწის ღერძის გარეშემო 465 მ/წმ ხაზოვანი სიჩქარით, 30 კმ/წმ სიჩქარით – დედამიწასთან ერთად მზის გარშემო, ხოლო 240 კმ/წმ სიჩქარით – მზესთან ერთად გალაქტიკის გარშემო.

ამდენად „უმოძრაო მოძრაობა" სრულიად რეალური მოვლენაა ადამიანის წარმოდგენაში.

8. ბგერა-სიტყვა **ც**, დღევანდელი მდგომარეობით იხმარება სამი მნიშვნელობით: ა) **ც**, – ხის ერთ-ერთი ჯიში; ბ) **სცა**. მაგ., „მარდიანი ხალხიქ მუნეფიში დუდკოჩის ღირსეული პატიი **ც**," (მადლიერმა ხალხმა თავიანთ თავკაცს ღირსეული პატივი სცა); გ) სცემა. მაგ., „კოჩის ცხენშა ვამარიებუ დო ონანგერი ც," (კაცმა ცხენი ვერ დაიმორჩილა და უნაგირი **სცემა**).

როგორც ვხედავთ, სიტყვას **ც**, მეგრულში (იბერიულში) ურთიერთსაწინააღმდეგო მნიშვნელობა აქვს, რაც ადამიანთა თვისებაა. პატივისცემა, პატივის მიგება დადებითი, ადამიანის ღირსების გამომხატველი თვისებაა, ცემა კი მისი საწინააღმდეგო, უარყოფითი, ველური ცხოველისა.

**ც** ბგერის აღმნიშვნელი ასონიშნის (ც), სახელდებით ცან, ქარაგმაგახსნილ მდგომარეობაში „**ც**[იცინათი] **ან**[ც]" (ციცინათელა ცაში), გამოსახულია ასტრონომიაში კარგად ცნობილი ცეფეიდები – ვარსკვლავები, რომლებიც ციცინათელებივით პერიოდულად გამოჩნდებიან ხოლმე, ციცინათელასავით გაანათებენ, შემდეგ ნელა ჩაქრებიან. განათების პერიოდი 5,4 დღე-ღამეა. ეს ვარსკვლავები შედარებით სწრაფად გაანათებენ, შემდეგ ნელა ჩაქრებიან მსგავსად ციცინათელასი. ამიტომ ცეფეიდებს სამყაროს შუქურები შეარქვეს. ასონიშნის წრიული მოხაზულობა ვარსკვლავის იდეოგრამაა, რომლის შიგნით სინათლის მძლავრი წყაროა მოთავსებული და ერთმხარეზე კარი გააჩნია. კარის ჩქარა გაღებით სინათლის წყარო გამოანათებს, ნელა დახურვით კი ჩაქრება მსგავსად ციცინათელასი.

9. ბგერა-სიტყვა **ჩ**, მეგრულ (იბერიულ) ენაზე მე-3 პირის ზმნაა და ნიშნავს **აჭამა**-ს, **კვება**-ს ამასთან, **ჩ**, გახმოვანების შემდეგ **ჩა გაცემასაც** ნიშნავს. მაგ., მე-**ჩა** (მისცემ), გო-**ჩა** (გა-სცემ). მშიერი ადამიანის დაპურება, უდავოდ, კეთილი და ღვთიური საქმეა, მაგრამ ყოველთვის როდია სიკეთე. უქნარას, ხორცმეტის მუდმივი კვება მავნებელია თვით უქნარასთვის და საზოგადოებისთვისაც. ჭეშმარიტი სიკეთე სულიერი პურით – ღვთიური ნათელით კვებაა. **აჭამა**, **კვება** ზოგადი მცნებაა და, შეიძლება, როგორც ღვთიური ნათელით, ასევე სატანური სიბნელითაც. ამდენად, ადამიანის ამ თვისებაში სიკეთეცაა და ბოროტებაც, დადებითიცაა და უარყოფითიც, წმინდაცაა და არაწმინდა ძალაც, რაც შემოქმედისგანაა დაშვებული ისევ ადამიანის ზრდისათვის.

**ჩ** ბგერის აღმნიშვნელი ასონიშნის (ჩ), სახელდებით **ჩინ**, ქარაგმაგახსნილ მდგომარეობაში „ჩ[,] ი[ქ] ნ[, თ]" (კვება მან წყაროთი სიცოცხლისა, სადაც ნ, – წყალია, წყაროა სიცოცხლისა), გრაფიკულ მოხაზულობაში ზევიდან სიმაღლის შუამდე დაშვებული ვერტიკალური ხაზი ღვთიური ნათელის გამტარი წმინდა ჭურჭელი უნდა იყოს, ხოლო სიმაღლის ქვედა ნახევარზე განშტოებანი ამ ნათელის მიმღები ჭურჭლები, ანუ გამოსაკვები ინდივიდები.

10. „წარსდგა შემოქმედის წინაშე ასონიშანი **შინ** (კბილი, კ.ფ.) და თქვა: <<სამყაროს შემქმნელო, მე მემსგავსება სამყაროს შექმნა, იმიტომ, რომ ჩემით იწყება შენი სახელი შადაი>>. უთხრა მას შემოქმედმა: <<თუმცა კარგი ხარ, ლამაზი და მართალი, მაგრამ რამდენადაც ნიშან-თვისებებმა სიტყვისა შეკერ (სიცრუე) აგიყვანეს შენ, რომ იყო მათთან, არ შემიძლია მე შენი თვისებებით შევქმნა სამყარო, რამდენადაც სიცრუე არსებობს იმის წყალობით, რომ ასოებმა **ქოფ**-მა და **რეშ**-მა აგიყვანეს შენ>> (იქვე გვ. 315).

„... სამყაროს და მის მაცხოვრებლებს არსებობა შეუძლიათ მხოლოდ **შინ**-ის დახმარებით, მისი თვისების წყალობით, რომელიც საზღვრავს ნათელის გავრცელებას. თქვა შემოქმედმა: <<შეჩერდი ქმნილებავ, ასონიშან **შინ**-ზე და არ გავრცელდე მეტი ასონიშან **ტავ**-ამდე>> იმიტომ, რომ თუ ნათელი გავრცელდება ასონიშან **ტავ**-ამდე, მაშინ არაწმინდა სურვილები მიიღებდნენ ისეთ ძალას, რომ ადამიანი ვერაფრით გამოვიდოდა მისგან, ვერ მიაღწევდა და ვერ შეიძენდა ალტრუისტულ თვისებებს" (იქვე, გვ. 317).

ებრაელი ბრძენის აზრით, პირველი სამი ასონიშანი: א(ა) – ალეფ, ב(ბ) – ბეთ და ג (გ) – გიმელ შეესაბამებიან სრულყოფილი ადამიანის თვისებებს – უმაღლესი ნათელი (ქეთერი), სიბრძნის ნათელი (ჰოჰმა) და გულმოწყალების ნათელი (ბინა) და იწოდება სულიერი ობიექტის თავად (როშ), ხოლო ასონიშნები ד (დ) – დალეთ, ה (ე) – ჰეი, ו (ვ) – ვავი, ז (ზ) – ზაინ, ח(ჰ) – ჰეთ და ט (თ) – თეტ მიეკუთვნებიან ტანს „ტანი ღებულობს მხოლოდ იმას, რაც ჩამოდის მასში თავიდან. ამიტომ დალეთს საწყის ასონიშანს ტანისა, რომლის გავლით ტანი ღებულობს ნათელს თავიდან, ეწოდება გაძარცული და ღარიბი (<<დალა ვე ანია>>). დალეთი ღებულობს იმას, რასაც გიმელი აძლევს მას. რამდენადაც გიმელს აქვს გულმოწყალების ნათელი, იმდენად ჩამოდის ის დალეთში.

ხოლო ასონიშან გიმელს ეწოდება შემქმნელი გულმოწყალება მისი მოქმედების გამო დალეთის მიმართ, რომლის გარეშე იგი საერთოდ მოკლებული იქნებოდა ნათელს. გამომძევებელი მარჯვენა მახვილი კუთხე ასონიშან დალეთში არის ნიშანი იმისა, რომ დალეთს აქვს მარაგში გულმოწყალების ნათელი (?). მაგრამ წმინდა ალტრუისტულის საპირისპიროდ ქმნილებას აქვს არაწმინდა ნაწილი, ამაყად არამსურველი მიღებისა გიმელისგან, რომელზეც დამოკიდებულია იგი. ხოლო აღდგება სურვილი თვითონ იყოს სათავეში, რომლისგანაც იშლება ასონიშან ד (დ) – დალეთში მახვილი კუთხე, მეტყველი გულმოწყალების ნათელის არსებობაზე და გარდაიქმნება ასონიშანში ר (რ) – რეში, რომელიც იწერება და გამოითქმება ორი ასონიშნით **რეშ**-ი და **შინ**-ი.

... როცა მდაბალნი, ე.ი. ადამიანები ცდებიან თავიანთ მოქმედებებში, ანუ განზრახვებში, ამით ისინი აძლევენ ძალას არაწმინდა ძალებს შეიწოვოს წმინდა ძალები **დალეთისგან**, წაშალოს მისი მახვილი კუთხე და გარდაქმნას იგი ასონიშან რეშად და ამით სიტყვიდან აჰად (ერთი) გადადის სიტყვაში აჰერ (სხვა, არააქაური, სხვისი): ალეფ-ჰეთ-დალეთ (აჰად) შეიცვალა სიტყვით ალეფ-ჰეთ-რეშ (აჰერ), რითაც შემოქმედთან კავშირის ადგილზე ჩნდება სხვასთან, არაწმინდა ძალებთან კავშირი, რომელთაც ეწოდება <<სხვა ღმერთები>>, რომლებიც უმაღლესი წმინდა სამყაროდან უმდაბლეს სამყაროსთან და ქმნილებასთან მიიწოვებიან (აღსანიშნავია, რომ იბერიულ ენაში **გ** ბგერას აქვს უნარი დაუპირისპირდეს სხვა თანხმოვან ბგერებს და ამით შეასრულოს სიტყვათგანმასხვავებლის ფუნქცია, კ.ფ.).

ამას მივყავართ დასკვნამდე, რომ ასონიშნები **ქოფ** და **რეშ** ამახინჯებენ შემოქმედის ბეჭედს შინ, ჭეშმარიტების ასონიშანს. ხდებიან წყაროებად არაწმინდა ძალების გაჩენისა და განვითარებისა. ამიტომ როგორც კი არაწმინდა ძალები შეუკეთდებიან წმინდა ძალებს, ისინი იწოდებიან ცრუ, გარდაქმნილ ასონიშნებად (თვისებებად, კ.ფ.), რომელთა მიზანია მოსპონ წმინდა ძალების სისტემა და მათი ერთიანობა შემოქმედთან, რომ შეიქმნან თვითონ დანგრეული წმინდა ძალებისგან" (იქვე, გვ. 319-120).

ამ ვრცელ ტექსტში ჩამოყალიბებული აზრის გაცნობიერების შემდეგ მკითხველს აუცილებლად გაუჩნდება კითხვები: რა თვისება გააჩნია ასონიშან ש (შ)-ს, სახელდებით **შინ**-ს ისეთი, რომელიც „საზღვრავს ნათელის გავრცელებას და მხოლოდ მისი დახმარებითა და წყალობით შეუძლია სამყაროს და მის მაცხოვრებლებს არსებობა?" რა თვისებაა ის თვისება, რომელიც ზემდგომი საფეხურებიდან იღებს გარკვეული დოზით უმაღლეს ნათელს, ხოლო ქვემდებარე საფეხურზე მდგომთ გასცემს მხოლოდ იმ დოზით, იმდენ წმინდა ძალას, რომელიც აუცილებელია მათი, საერთოდ, არსებობისათვის?

ამ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხი ებრაელი ბრძენის ნააზრევში ვერ ვიპოვეთ. გვეჩვენება, რომ ის რაღაც ჭეშმარიტებას მალავს და ალეგორიული ხერხებით ცდილობს მკითხველის ყურადღება გადაიტანოს სხვა სიღრმეებში და მისი აზრი და ფიქრები, როგორც იტყვიან, გააბას ობობას ქსელში, მაშინ, როდესაც ბევრად მარტივად შეიძლებოდა ჭეშმარიტების სიღრმეებში წვდომა, მაგრამ ებრაელ ბრძენთ ხელს უშლის ქრისტეს და ახალი აღთქმის აუღიარებლობა, შეუცნობლობა იმ ჭეშმარიტებისა, რომ „არაფერია დაფარული, რომელიც არ გაცხადდება და საიდუმლო, რომელიც არ შეიტყობა".

პირდაპირ რომ ვთქვათ, არ მეეჭვება, რომ ებრაელ ბრძენს აღნიშნული ნაშრომის შესაქმნელად გამოყენებული აქვს უძველესი იბერიული სიბრძნის წიგნი **„ეფუთი"**, რომელშიც შეუძლებელია არ ყოფილიყო დაფიქსირებული იბერიული ენის შეუდარებელი გამომსახველობითი შესაძლებლობა, ცალკეული ბგერა-სიტყვების ღვთიური წარმოშობა, მისი სულიერი ძალა და უნიკალური მონაცემები, რომელიც მხოლოდ მას, და ერთადერთს აქვს შემონახული დედამიწაზე.

ე.წ. მეგრულ (იბერიულ) ენაში დღეისათვის ბგერა-სიტყვა **შ**, გამოიყენება სამი მნიშვნელობით (შეიძლება ზეობის ხანაში მეტი მნიშვნელობებიც ჰქონოდა, მაგრამ საერთაშორისო ენის ფუნქციის დაკარგვისა და დაწუნების შემდეგ დაეკარგა კიდეც): ა) სველი; ბ) ქსოვა (მესამე პირის ზმნა) მაგ., **„დედაქ ხეშთათმანეფი დომი-შ,"** (დედამ ხელთათმანები მომიქსოვა); და გ) **ახსოვს მაგ., „მუში ბაღანობა არძას შ," (თავისი ბავშვობა ყველას ახსოვს) (მესამე პირის ზმნა), ზოგადად, ხსოვნა (შ, ნა), მეხსიერება. უმთავრესია უკანასკნელი. ესაა ერთადერთი და მხოლოდ ის თვისება, რომლითაც ადამიანი ემსგავსება უზენაეს შემოქმედს; ესაა ის თვისება, რომლის წყალობითა და განვითარების დონით განისაზღვრება ნათელის გავრცელების დოზა გარემომცველ საზოგადოებაში, თვით საზოგადოების და, საერთოდ, სამყაროს არსებობა, რამეთუ მეხსიერების გარეშე ველური ცხოველი ვერ გახდებოდა ადამიანი – გვირგვინი სამყაროსი და ვერც სამყარო და ვერც მისი შემოქმედი იარსებებდა ადამიანის გარეშე, რადგან ვერავინ და ვერაფერი გააცნობიერებდა მათს არსებობას.**

ებრაულ ასონიშანში ש (შ), სახელდებით **შინ** (კბილი), ვერც გრაფიკული მოხაზულობა ასონიშნისა და ვერც მისი სახელდება ავლენს დამაჯერებლად ადამიანის ზემოთ აღნიშნულ თვისებას, ხოლო იბერიულ ასომთავრულ ნიშანში

(შ), სახელდებით **შინ (შ**[,] **ი**[ნა] [ა] **ნ**[ც] = ახსოვს ის სამყაროს), დიდი წრე – უზენაესი შემოქმედის ფიზიკური გამოვლინებაა – უსასრულო და უსაზღვრო სამყაროა, პატარა წრე – დედამიწაა, სადაც ხორციელდება შემოქმედის ჩანაფიქრი, ვერტიკალური ხაზი კი უზენაეს შემოქმედსა და ქმნილებას შორის კავშირია.

ვფიქრობთ აქ, შეიძლება, არასრულყოფილად, მაგრამ გარკვეულწილად მაინც გავეცით პასუხი ზემოთ დასმულ კითხვებს.

ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანი არაა სრულყოფილი, მაგრამ ზრდის პროცესშია, აშკარავდება მისი იმ თვისებით, რომ მას **ახსოვს (შ,)** სასარგებლო, სულიერად ამამაღლებელი ეპიზოდები, მაგრამ, ამასთან **ახსოვს (შ,)**, მისი საწინააღმდეგო, დაცემისა და დამცირების მწარე მომენტებიც, რომელთა გაკვეთილად გამოყენებისა და, შემდგომ, ახალი სიმაღლეების დაძლევისათვის ღწვაში იზრდება ადამიანი.

რაბი ამნონა-საბას ასონიშანთა გრაფიკულ მოხაზულობებში, მათს მსგავსება განსხვავებებში, ასონიშანში ხაზის მონაკვეთთა ფორმებსა და მიმართულებებში ადამიანთა წმინდა და არაწმინდა ძალების, მათი სულიერი თვისებების ურთიერთსაწინააღმდეგო ბრძოლის მომენტების ჩვენების ცდაა ჩადებული და, შემოქმედი კი არა (შემოქმედს ამისთვის ნამდვილად არ ეცალა), თვითონ ამნონასაბა გატაცებულა ასონიშნებთან თამაშით, რაც, თავის მხრივ, მაღალ განვითარებას და გონების მაქსიმალურად დაძაბვას მოითხოვდა, მაგრამ ამ ფორმით ადამიანთა სულიერი ზრდა, ვფიქრობთ, ნაკლებ ეფექტიანია, ვიდრე ეს ადამიანურ თვისებათა უშუალო შეპირისპირებითა, გაანალიზებითა და რაციონალური მართვითაა შესაძლებელი.

**კუკური ფიფია,**
**„ფაზისისა" და „აიას" საერო-სამეცნიერო აკადემიების წევრი,**
**კოლხური კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია –*
*ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.*

სამწუხაროა,მაგრამ ფაქტია, MA-DO-NA INTELLIGENCIA არც არასოდეს ყოფილა ეგზომ გამწყრალი და კოპშეკრული ზოგადქ-ართ-ული (ქა-რთული) ცნობიერების მიმართ. მხედველობაში გვაქვს ისეთ უგვან და უგონო აბსურდამდე დასული ვითომ ენათმეცნიერული პოზიცია, თითქოს სვანური და მეგრული ოდენ დიალექტებია ქართების ენისა. ძნელად წარმოსადგენია, დედამიწის რომელიმე კუთხეში,ისევ ზოგ ვაი-ქართველთა გარდა, ვინმეს ეყოს უტიფარი სიკერპე იმის სამტკიცებლად, რომ, თუ ერთი ცალკე აღებული ენის მატარებელი მავანი ვინმე აბსოლუტურად (კოლხურად ასეთ შემთხვევაში იტყვიან არაბულადო – ანუ არაბულად არ მესმის – აბსოლუტურად არ მესმის) ვერ იგებს მეორე ენას, ჩათვალოს ისინი ერთიმეორის დიალექტებად. ერთ-ურთის დიალექტებია სლავური ენობრივი ოჯახის წევრები, მაგრამ ელემენტარული ლოგიკაც კი საკმარისია იმ ობიექტური ჭეშმარიტების დასანახად,რომ ქა-რთულთან დაკავშირებით საქმე სულ სხვაგვარადაა, თუ ამ ჭეშმარიტების დანახვის სურვილი გაქვს. ხოლო ვისაც ამ სიმართლისათვის თვალის გასწორება უჭირს, მას MA-DO-NA JUSTICIA-ს წყრომაც უწვნევია ანუ მარიამთანაც უბრად ყოფილა და მართასთანაც... ქა-რთული ენა უნიკალურია ამ მხრივ... ქა რქას ნიშნავს და იგი კოპთან და ეკალთან ერთად სიბრძნის სიმბოლოა ოდითგან (ამასთან დაკავშირებით იხ. ანანდა კუმარასვამისა და რენე გენონის ბრწყინვალე შრომები).ანუ ქა-რთული ნიშნავს სიბრძნე დართულ, სიბრძნეს ზიარებულ და რთულ ენას... აქ ხაზი გვინდა გავუსვათ ქართული ენის იმ უნიკალურ თვისებას, რომ მასში დაცულია სამების პრინციპი. ასევე, საკუთარი განვითარების გზაზე მან გრაფიკული მოხაზულობის 3 ეტაპი გაიარა (ასო-მთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული და ეს ანბანები შეესაბამებიან ინიციაციის გარკვეულ ეტაპებს) რითაც ხაზი ესმება ამ ენის საკრალურ ხასიათს და ვაი რომ, ამას ვერ ხედავენ ახლომხედველობის აბერაციით დაავადებული ვაიმეცნიერნი. მათ ავიწყდებათ შოთას სიტყვები – სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა, მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირთ ერთმანეთის მონება (ალქიმიაში ეს სამი ფერი ასეა ცნობილი – შავი,თეთრი,მეწამული – NIGREDO,ALBEDO,RU-BEDO – ქართული დროშის ფერები)... მეტიც, საკრალური გეოგრაფიის პრინციპთა გათვალისწინებით,ქართული სახელმწიფოს სხეულიც შემოქმედის ჩანაფიქრით (გავიხსენოთ ლეგენდა უფლის მიერ ხალხთათვის ტერიტორიების განაწილებაზე) სამმაგი დრუიდული ზღუდით იყო შემოზღუდული დამპყრობთაგან თავის დასაცავად (მხედველობაში გვავს, ლიხის, თრიალეთისა და კავკასიონის ქედები იხ. რენე გენონის "ТРОЙНАЯ ДРУИДИЧЕСКАЯ ОГРАДА") და იგივე ფენომენი ენასთან მიმართებაშიც თვალშისაცემია... ცნობილია, რომ სამების პნევმატოლოგიურ-მეტაფიზიკური არსის ჯეროვანმა ვერწვდომამ თავის დროზე გამოიწვია ქრისტიანული კონფესიის ორად გახლეჩა,თუმცა ამაზე საფუძვლიანი მსჯელობა აგვაცდენდა ამ წერილის კონკრეტულ მიზანს, ამიტომ უპრიანი იქნება შოთას ნააზრევს დავუბრუნდეთ.

ვეფხისტყაოსნის ტექსტს რუსთველი შემოქმედის ხსენებით იწყებს და ამ სტროფში საკმაოდ საინტერესო რაკურსი შეიმჩნევა სამების რუსთველისეული გაგებისა. „რომელ-მან შექმნა სამყარო“ იმასაც ნიშნავს,რომ შემოქმედის სახელის რუსთველისეული ვერსია უნდა გახლდეთ ელი (ებრაული ღვთისმეტყველების ელ-ელიონი – უფ-ალი უფლებათა). სულმნათი შოთა ხაზს უსვამს ,რომ სამყარო – მან შექმნა, მაგრამ შექმნა ძ-AL-ით ძლიერით .ამ შემთხვევაში ძ-ალი სამების მეორე ასპექტის – ძის ასპექტის რუსთველისეული გაგება უნდა იყოს. მისი დონის ღვთის მეტყველსა და კოსმოსოფს მხედველობის არეალიდან არც სამების მესამე ასპექტი – სულიწმიდის ასპექტი გამორჩებოდა მხედველობიდან და ეს ასეც უნდა იყოს. სწორედ სულიწმიდის ასპექტს უნდა ემთხვეოდეს სულმნათ შოთასეული „ს-UL-ითა ყვნა ზეცით მონაბერითა“. ასე რომ, სამების რუსთველისეული გაგება შეიძლება გამოიხატოს შემდეგი ფორმულით : ელ, ძალ, სულ-ელ, ალ, ულ. იმის დასადასტურებლად, რომ **ელ** მარცვალი რუსთველთან არ გახლავთ შემთხვევითი, ვგონებ, საკმარისი იქნება მკითხველისათვის იმის შეხსენება,რომ დანტე და ანანდა კუმარასვამი სწორედ ამ მარცვალს თვლიან შემოქმედის საკმაოდ გავრცელებულ სახელდებად, თუ მას საერთოდ შეიძლება რამე სახელდება მიესადაგოს. თუმცა, შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ იესოს ბოლო სიტყვები, როცა იგი მამას მიმართავს – ელი, ელი, ლა-მა საბა-ტანი?!?... ხოლო ძის ასპექტის გამომხატველ მარცვალ ალ (ძ-ალ)-თან დაკავშირებით გავიხსენოთ, რომ ძის შობის დღესასწაულს ეძღვნება უძველესი, მითაჟამინდელი ხალხური სიმღერა ალ-ილო (სიმღერის სიძველის დასტურია ის ფაქტი, რომ მასში იხსენიება იე-რუ-სალემის არქაული სახელი იავუსი-იევუსი). საგულისხმოა, რომ ამ ფორმულაში სამივე სახელდებისათვის საერთო მამრავლია გრაფემა ლასი (და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზ-არე ჰქვიან) იგი ერთადერთია მხედრული ანბანის ასო-ნიშანთაგან, რომელიც შეიძლება გრაფიკულად გამოისახოს როგორც ერთთავიანი, ასევე სამთავიანი სახით (1) – შენიშვნები იხ. წერილის ბოლოს)... სწორედ ამ ბგერაზე ხდება უტექსტოდ წაღიღინება, რაგინდარა ენის მატარებელი იყოს ესა თუ ის ერი (ლა-ლა-ლა). ნიშანდობლივია ასევე ისიც, რომ მისი დაწერის ლათინური ფორმა იგივე გონიოს გამოსახულებაა, ხოლო გლაგოლიცასა და კირილიცაში ამ გრაფემის სახება აბსოლუტური სიზუსტით იძლევა ფარგლის პროექციას. ასე რომ, მათ, ვის წიაღშიც დარჩა სიმღერა – ფაცხა მიორც მ-არგალიში,მოუნაფილ ფ-არგალიში და სვეტიცხოველზე გამოსახული გონიო, ნუ დააფრთხობს ეს ორი, ქვაომხაზეს აბხაზისათვის აუცილებელი ინსტრუმენტი (2) შენიშვნა. აქვე ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს უდავოდ გამორჩეული გრაფემა რიგითი სათვალავით მე-12-ა ( 12 ზოდიაქო, წელიწადის 12 თვე, 12 მოციქული, ისრაელის 12 ნათესავური მუხლი, იერუსალიმის 12 კარიბჭე, გრაალის ტაძრის სარკმლების 12 პატიოსანი თვალი, 12 წლის მაცხოვრის პირველი მისვლა ტაძარში, ასევე უდავოდ ყურადღებამისაქცევი ხალხური ლექსი ვითო-ჟირი წანერი ვორდი, მოკოდ ტორ-ონჯ პჭოფიკონი, პლუს ამას კაი 2 და კაი 10 სამეგრელოში შემორჩენილ კარტის თამაშის სახეობა ფურთში, ამასთან დაკავშირებით იხ. ჯალ-ალ ად დინ რუმის მასნავის პირველი დაფთარი და ა.შ.) ხოლო რიცხვითი მნიშვნელობა მისი 30 გახლავთ (თვის დღეთა რაოდენობა, საღვთო წერილთა უმრავლესობაში 30 წელი აუცილებელი ასაკია უფლის სკინიაში, საკურთხეველში დაშვებისათვის, 30 წლის ასაკში იწყებენ უფლისკაცნი საუფლო სიტყვის წართქმას, 30 წლის ასაკში მიიღო ნათლიღება უფალმა იესომ იოანე ნათლისმცემლისგან. შემთხვევითი არც ის გახლავთ, რომ იგი ასევე 30 ვერცხლზე (30 სიკლი, 30 შეკელი – 120 (12 ათეული) ბერძნული დინარი-ტეტრადრაქმა) გაიცა.

# ფრთხილად,წინ მკვეთრი მოსახვევია!...

სამების ამგვარი ინტერპრეტაციის შემდეგ, მომდევნო სტროფში – ჰე, ღმ-ერთო, ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა – რუსთველი თითქოს ხაზს უსვამს სამების ერთარსობას და ამით ქრისტიანული ღვთისმეტყველების აბსოლუტურ კანონიკაში ჯდება. ასევე ბუნებრივად იხსნება საკითხი გრაფემა ლ-ს ერთთავიან და სამთავიან ვარიანტებად გამოსახვის მართებულებაზე – ერთარსი, სამწევროვანი. და ჩვენ ეს ექსკურსი სწორედ ამადაც დაგვჭირდა, რათა წარმოგვეჩინა ქართული ენის მსგავსება ღვთის სამწევროვან ხატებასთან – ერთარსი, სამწევროვანი, მრავალძალი... დიაღაც, მისთვის, ვინც კარგად იცნობს გურჯიევის (ეგევე ქ-ართ-ველიშვილი) სწავლებას ტრი-ამაზი-კამნოსა და ჰეპტა-პარა-პარ-შინახ-ის (3) შენიშვნა) უნივერსალურ კოსმიურ კანონებზე, არც რამაა გასაკვირი იმ უდავო ფაქტში, რომ ნებისმიერ საკრავს მინიმუმ სამი სიმი მაინც უნდა შეუბა (ჩონ-გურს სიმები შევუბი), რომ სასმენად ღირებული მე-LOD-ია ააჟღერო. ამ უდავო ფაქტის გაუთვალისწინებლად ლაზარეს აკლდამის LOD-ი გადაუგორებელი დარჩება, ხოლო ამ სასწაულის (სასწავლის) გარეშე შედგებოდა კია მაცხოვრის მისტერია?!! განა წესი და რიგი სიმღერისა ასრე არაა, რომე სულითა და გულით შეხმატკბილებულად მღერას სამი ხმა მაინც სჭირდება. სამაია (სამი გრაცია ამ ცეკვის ფანტომია) ყველაზე საბედისწერო როკვაა და ამ როკვის მელოდიაც გათანგვამდე ჟრუანტელმომგვრელიაა...

ასე და ამგვარად,არარა საქმე არ გახლავთ ისე საშური და ისე ეროვნული, როგორც ღვთით ბოძებულ ამ სამ ენაზე დროული ზრუნვა და ამაგი. და რამდენადაც საქმეი ესე საშურად მოსა-გვარ-ებელ (კაცმან საქმე მოი-გვაროს, გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ) და ეგზომ ეროვნულ არს, ჩვენ არც ვისი იმედი უნდა გვქონდეს, ოდენ საკუთარი თავისა. თუმცა გარკვეულ ტექნიკურ ასპექტებთან დაკავშირებული სირთულეებისა და სხვადასხვა ფორმალობების გამო ხელისუფლების მხრიდან ამ ამოცანის გადაწყვეტა ძნელად მისაღწევად გვეჩვენება. სწორედ ამიტომაც დედა ეკლესიამ უნდა აიღოს საკუთარ თავზე ამის განხორციელება. ეკლესია მწიგნობრობის მფარველი იყო ოდითგანვე, ეს მისი უპირველეს ფუნქციათაგანია... იქ,სადაც ეკლესია-მონასტრების ეგზომი მომრავლების სახსრები იძებნება და ამით ხაზი ესმება რწმ-ენა-ზე ზრუნვას, ენაზე ზრუნვა, განზე ვერ გადაიდება, რადგან უამისოდ ფორმულა – ენა, მამული,სარწმუნოება – სათანადოდ ვერ იმუშავებს. სრულიად ერმა ერთდროულადაც რომ მოიყაროს მუხლი დაუჯდომელ ლოცვათა აღსავლენად, ибо ещё никто не спасся одним лишь лбом, расшибленным во время молитвенного челобитья... ენის გარეშე რწმ-ენა სრულფასოვნად და ჯეროვნად ვერ იფუნქციონირებს და დარჩება ოდენ ვერის რეგისტრში... კი ბატონო, ვერონიკას თავშალზე დიახაც აისახა მაცხოვრის სახის ხატება, მაგრამ ერთია ხატება სახისა, სხვა კი – სახე თავად (მან უთხრა სახე რა გითხრა მის უსახოსა სახისა). დიაღაც, სწორედ იმ ორგანიზაციას, ვინც ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე იღვწის, უნდა ეთხოვოს, მოაბას თავი ერის კულტურულ საგანძურზე ამაგს... სურვილის გამოჩენის შემთხვევაში ეს არაა რთული ამოცანა... განა კომპარატივისტული ლინგვისტიკის პრობლემებში ოდნავ მაინც ჩახედულთათვის დღეის მონაცემებით უკვე არაა თვალსაჩინო, რომ ქართული ენის სვანურ-მეგრული სუბსტრატი თვალს უსწორებს შუმერისა და აქადის საღვთო წერილებსა და სალოცავებს?!. განა ურუქის (სხვანაირად ერეხი) ზი-ქურ-ათების მითაჟამინდელ, მეტიც, პარამითაჟამინდელ პრეისტორიაზე არ აცხადებს პრეტენზიას კოლხური ხალხური სიმღერა **"ერეხელი ვარ და მერეხელი"** ან სვანური **"ლილე"** თუ **"შამარერა"**?!. თუ მაინცდამაინც გარედან თავსმოხვეულ მერეხს უნდა დაველოდოთ იმისთვის,რომ ხახადაფჩენილ უფსკრულს გავუსწოროთ თვალი.

დასამალი არც არაფერია... ხედავს უფალი და ხედავს ამას ყოველი ჭკუადმყოფი კაცი, რა რთულ დროსა და ვითარებაში ცხოვრობს დღეს ქართველი კაცი... შეგნებულად არ ვხმარობ ქართველ ერს,რადგან სანდრო კარიძის დიაგნოზი – საშოვარს გადაგებული, გათითოკაცებული, აწ უკვე ყოფილი ერი, მგონი ეჭვს არ უნდა იწვევდეს,რაც უნდა გვიქონონ თავი... ეს რომ ვერ გააცნობიეროს მთელი სიგრძე-სიგანით, კაცი ან გამოუსწორებელი ოპტიმისტი უნდა იყოს, ან გულარხეინი ლუარსაბი,გინა ყვარყვარე... კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო და მარტვილის (ჭყონდიდის) ბერმუხას მუმლის სიმრავლე არც უკვირს,იმპერიები მოდიოდნენ და მიდიოდნენ,მაგრამ იმდენი საფრთხე,რაც ჩვენი ფიზიკური ყოფის ზღვარზე გამავალ რეალობას ახლავს დღეს, არც არაოდეს ყოფილა, რადგან არც არაოდეს გამხდარა სრულიად პლანეტა დევებსა და ქაჯებს შორის საჯილდაო ქვა... რუსულად იტყვიან: ИДЁТ ИГРА НА ГРАНИ ФОЛА,И СТАВКИ В ЭТОЙ ИГРЕ ОЧЕНЬ ВЫСОКИ... შავისა არ იყოს,არც წითელი იმპერიის მემკვიდრისაგან ჩანს მაინცდამაინც კეთილი ზრახვები... ჩვენმა უერთმორწმუნესმა ძმამ, ორივე ბარკალი აგვაგლიჯა და ამით ისეთი წინდაუხედაობა გამოავლინა, ბევრი რომ მისი ექო თაობებს გადაწვდება როგორც უსიამო მელოდია. რუსეთი ნამეტანი გულუბრყვილოდ წამოეგო პლანეტის ფინანსური იმპერიის ანკესს და დღემდე სტკივა 2 მოუშუშებელი იარა კავკასიისა და საქართველოს სახით, თუმცა იხტიბარს ჯერ კიდევ არ იტეხს და ცოტა დაბნეული, სამომავლო სტრატეგიაშეუმუშავებელი მოსდგომია იმ ივერიის საზღვრებს, რომელთან, როგორც უფროს დასთან, მოწიწებას ასე წინდახედული სიბრძნით თხოვდა საროველი ბრძენკაცი...

სულ მალე რუსეთს ეს შეცდომა შეიძლება ბუმერანგივით მიუბრუნდეს. მანამდე კი,თურმე ნუ იტყვით, ჩვენს უერთმორწმუნეს ძმას მეგრულ ეთნოსზე შესტკივა გული, რასაც არც მალავენ ნეოიმპერიალისტური რეკონსტრუქციის რუსი იდეოლოგები.

დიახ, წინ მართლა მკვეთრი მოსახვევია და ამ პირობებში ეკლესიის როლი ერთიათად იზრდება, თუ თავად ეკლესია ჯეროვნად და სათანადოდ გააცნობიერებს საკუთარი პასუხისმგებლობის რეგისტრს. ყოველ შემთხვევაში,доколе не придёт в шило и пока не изъяли удерживающего, ამის შანსი ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ დაკარგული... რწმ-ენა-მ სამება ენა-ზე ზრუნვა და ამაგი დროულად უნდა დაიწყოს...

**P.S.** ჩქი თაშ ვოწყეთ – ნენაფეში დოლოხენი გაგნაფაში დავა აია აღანი ოშწანურაში კაპეტი დავა ივასენ... აია დავა თიშოთი ხოლო ივასენ-ნამ ხალკისი და ნამ ნენაფესი მუ დულია უღუტუ დო ხოლოთი უღუნ დიდი ღორმოთი კალა,დუდ ღორმოთი კალა... ტრადიციეფე ჩქუნი შილია დო შილია (ანთას) წანეფეშე მულუნ, ჩქი კოლხეფეში ბერეფე ვორეთ დო ემუშენი... კოლხეფე ბჟა დო თუთასთერი, მურუცხეფესთერი მჯვეში ხალკი რენ დო ემუშენი კოლხი აშო იბირსბჟა დია რე ჩქიმი, თუთა მუმა ჩქიმი, ხვიჩახვიჩა მურუცხეფე – და დო ჯუმა ჩქიმი... ზვიადიში მესაჯით ჰაშო რტუ, მარა მინობა ჩქინიში გოშინა ვანწყუნან მითხანეფეს დო ემუშენი ზვიადი დო გაგნაფა მუში ვახანესინ,დოვილესინ დო ოქორთურაში უმჩანე დო კაპეტი ჯერღვი გახუმესინ... ნამთინეფე აშო ზო-პონტ-უნან—კოლხეფე აეჯგურა მჯვეში ხალკეფე ქორტესი და ალბონი მუშენი ვარ უღუნანია? აია ხალკიკალა არ ოკითხუ მიღუნ – მაჩხონაფალი ჩქუნის შეულებუდუ ჯვარც-მა ეიჩილითუკონი? აია ოკითხუს არ პასუხი უღუნ – ჰო, შულებუდუ, მარა მაჩხონაფალი ჩქუნიში შეგნებული გინოჭყვადუა ჯვარც-მა რდუნ... აია ანალოგია გურიში გაჩამალი რენი? ვარ რენი?!. პრიველო ზიტყვა ქორდუ დო ეია ზიტყვა ღორონთი ქორდუ და (არ გაგნაფათ) ეია ზიტყვა ხელეფე დო კუჩხეფე მუშითი ჯვარც მიკოჭკადილ ყოფენი, ვანა ვარ ყოფენი?!. მაჩხონაფალი ჩქუნიში ბოლო ზიტყვეფეშა – ელი,ელი ლა-მა სა-BAთA-ნი (უფალო,უფალო (მამის ასპექტში,ბატა დაუსაბამო და ხსოვნა და თვალსაწიერ შეუდგამს ნიშნავს) რად მიმატოვე მე – ყუჯი ათე ხალკური ბირაფათი ხოლო ვემკიდგინენი?!.. – სი ქოულ, თA,მა დომიტალენქო, გურც გ-ენ-ია მონტებულც, ვეშემი-წყარ-ენქო, თოკილ ვორექ, ბორკილ ვორექ – ვაგომიტალენქო?!.

პაწი, აია ნაცოდილა ჩქიმი არ არიკით მოკო გავათუე...

*არ კოჩი დო არ ჯინსიშ არიკი*

**საქმე გავსინჯოთ სურისა,**
**ვკითხოთ,თუ ვისთვის ჰსურისა...**

*ვახტანგ VI-ის სა-მიჯნ-ურო პოეზიიდან*

**მოხსენით სურას ფსკერი...**

*მუშ-ნი ზარ-ანდიას სიტყვიდან ყარა-ისმაილისადმი*

**ავთანდილ დაჯდა ტირილად,ტირს ხმითა შვენიერითა,**
**ყორანსა გაგლეჯს ხშირ-ხშირად, აფრთხობს ბროლისა ჭერითა**

არ კოჩიქ არ პოლიშა ქომეხთუ დო შორშე ოწკედუ-არ კოჩი არ ჯიხას ქეგმარდ-უ დო ყ-UღAN-დუ... მუხურიში ეკოლუს ოწკე, მაჟურანი კოჩი არ ჭიჭე ნოხის ბირგულეფე მუშითი ქოგერე დო მი-ტან-იებსიე... თხირიშ ნოხი ვარდუ აია, გურჯეფე ხალიჩას დუჯოხუნან თი ნოხი რდუ... კითხუ მეშარე კოჩქ – ჯიხას გიმარე დო ყურანცუნ ი კოჩი MIN ORE-ნია,მუ ფერი დო მუ ჯინსიშ კოჩიე დო მუშენ ყ-ურან-სია... აია კოჩი MOLA რენია, ნდღაშე 5-შა ნ-ამაზი-შო ყურან-სია,ქემიოტეთ ასე საქვარი და MOLA-ხთით ალახი-ში გოშინაშოთია... მოლა გიმარენ ი ჯიხას ,ირ განც MINARE დო ჟიშე გინმაჯინენ, MINARET-ი ჯოხონია... ოხვამე მუთეფეშის მეჩ-ეთ-ი (მესჯითი დო მის-გითი) ჯოხონია... მეჩეთის კაპეტი ადგილი რე დო QIBLA ჯოხონია, ვარია, ქაბლა ვარინ, ქიბლა ჯოხონია... კაპეტი,უმჩანე დო გვალო მჯვეში მეჩეთის JUMA -მეჩეთის დუჯოხუნანია...მეჩეთიშა JUMAშ, ჯუმაშ დღას გილულანია,მარა ჯუმა ენეფიში ჯინსიშა ობიშხა რენია, მაჩხონაფალ ჯვარც მიკაჭკადესინ თი დღავა... რენია ხოლო ართ ხალკი, ენთეფე ხალკიშო ჯუმა Ф-ელელიში (მერკ-ურ-იში,გერ-მეს-იში) დღა რენია... ქითაბე მუთეფეშის Y-URANI ჯოხონია... აია ქიგთაბიში ნოსოფეფეს SURA ჯოხონია...აია კოჩეფე ღ-ვინ-ც ვაშუნა, მარა იშენითი სურა ჯოხონია... ალახიში სურათეფეს ვახანტუნანია... ენთეფე კათას აია ჯინსი მექჩუნ ი კოჩის მუ-ჰამე-დი ჯოხოდუა, ალახიში რა-სული რდუა, მა-ქა დო მედინა შქას გილესოფუდუა დო აია ჯინსი ხალკის ბადრიშ ინჭაკალა მორძ-გვალაშ კულე საბოლათ ქემუზმონუა... აია ლიმას მუს-ტაფას არ ხალკი ოხვარუდუა... ჯოხო ენთეფეში MAGARAI, MAGARITAI რდუა... ეყონუ მეშარე კოჩქ,თუთუმც ქუმუ-PAP-U,ჭეხანც ფუქირეფე მუშიკალა ქოდოსქიდუ დო ზოპონტუ: დიდოია პატონ სი ჩქიმი-ია, OLOX,u-ჯინ სი-ა,აია ანზარეფე დო ჯოხოფე მუ გა-ხვამ-ლაფარი დო გურიშ-გაჩამალი ყოფენია... მაჟურანი ხოლო ფარსაკიენია – არ მითხანი, ჭინკასთერი,მელე-მოლე თოლ-ც მიოთანც,იძიცუფს დო დუც უქანცუანცუა... ბიგამუშის,ბეგოშის, ხე მუში მეთხუ და ოფუტემუშიშა მენდახთუ... ჩქინობურა კოჩი რტუ,დიდო ჩინობერი ლაზი, მარგალ-ი დო მჯვეშეფე მუშიშე დორღვაფილი თასიში შურა იქჩინუ... დიდო გაკვირდუ დო კინო-ხონეფე მუშისი ხელაკაობა დუხვამუ... მორო მუ გიჩქიტეს...

*ნენა ჩქიმი დიჩოდუ,*
*მეს-ელი დომაჩოდუ...*

1) მარცვალი ლას ვარდნას ნიშნავს კოლხურად, ლას-არე – ვარდნის არე, ვარდნის ადგილი, სავარაუდოდ, დიდი ალბათობით, სვეტის ცხოველის ვარდნა-დაშვების არე, ზონა-ლა-ზონა,ლას-ზონა... ერთ-ერთ უძველეს როზენ-კრეიცერულ მანუსკრიპტში სოლომონის ტაძრის სვეტები არა ორი სვეტით (იახინ და ვოაზ (ბოაზ,ბოღაზ) შემოიფარგლება, არამედ მოცემულია მესამე, შუა სვეტიც, რომელიც დედაბოძის. ნანაონგურეს როლს ასრულებს და მკაფიოდ აწერია LASONA. სხვათა შორის, დო-ლარის (ტალერ, ზოგი მონაცემით დოლარის ერთ-ერთი ძველი დასახელება, არის ასეთი სოფელიც მარტვილის რაიონში) სიმბოლოს ერთ ძველ ვარიანტში S სიმბოლო არა ორ, არამედ სამ სვეტს ეყრდნობა, ხოლო თავად 2 სვეტი ცნობილია ჰერაკლეს სვეტების სახელით და კონკრეტულად არსებობდა გიბრალ-ტარის სრუტეში წარწერით NON PLUS ULTRA – არც ერთი ნაბიჯი მას იქით. აქვე ზედმეტი არ იქნება იმის გახსენებაც,რომ წმ. გიორგი და წმ. ნინო წარმოშობით კაბა-დოკიიდან არიან);

2) (ა-ბ-ხაზი ეგევე ა(ნ)-ბ(ან) – ხაზი ანუ ანბანთმხაზავი,სწორედ ამიტომაც ქართველ მეფეთა ტიტულატურაში ხალხთა ჩამონათვალი აბხაზით იწყება, ამით მოაქვთ მათ თავი და ხაზს უსვამენ,რომ ისინი ანბანთმხაზავთა მეფენი გახლავან. კოლხურში დღემდე შემორჩა გამოთქმა – აბხაზივით წელგამოკვართული და დაწურული კაციაო (სიტყვასიტყვით – წირილ,ამასთანავე წირუა დაწურვასაც ნიშნავს და წირვასაც. ცხადია, აქ იგულისხმება ანბანთმხაზავთა კასტა და არა ესა თუ ის ეთნოსი) (იხ. რენე გენონი, "გონიოდან ფარგლამდე");

3) იგულისხმება სამებისა და შვიდობისტრიადისა და ოქტავის კანონები (შვიდით ურვა, ასევე მივაქციოთ ყურადღება სიმღერის სამ და შვიდხმოვნობას ქართულ სინამდვილეში,თუმცა დაშვიდებისთვის პი-თა-გორ-ასეულ წმინდა ტეტრადაზე,ტეტრა-გრამ-ატონზე და მეტა-ტრონზე (მათ რომე დადგეს საჯდომი თქვეს,ურქმელია ფასისა) მსჯელობის გაშლა მოგვიწევდა,რაც სცდება ამ წერილში დასახული მიზნის ფარგლებს.

**თორნიკე შამათავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამეგრელოს ღირსეული შვილები

ცხადია, დიმიტრი პანინს ეგზომ გაბედული ქართველის გვარი და სახელი რომ სცოდნოდა და დაეწერა, ბევრად ადვილი იქნებოდა ამ კაცის პიროვნების ზუსტად დადგენა. შეგვიძლია სიამაყით ვთქვათ — ასეთი ქართველები, რომელთაც სტალინის ნამდვილი ბუნება და სიავკაცე გაცნობიერებული ჰქონდათ და ამას არასოდეს მალავდნენ, არც ისე ცოტანი იყვნენ. პანინი მოტანილ ეპიზოდში ვორკუტის ამბებს ჰყვება და სწორედ იმ კუთხეში (კომის ასსრ) იმყოფებოდა ჩემთვის კარგად ნაცნობი და ახლობელი ორი ასეთი ქართველი — ალექსანდრე პაპავა და ზურაბ მიქელაძე, სითამამე, ცოდნა და ვაჟკაცობა არ აკლდათ, მაგრამ არცერთი მათგანი ის პროფესორი არ ყოფილა.

აქვე პანინი აღწერს ომის დროს ბანაკში მყოფ ქართველთა მცირე სათვისტომოს, რომელსაც განსაცვიფრებელი სიმტკიცე და რაინდული ბუნება გამოუჩენია. დახსომებია 1924 წლიდან ბანაკებში ნაწამები ვაშაკიძის ნათქვამი: **„ერთადერთი, რაც დამრჩა, ჩემი კაცური ღირსებაა!“** ამგვარი, ერის მასახელებელი, ბოლომდე გაუტეხელი ქართველებიდან ნაწილმა შესძლო სამშობლოში შეურცხვენლად დაბრუნება და იმათ დამსახურებაზე სხვა დროს ვიტყვით.

ვერავინ უარყოფს იმ უდიდეს და მართლაც უნიკალურ როლს, რაც ჯოჯოხეთური საბჭოთა წყობილების დამსხვრევაში ალექსანდრე სოლჟენიცინის ეპოქალურმა ტრილოგიამ შეასრულა, მაგრამ სტალინსა და ბერიაზე გამწარებულ **„არქიპელაგი-გულაგის“** ავტორს არ ეყო ზნეობრივი კეთილშობილება და რიგ შემთხვევებში ვერ დამალა ქართველობისადმი თავისი ზიზღნარევი, ბოღმიანი დამოკიდებულება. არადა, ჭაბუა ამირეჯიბისაგან ვიცით, რომ მას, უმწეო მდგომარეობაში მყოფს, მომაკვდავს, სწორედ ქართველმა კაცმა, ბანაკში ფერშლად მომუშავე ლევან ბოლქვაძემ შეუნარჩუნა სიცოცხლე.

გაცხარებული რეპრესიების დროს ხშირი იყო ტრაგიკომიკური კურიოზები. მაგალითად, ნიჭიერ დრამატურგს, **„აბსურდის თეატრის“** ერთ-ერთ პიონერად მიჩნეულ, ნაადრევად დაღუპულ ალექსანდრ ვედენსკის, რაღა თქმა უნდა, უდანაშაულოდ ნაწამებს, რამდენჯერმე დაჭერილს, ბრალდებად შეთითხნილ საქმეში ჩაუწერეს, რომ იგი დაპატიმრებული იყო **„საბავშვო ლიტერატურაში ძირგამომთხრელი საქმიანობის გამო“.**

იმის წარმოსადგენად, თუ რანაირი მხეცების ხელში იყვნენ უფლებააყრილი ადამიანები, ეს ერთი ფაქტიც იკმარებს — კოლიმაში პოლკოვნიკმა გარანინმა პატიმრებს გაქცევის მცდელობა დასწამა და ათი ათასი კაცი დახვრიტა. მალევე, ალბათ, **„უფლებების გადამეტებისთვის“,** თვითონაც ზედ მიახვრიტეს. ასეთი რამეები იშვიათი შემთხვევა როდი იყო, ხშირად ხდებოდა.

ბოლშევიზმის შემზარავი არსი ხელშესახები სიცხადით გამოხატა ემიგრაციაში წასულმა გრიგოლ რობაქიძემ (იგულისხმება რომანი **„ჩაკლული სული“**). ამ წიგნში მან მართლაცდა ვიზიონერის წვდომა გამოამჟღავნა და სხვებზე ბევრად ადრე, თანაც ძალზე ზუსტად შეიცნო სტალინის რთული ფენომენი, სანამ წლობით ჩრდილში გარინდული და მერე ხელისუფლების სათავეში მოქცეული, აზიური ცბიერებით დატენილი მსოფლიოს უდიდესი დიქტატორი თავის ნამდვილ სახეს შედარებით სრულად გამოავლენდა.

საბჭოთა ბანაკების ყოველდღიური — ველური და დამამცირებელი — ყოფა, იქ გადატანილი კოშმარული ამბები თავის საუკეთესო წიგნში (რომანი **„უკუქცევა“**) იშვიათი სიცხადითა და დამაჯერებლობით დაგვიხატა გივი მაღულარიამ, ვისაც სტუდენტობისას, თავის მეგობრებთან — თენგიზ ზალდასტანიშვილსა და ოტია პაჭკორიასთან — ერთად, ვითომდა სამშობლოს ღალატისათვის ოცდახუთ-ოცდახუთი წელი მიუსაჯეს და სამივენი ყაზახეთის მიწაზე, შორეულ ჯესკაზგანში ჰყავდათ გადასახლებული.

მკითხველი იოლად შეატყობს, რომ გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებში სიმპათიით, სიყვარულითაც კი არის დახატული ქართველ (და არა მარტო ქართველ) რევოლუციონერთა სახეები; იგი თანაუგრძნობდა და ზოგჯერ სიცოცხლესაც საფრთხეში იგდებდა, რათა განსაცდელის ჟამს მათ დახმარებოდა (იგულისხმება ციხიდან გაქცევის ეპიზოდები). ასეთი საქციელი ვაჟკაცი კაცისაგან ბუნებრივიც არის. რევოლუციონერთა შორის მრავლად იყვნენ პატიოსანი, გულწრფელი, ხალხისთვის თავდადებული ადამიანები (მარტო ლეო შენგელაიას (ქიაჩელის) და **„ციმბირის პაპად“** სახელდებული ნესტორ კალანდარიშვილის დასახელებაც კმარა). მათ სჯეროდათ, რომ სიკეთეს ემსახურებოდნენ, წესიერ, სამართლიან წყობილებას დაამყარებდნენ; რას იფიქრებდნენ, რომ ამხელა ქვეყნის მართვის სადავეებს ზედიზედ სისხლიანი დიქტატორები დაეუფლებოდნენ და ჯოჯოხეთური რეპრესიების, განუკითხავი ხოცვა-ჟლეტის უსაშინლესი ეპოქა დადგებოდა, საბჭოთა დამსჯელი აპარატი, მილიონობით უდანაშაულო ადამიანთან ერთად ბევრ მათგანს გაჟუჟავდა.

ამჟამად ხაზგასმულად წერენ, რომ 1905 წლიდან რუსეთის მორყეული იმპერიის წიაღში მწიფდებოდა უზარმაზარი კატასტროფა, რომელმაც რუსეთის შემადგენლობაში შემავალ ერებს და მთელ მსოფლიოსაც არნახული უბედურება დაატეხა. თებერვლის რევოლუციას, მიზეზთა გამო, არ დასცალდა ნორმალურად განვითარებულიყო, ოქტომბრის ავანტიურულმა გადატრიალებამ კი უკუღმა დაატრიალა ისტორიის ჩარხი, მთელი თაობები გაწყვიტა და გადააგვარა.

## ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

დღეს უკვე ბევრგან გაიგონებთ და წაიკითხავთ, რომ 1917 წელს ძალაუფლება სისხლის სამართლის დამნაშავეებს, მკვლელებსა და ბანდიტებს ჩაუვარდათ ხელში, მაგრამ ამის აღიარება წამხდარ საქმეს, უკვე მომხდარს, რაღას უშველის; როგორც იტყვიან, **„წარსულს ვარიანტები არ გააჩნია“.** მთავარია, ადამიანებმა მომავალში მაინც გამოიჩინონ კეთილგონიერება, წინდახედულობა, სიფრთხილე და აღარავინ გაიხადონ კერპად, ბელადად, მთელი თავიანთი ფიზიკური და სულიერი ძალები იქითკენ მიმართონ, რათა ჭეშმარიტად ჰუმანური, სამართლიანი საზოგადოება ააშენონ.

ადრეც აღვნიშნე — გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებში ხშირად იხსენიება პრინცესა სალომე და მისი ფრანგული წარმომავლობის შვილები, მიურატები. ამ გარემოების გამო, თვით მე მინდა გავიხსენო ერთი ძვირფასი ადამიანი, დედაჩემისა და მამაჩემის ინსტიტუტის მეგობარი, კანის ექიმი მარგარიტა დგებუაძე, რომლისგანაც, ადრეულ სიყმაწვილეში, პირველად გავიგონე სალომე დადიანისა და აშილ მიურატის სახელები. ერთ საღამოს მანვე გამომიტანა და დამათვალიერებინა ძველი ფოტოსურათები, დაგეროტიპები (გადარჩენილი ნაწილი იმ უნიკალური ფოტოებისა ამჟამად მის დისშვილთან, იათამზე ნანეიშვილთან ინახება).

მარგარიტა დგებუაძე, დეიდა მარგო, არაამქვეყნიური სიწმინდითა და პატიოსნებით გამორჩეული, ნამდვილი მონაზვნის ტიპი იყო. უცნაურად მორიდებულს, ბუნებაც რაღაცნაირი ასკეტური ჰქონდა, ხავსიანი სამრეკლოს ჩრდილში შეყუჟულ ქედანს მაგონებდა, ხმამაღლა სიტყვას ვერ იტყოდა. ისა და მისი უფროსი ძმა კოლია, ასევე უოჯახოდ დაბერებული, ვერაზე ცხოვრობდნენ, ბაქრაძის 4-ის ორ პატარა, მერცხლის ბუდეებივით ოთახში, მეორე სართულზე. ყოველთვის მიყვარდა იქ მისვლა, დედაჩემს მივყვებოდი ხოლმე. ხის ვიწრო, ჭრიალა კიბე აგიყვანდა მათი ბინის პატარა, შუშებიან, ფარდებჩამოფარებულ კარებამდე. კოლია ბიძია იშვიათად თუ დაგვხვდებოდა შინ (ამ ძველ არისტოკრატზე, მეფის ყოფილ ოფიცერზე, ქვემოთ მომიხდება ორიოდე სიტყვის თქმა). დეიდა მარგოს, პატარა ტანის ქალს ჭროლა, სევდიანი თვალები ჰქონდა, კოლხური, გაფითრებული სითეთრე გადაჰკრავდა პირისკანზე. მისმა სიკეთემ, შეიძლება ითქვას, საზღვარი არ იცოდა, ნამდვილი წმინდანი იყო. უდიდესი ამაგი ჰქონდა მამაჩემზე, დედაჩემზე, პირადად ჩემზე, მუდამ მხარში გვედგა. ახლობლებისადმი არაჩვეულებრივ მზრუნველობას იჩენდა. ჩვენმა ოჯახმა საშინლად განიცადა, როდესაც უეცრად იგი ავად შეიქნა. მეხსიერება წაერთვა. ისედაც ჩუმი, დილიდან საღამომდე, ფანჯარასთან მჯდარი, ხმას აღარ იღებდა. მისმა ერთადერთმა დისშვილმა, ადრე დაქვრივებულმა და მასავით უზომოდ კეთილმა იათამზე (თათული) ნანეიშვილმა თავისთან წაიყვანა და რამდენიმე წელს, გარდაცვალებამდე სამაგალითო მზრუნველობით უვლიდა. მე თავს ძალა ვერ დავატანე და ვერ შევძელი ასეთ ბეჩავ მდგომარეობაში მისი ნახვა. არაფრით არ მინდოდა ძველი წარმოდგენა შემცვლოდა ამ ღვთაებრივ ადამიანზე. მამაჩემი როცა გარდაიცვალა (1987 წელს), მას ამ ქვეყნისა აღარაფერი გაეგებოდა და, რომც ეთქვათ, ვერც მიხვდებოდა მისთვის ესოდენ სამწუხარო ამბავს. დედაჩემი და ის, ორი წლის მერე, ერთმანეთის მიყოლებით გარდაიცვალნენ. დეიდა მარგოს ბოლო, ტრაგიკულ წლებზე საკმაოდ მაქვს ჩაწერილი ჩემი გულისტკივილი და ოდესმე გამოვაქვეყნებ.

აქვე მინდა გავიხსენო მარგოს ძმა, მასთან ერთად მცხოვრები, მასავით მარტოხელა, მაღალი, გამხდარი კაცი, შთამომავლობით არისტოკრატი, ძველი იუნკერი, კოჯრის ბრძოლის მონაწილე, მთელი ცხოვრება დაჭერის მოლოდინში რომ იყო. მისი ნათესავებისგან გამიგია, რომ ახლო იცნობდა ქაქუცა ჩოლოყაშვილს, ხევსურეთშიც ხლებია, მაგრამ, მაინცდამაინც, აღტაცებული არ დარჩენილა მისი პიროვნებით და გეგმებით, დასცილებია. ვიცოდი, რომ ავადმოსაგონარ ოცდაჩვიდმეტ წელს, გახურებული დაჭერების დროს, რამდენიმე თვე აბანოში გაატარა გამოუსვლელად. ეტყობა ხელს უწყობდნენ კეთილი ადამიანები — ნათესავები, ნაცნობები. ასეთი რამეები მაშინ არც ისე იშვიათად ხდებოდა. გავიხსენოთ იურისტ ალექსანდრე ქურასპედიანის ამბავი, წლების მანძილზე ცოლი პირსაბანის უკან რომ აწვენდა საგანგებოდ მოწყობილ სამალავში და მხოლოდ გვიან ღამით გამოდიოდა ქალაქში, ცოტა ხნით მუხლი რომ გაემართა. საინტერესო ფსიქოლოგიური დაკვირვებებით აღსავსე მისი მოგონებები კარგა ხნის წინათ, რეზო ჭეიშვილის რედაქტორობის დროს დაიბეჭდა ჟურნალ **„განთიადში“**, მაგრამ, სამწუხაროდ, ცალკე წიგნად დღემდე არ გამოცემულა.

მარგარიტა და კოლია დგებუაძეების დისწულმა იათამზე ნანეიშვილმა (იგი უკვე ვახსენეთ) ძველ ქაღალდებსა და საბუთებში შემთხვევით იპოვა იუნკერ კოლია დგებუაძის ბარათი დედის, ალათი ანჯაფარიძისადმი მიწერილი, 1921 წლის 23 თებერვალს, ბოლშევიკების ჯარისგან თბილისის აღებამდე ორი დღით ადრე. იგი ქალაქში თმის შესაკრეჭად ჩამოსულა საბრძოლო პოზიციიდან (კოჯრიდან) და, ეტყობა, წერილიც იმ ღამეს გაატანა ერთ-ერთ ახლობელს (შესაძლოა იმ პიროვნებას, რომელიც წერილში პიპუშად არის მოხსენიებული და რომლის ვინაობა ჩვენ არ ვიცით).

ტექსტის მოტანამდე, ალბათ, საჭირო გახდება ზოგიერთი მცირე განმარტება. ეს წერილი თავისებურ დოკუმენტადაც გამოდგება ჩვენი ახლო ისტორიული წარსულის შესასწავლად; აქ ნახსენები, ფეხში დაჭრილი, კოწია იაშვილი არის პაოლო იაშვილის უმცროსი ძმა, რომელიც 1937 წელს გადაასახლეს და დაიღუპა. მოკლულ იუნკერზე, ახვლედიანზე, შეიძლება მოძიებულ იქნას ცნობები, ხოლო კაკუ შინაურული სახელია კოლია დგებუაძის დის სონია დგებუაძისა, რომელიც იყო აკაკი წერეთლის ძმისშვილის, ვასილ დავითის ძე წერეთლის მეუღლე და გარდაცვალებამდე მზრუნველობას არ აკლებდა აკაკის სახლ-მუზეუმს. აქვე მოხსენიებული ჯვებე დადიანი კოლია დგებუაძის მამიდაშვილი გახლდათ, ხოლო კაკი და მარო მამიდები იყვნენ მისი.

ძალზე ნიშანდობლივია ამ პატარა ბარათის უაღრესად მოკრძალებული ტონი. როგორც დასავლეთ საქართველოს არისტოკრატიულ წრეებში სჩვეოდათ, ვაჟიშვილი მშობელ დედას (მამა თავისთავად იგულისხმება) **„ბატონობით“** მიმართავს:

**„ძვირფასო ბ. დედა!**

**ღმერთს ვთხოვ თქვენს კარგად ყოფნას ძვირფასი ქმარშვილებით. როგორ ბრძანდებით, ბ. დედა, ხომ კარგად? მე კარგად ვარ, ჩემი ჯავრი ნუ გექნებათ. მე დღეს ჩამოვედი პოზიციიდან. ხვალვე ისევლე წავალ უკან. ჩამოვედი თმის მოსაპარსავად. ვიყავი დაჭრილი ცოტა, მაგრამ არაფერი მიშავს. ვიცი, რომ ახლა შეიშლებით ჭკუიდან. არ მინდოდა მომეწერა, მაგრამ გაზეთებში იქნება დაბეჭდილი და რომ არ მომეწერა, სულ შეიშლებოდით. ნუ შეგეშინდებათ. მე როგორც ვარ, პიპუშა გეტყვის. კოწია იაშვილი დაჭრეს ფეხში, მაგრამ არაფერი უჭირს. სულ დაჭრილები ვართ იუნკერები. 27 კაცი. ამათ გარდა, 2 იუნკერი მოკლეს და ორი აფიცერი. ერთი იუნკერი ახვლედიანი იყო (კაკუ ქე იცნობდა), რომელიც მოკლეს. სხვები ყველა კარგად ვართ. იცოდეთ, ჩემი ნუ გეშინიათ, ტყვილა შეიწუხებთ თავს. ჯვებე დადიანი კარგად არის. ისიც ჩვენთან არის პოზიციაზედ.**

**მოგიკითხათ ყველამ. გკოცნით ყველას.**

**თქვენი მორჩილი შვილი კოლია დგებუაძე**

**კაკის და მაროს წერილი მიწერეთ, შეატყობინეთ ჩემი ამბავი.** ***23.02. 1921 წელი, ღამის 10 საათი“.***

კოლია დგებუაძე, უპირველეს ყოვლისა, გარეგნობით იქცევდა ყურადღებას. აწურული, ხმელ-ხმელი, წვივებმაღალი, რაღაცით ფერდებშეწეულ ჯიშიან მწევარს გავდა. ქართული, კეხიანი ცხვირი და დატალღული თმა შვენოდა. უბრალო, თალხი ფერის შარვალ-ხალათი ეცვა. სახის სიგამხდრესთან შეფარდებით, ტუჩები სქელი ჰქონდა. პირველად როცა ვნახე, გზატკეცილების სამმართველოში მუშაობდა, უბრალო თანამდებობაზე, მერე საქენერგოში გადავიდა, რაიმე პოსტი არც იქ სჭერია. კოლია ბიძია სიტყვაძუნწი კაცი იყო. მე მაშინ პატარა ვიყავი და, ცხადია, გულს არ გადამიშლიდა. პოლიტიკაზე ლაპარაკს გაურბოდა, უაზრობად მიაჩნდა. მამაჩემის გადასახლებაში ყოფნაზე კი წუხდა და სინანულით გადააქნევდა ხოლმე თავს. კითხვა უყვარდა. ჩემს წარმოსახვაში ახლაც გაკრთება წვრილ ნაოჭებში მოქცეული მისი თვალების კეთილი ციმციმი. ცოლი არ შეურთავს, მაგრამ მეგობარი ქალი ჰყავდა, ცისფერთვალება, ქერა, დედით გერმანელი, სასიამოვნო შესახედაობის ქალბატონი ემა შადური. უგემრიელესი ნამცხვრები გამოსდიოდა ქალბატონ ემას. კვირა არ გავიდოდა, და-ძმისთვის რომ არ მოეკითხა. მეც არაერთხელ მიგემნია.

მამაჩემის გადასახლებიდან დაბრუნებამდე, დედაჩემს ხშირად დავყავდი ახლობლების ოჯახებში, შინ არ უდგებოდა გული. ერთი ძველებური ნივთი დამამახსოვრდა, რომელიღაც ნაცნობ ოჯახში ნანახი, ფაიფურის საფერფლე — კორნეტის (მეფის ოფიცრის) თავი იყო კოხტად გამოყვანილი, ქუდის ჩაზნექილი ზედაპირი მწვანედ ხასხასებდა, მოლაპლაპე კოკარდა მუქი შავი, ულვაშებიც — შავი, ტუჩები კი მძაფრად წითელი, სისხლისფერი ჰქონდა იმ ლამაზ ნაკეთობას...

კოლია ბიძია რომ გარდაიცვალა (ვგონებ 1976 წელი იყო) და ჩვენებთან ერთად სამძიმარზე მივედი, დავხედე თუ არა, უნებურად შევკრთი. სახე მიცვალებულს გაშავებოდა, მხოლოდ სავსე ტუჩებს ეკრა მწიფე შინდისფერი და უმალ ის ძველი, ყმაწვილობის დროიდან ხსოვნაში ჩარჩენილი ფაიფურის უცნაური საფერფლე გამახსენდა...

**ემზარ კვიტაიშვილი**

*გარძელება შემდეგ ნომერში)*

ილორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ესენინი საქართველოში: მე თქვენი ჩრდილოელი მეგობარი და ძმა ვარ!



### *ბრძოლაში მამიდები ჩაებნენ*

**„სტუმრები, სტუმრები, სტუმრები... ნეტავ ვინმე მიხსნიდეს მათგან. და, რაც მთავარია, მუშაობაში ხელს მიშლიან“,** – წუხდა ესენინი. არადა, მუშაობა სურდა. დასასრულებელი იყო **„სპარსული მოტივები“**, დროისა და განწყობის დაკარგვა არშეიძლებოდა.

და 6 დეკებერს ესენინი ნიკოლაი ვერჟბიცკისთან ერთად ბათუმში გაემგზავრა, რამდენიმე დღის შემდეგ კი გაზეთმა **„Трудовой Батум“ „სპარსული მოტივების“** პირველი ორი ლექსი დაბეჭდა.

ესენინს განმარტოება ენატრებოდა, ალიაქოთს გაურბოდა, მაგრამ საკუთარ თავს – ვერა. არ სჭირდებოდა ეს მარტოობა, არ შეეძლო ადამიანებისგან გარიყულად ცხოვრება, ის კაცი არ იყო, ვინც ოთხ კედელშუა გამოიკეტებოდა და მთლიანად მუშაობაში ჩაეფლობოდა.

რა თქმა უნდა, ესენინის ბათუმში ჩასვლამ საყოველთაო ინტერესი გამოიწვია, ყურადღებაც მიიპყრო. ქუჩაში აჩერებდნენ, ეცნობოდნენ, რესტორანში ეპატიჟებოდნენ. მთელი დღეები მხიარული თანამესუფრეებით იყო გარშემორტყმული.

ჩემს ბათუმელ მამიდებს მათმა ნაცნობმა მხატვარმა საიდუმლო და საპასუხისმგებლო მისია აკისრებინა: პოეტი ბოჰემისა და გაჭიანურებული ქეიფისგან დაეცვათ. და მამიდებიც გაბედულად ჩაებნენ ფხიზელი ცხოვრების წესის დასამკვიდრებელ ბრძოლაში. ამ მხრივ განსაკუთრებით უფროსი და ანა ალექსის ასული ჩაჩუა ბეჯითობდა, გათხოვების შემდეგ – ლაპასტარჟენეცკაია. შუათანა და – მხატვარი ოლღა, ქმრის გვარით – სელეზნიოვა, მისი საიმედო დამხმარე გახლდათ; ხოლო ჩემს უმცროს მამიდა ქსენიას დამკვირვებლის პოზიცია ეკავა, რადგან მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა, თუმცა დების კეთილშობილურ აღმაფრენას ხელს არ უშლიდა. რა იცი, რა ხდება!

თავდაპირველად საჭირო იყო ესენინის გაცნობა და საკუთარი შესაძლებლობების შეფასება. ამის გაკეთება კი ძნელი არ იყო: პატარა ქალაქში მთელი ინტელიგენცია ხელისგულზე მოჩანდა.

მამიდა ანა სერგეი ესენინის მეგობარსა და მასპინძელს – ლევ პოვიცკის ესტუმრა. შინ იყვნენ. სუფრასთან ისხდნენ და ჩაის მიირთმევდნენ. როგორც მამიდა ანამ მიამბო, ესენინი გულღიად შეხვდა, ჩაი შესთავაზა. ვერ ვიტყვი, რომ ანას დანახვისთანავე მოეწონა ესენინი: ჩვეულებრივი ბიჭი, რომელსაც ლამაზი ოქროსფერი კულულები და სევდიანი ცისფერი თვალები ჰქონდა. **„თუმცაღა, როგორც კი ჩვენი თხოვნით თავისი ლექსების კითხვა დაიწყო, მაშინვე მომხიბლა თავისი უშუალობით, სითბოთი, ოდნავ ყრუ ხმის ტემბრით. ამდენი წელი გავიდა, მე კი მისი ხმა ვერ დავივიწყე“.**

მამიდამ დიდი საიდუმლო გამანდო და მაცნობა, რომ მშვენიერი ლექსები იყო, თუმცა... მისი პირველი ქმარი ამაზე ურიგო ლექსებს როდი წერდა. რა გაეწყობოდა, სიყვარული ალაპარაკებდა.

გამომშვიდობების დროს რომ მოაწია, მამიდა ანამ სერგეი ესენინი სტუმრად მიიპატიჟა. მადლობა ღმერთს, იქვე ცხოვრობდა. სერიოჟკა, როგორც მამიდა ანა ეძახდა, დაუმეგობრდა და, ჩვეულებრივ, მცირე ხნით შემოივლიდა ხოლმე. **„დაჯდებოდა. დაჟინებით სადღაც შორეთში იცქირებოდა, თითქოს იქ რაღაცას ხედავდა, მაგრამ არა იმას, რაც ცხვირწინ ჰქონდა. გისმენდა, თუმცა ისე, თითქოს შენი არ ესმოდა. „თქვენთან ისე მოვდივარ, თითქოს ჩემს დებთან“,** – ასე ამბობდა.

**“მართლაც, გული მოუწევდა ჩვენკენ, რადგან მუდამ თბილად, გულღიად და გულითადად ვხვდებოდით. რაც მთავარია, ახალგაზრდობის მიუხედავად, მისი გულის მონადირებას არ ვცდილობდით“.**

ყოველ ხუთშაბათს დები ჩაჩუების სახლში მუსიკალური საღამოები ეწყობოდა, სადაც ბათუმის ბომონდი იყრიდა თავს. მამიდა ოლღას დედამთილის, პიანისტ ელენა სელეზნიოვას მიერ ორგანიზებულ საშინაო კონცერტებში მისი სიძე, მევიოლინე დ. ლეგკერი, პიანისტი ნეიშტადტი და სხვებიც მონაწილეობდნენ. კონცერტებზე ესენინსაც იწვევდნენ. თუმცა, ანას აზრით, ის მოწყენილი იყო – კლასიკა მის გულს ვერ ეხმიანებოდა. **„თვალწინ მიდგას დივანის კიდეზე ჩამომჯდარი მისი დაძაბული ფიგურა და კარისკენ მიმართული მზერა. ნახევარსაათიანი მდუმარე ჯდომის შემდეგ ის შეუმჩნევლად უჩინარდებოდა. ეტყობა, მშობლიური ტალიანკის ხმები უფრო იზიდავდა, – ამბობდა მამიდა,– სამუდამოდ დამამახსოვრდა, ვისაც უნდა შეხვედროდა, სადაც უნდა ყოფილიყო, მუდამ საკუთარ თავში იყო ჩაკეტილი, ნაღვლიანი და იქ არმყოფი...“**

ერთხელ ერთ ასეთ საღამოზე ესენინი ნასვამი მოვიდა, თუმცა გაფრთხილებული იყო, რომ ამ მდგომარეობაში ზღურბლზეც არ გადააბიჯებინებდნენ. ბოთლიც კი წამოეღო თან. კაკუნის ხმაზე გამოსულმა მამიდა ქსენიამ ამ უმსგავსობის დანახვაზე მკაცრად მოსთხოვა იქაურობის დატოვება. ისიც უსიტყვოდ დამორჩილდა: აბა კეთილშობილ ოჯახში აყალმაყალს ხომ არ ატეხდა!

მრავალი წლის შემდეგ, როცა უკვე დიდი ვიყავი, მამიდა ქსენიას ვუსაყვედურე იმის გამო, რომ სახელგანთქმული პოეტი ასე უხეშად დაითხოვა სახლიდან.

**„რატომ მოვიდა მთვრალი?“** – არ შემეპუა იგი. რაღა უნდა მეთქვა? ანა ხშირად ხვდებოდა ესენინს. უყვებოდა საკუთარ ცხოვრებაზე, იმაზე, თუ როგორ დატოვა თეთრებთან ერთად სამოქალაქო ომის ალში გახვეული კიევი, გადასახლდა ჯერ მოსკოვში, შემდეგ კი – მშობლიურ ბათუმში. თავსგადახდენილ ამბებს უამბობდა სერგეი ესენინიც...

სხვათა შორის, თავისი ბიოგრაფიის ბევრი ფაქტი მამიდა ანამ შემდეგ ესენინის ცნობილ პოემაში – **„ანა სნეგინა“** – ამოიკითხა. არა, ის არ ირწმუნებოდა, რომ გმირი ქალის პროტოტიპი იყო, მით უფრო, მას შემდეგ, რაც ლიტერატურათმცოდნეებმა გამოიტანეს ვერდიქტი – ეს ორი ქალის – ანა სარდანოვსკაიასა და ლიდია კაშინას ლიტერატურული სახეები იყო.

მამიდა ანა არასოდეს კიცხავდა სერიოჟკას. იცინოდა მის გამოხდომაზე, როცა ის ბულვარზე, ძელსკამზე ჩამომსხდარი კოხტა ქალების დანახვაზე მათკენ გაემართა, ხოლო გზად ფეხსაცმლის მწმენდავი ბიჭისგან მისი ყუთი ითხოვა. ქალების წინ მუხლებზე დაეშვა და სთხოვა: **„ნება მომეცით, ქალბატონებო, ფეხსაცმელი გაგიწმინდოთ“.**

ქალებმა იცნეს ესენინი, შეცბნენ, მტკიცე უარი განუცხადეს, პოეტი კი თავისას არ შლიდა. სიტუაცია დროულად გამოჩენილმა ლევ პოვიცკიმ განმუხტა.

**„ასე რომ, არც ისე კარჩაკეტილად და ეულად ცხოვრობდა ესენინი, როგორც ამის შესახებ მოსკოვში ბენისლავსკის სწერდა. მისი მარტოობა შინაგანი იყო და გარეგნული გამოხატულება არ ახლდა. ბათუმში ჩხუბის ატეხის მცდელობები და სხვაგვარი უცნაური შემთხვევებიც ჰქონია“,** – ირწმუნება მამიდა ანა.

მსუბუქი ყოფაქცევის ქალთან, ოლგა კობცოვასთან, გაჩაღებულ მის ბობოქარ რომანსაც უძებნიდა გამართლებას, თუმცა ქალს, რომელსაც ესენინი **„მის ცოლს“** ეძახდა, სხვა **„სიკეთეებთან“** ერთად, მშობლებიც კონტრაბანდისტები ჰყავდა. რა მოხდა მერე, ახალგაზრდობით მოუვიდა, არ უწყოდა, რას სჩადიოდა.

შემდეგ დაშორდა ოლგას. ფხიზელი ცხოვრების წესისთვის ბრძოლა როგორ დამთავრდა? გულწრფელად უნდა ვაღიარო: მამიდა ანამ ეს ბრძოლა წააგო. არ უშველა, მისი თვალსაზრისით, მძლავრმა იარაღმაც – მუქარამ, რომ ესენინთან ერთად სამიკიტნოებში ივლიდა. პოეტმა ხომ იცოდა, რომ ახალგაზრდა ინტელიგენტი ქალი ამას არასოდეს გააკეთებდა.

**„თებერვლის ბოლოს ესენინი ძალზე გახარებული და გამოცოცხლებული ვნახე. ხელი ჩამომართვა და ხალისით მამცნო: – მივემგზავრები, ანა ალექსეევნა, მოსკოვში, შინ მივემგზავრები, მომენატრა იქაურობა!**

**რატომღაც გუნებაში გამიელვა, რომ ბათუმში მისი სტუმრობა იძულებითი იყო. თუმცაღა არაფერი მიკითხავს, გულითადად მივულოცე და ბედნიერი მგზავრობა ვუსურვე“.**

და მაინც, სერგეი ესენინმა მამიდაჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. მის შესახებ ანა მრავალი წლის განმავლობაში წერდა რომანს, რომელსაც **„ეკლიანი გზა“** უწოდა. რომანში სიმართლე და გამონაგონი ჰარმონიულად იყო შერწყმული, თუმცა ის არ გამოცემულა. მხოლოდ როსტოვის ერთ-ერთმა გაზეთმა დაბეჭდა მისი რამდენიმე თავი.

გამოხდა დრო. **„ჩვენი ბობოქარი და თამამი ახალგაზრდობა წარსულს ჩაბარდა“, „მოგონებების ჟამი დადგა“** და ცნობილმა ქართველმა პოეტმა გიორგი ლეონიძემ, რომელსაც მეგობრები გოგლას ეძახდნენ, დაწერა: **„სულ უფრო ხშირად ვიფორიაქებ მეხსიერებას და წარსულიდან მეგობრებისა და თანამოძმეების ხატებებს ვუხმობ. მათ შორისაა მომაჯადოებელი ძალისა და განუმეორებელი მომხიბვლელობის მქონე კაცი – დიდი რუსი პოეტი სერგეი ესენინი. თითქოსდა ჩამესმის მისი ხმა, 40-ზე მეტი წლის წინათ რომ ჟღერდა... მტკიცე სიყვარულის აღელვებული გამოძახილით ვპასუხობდით მას – პოეტს, ჩვენი დროისა და ახალგაზრდობის მუსიკა რომ მოიცვა. თეთრი არყისხის შეურყვნელი სიქათქათით წარმომიდგება თვალწინ – ნათელი, ცისფერთვალა, ჩემი კეთილი მეგობარი და თანამოკალმე. ...ქართული პოეზიის ნიმუშების თარგმნა ჰქონდა ჩაფიქრებული... საქართველოს შესახებ ლექსების ცალკე ციკლის შექმნა სურდა... თუმცა მანაც, მაიაკოვსკივით, „ვალში რომ დარჩა ბაღდათის ზეცას“, ვერ შეძლო ბევრი დიდი გეგმის განხორციელება, პირველმა თავად რომ ჩაიფიქრა და შემდეგ რუსი საბჭოთა პოეტების დიდი ოჯახის წევრებმა რომ განახორციელეს“.**

სერგეი ესენინის წერილიდან ტიციან ტაბიძისადმი: **„ჩემო მეგობარო ტიციან! უკვე მოსკოვში ვარ. ძალიან მიხარია, რომ მეგობრებს ვხედავ, ვიხსენებ და ტფილისზე ვუყვები. ჩვენი თავგადასავლები აქ უკვე იციან იმის ჩათვლით, პაოლოს კეპს ხაშში როგორ ვხარშავდით. საქართველომ მომაჯადოვა. როგორც კი მოსკოვსა და პიტერში ჩემს კუთვნილ ჰაერს შევსვამ – უკანვე, თქვენკენ გამოვეშურები, რომ გიხილოთ და მოგეხვიოთ. ამ გაზაფხულზე ტფილისში, ალბათ, მოსკოველთა ნამდვილი შემოსევა იქნება. მანდ ჩამოსვლას აპირებენ კაჩალოვი, პილნიაკი, ტოლსტაია და ვს. ივანოვი. ბაბელი უფრო ადრეც გეწვევათ. გულღიად შეხვდით. კარგი ყმაწვილია და სტუმართმოყვარეობას იმსახურებს. ჰკითხე პაოლოს, რომელი თოფი ვიყიდო ტახებზე სანადიროდ. ნომერი მომწეროს. მომიკითხე ყველა ჩემი მეგობარი – პაოლო, რობაქიძე, ლეონიძე და გაფრინდაშვილი. ხელზე ემთხვიე შენს მეუღლესა და ქალიშვილს და თუ არ დაიზარებ, ორიოდ სიტყვით მიპასუხე. 20 მარტი, 1925 წ. მოსკოვი“.**

იმავე წლის დეკემბერი. ტიციან ტაბიძე **„ზარია ვოსტოკას“** რედაქციის წინ მიდის. იქიდან დაუძახეს: – ტიციან, ტიციან! სერგეი ესენინმა ლენინგრადში თავი ჩამოიხრჩო!

ქართველ პოეტებს თავზარი დაეცათ, მწუხარებამ მოიცვა. მათ ხომ ძმა დაეღუპათ!

**ელენე ჩაჩუა**

# კახა ბენდუქიძეს უნიკალური დენდროპარკის გაჩეხვის მცდელობაში ადანაშაულებენ

დიღომში, აგრარული უნივერსიტეტის აგროპარკს გაჩეხვა ემუქრება. ეს ინფორმაცია "პარტიზანული მებაღეების" იდეის ავტორმა, ნატა ფერაძემ გვაცნობა. როგორც ქალბატონმა ნატა ფერაძემ განაცხადა, არსებული ინფორმაცია უტყუარია, თუმცა, ჯერჯერობით, მერიას დენდროპარკის გაჩეხვის ნებართვა არ გაუცია:

**"წყაროს დასახელებისგან თავს შევიკავებ, თუმცა ნამდვილად ვიცი, რომ ამ უნიკალური ჯიშის ხეებს გაჩეხვა ემუქრება. როგორც მითხრეს, კახა ბენდუქიძეს ამ ტერიტორიაზე მშენებლობის წამოწყება აქვს დაგეგმილი",** – განაცხადა ნატა ფერაძემ.

არსებულ ინფორმაციას აგრარული უნივერსიტეტის რექტორი ლაშა გოცირიძე არ ადასტურებს. მისი თქმით, დენდროპარკს გაჩეხვა კი არ ემუქრება, არამედ პირიქით, მიმდინარეობს მისი თვითნაბადი მავნე მცენარეებისგან გაწმენდა:

**"ნებისმიერ დროს შეგიძლიათ მობრძანდეთ და ნახოთ, რომ ამ უნიკალური ჯიშის ხეებს საფრთხე არ ემუქრება. რაიმე უკანონო ქმედებას რომ ჰქონოდა ადგილი, მერიის ზედამხედველობის სამსახური შესაბამის ზომებს მიიღებდა. ნებისმიერ მსურველს შეუძლია მივიდეს მერიაში და გადაამოწმოს, რომ მათ მიერ ხეების გაჩეხვის ნებართვა გაცემული არ არის და არც ჩვენ მიგვიმართავს მათთვის",** – განაცხადა ლაშა გოცირიძემ.

**"პარტიზანი მებაღეების"** თავმჯდომარე, ნატა ფერაძე არც მერიას და არც აგრარულ უნივერსიტეტს არ ენდობა. ფერაძე ამბობს, რომ მას აქვს ინფორმაცია, რომლის მიხედვით პოლონეთიდან გამოწერილი სპეციალური მანქანებით აპირებენ უნიკალური ჯიშის ხეების სხვა ტერიტორიაზე გადარგვას, თუმცა მისი მტკიცებით, 50 წლის ხეებს გადარგვის შემდეგ, გახარების შანსი ვერ ექნება:

**"ჯერ ამბობენ, რომ ხეების თვითნაბადი მცენარეებისგან გაწმენდა მიმდინარეობს, მალე გეტყვიან, რომ სხვა ადგილას გადარგვას აპირებენ, ეს მერიის არაერთხელ ნაცადი ხრიკია. ადრეც მსმენია მათგან მსგავსი არგუმენტები",** – განაცხადა ნატა ფერაძემ.

შეგახსენებთ, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში თბილისში სარეკრეაციო ზონები საგრძნობლად შემცირდა. გამწვანებულ ტერიტორიებსა და პარკებში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს მრავალი ასწლოვანი ნარგავი შეეწირა. 8 ივლისის ასათიანის ქუჩაზე, ყოფილი ფსიქიატრიული საავადმყოფოს ტერიტორიაზე, 42 ხე მოიჭრა, კუს ტბის ფერდობზე რესტორნის მშენებლობას კი შეეწირა ე.წ. ცხვების ტერიტორიის მწვანე ნარგავებისგან გასუფთავება მოჰყვა.

ვერა და ვერ მოხერხდა ამ გაუმაძღარი და ადამიანის სახედაკარგული კახა ბენდუქიძის ალაგმვა, რომელმაც, გარდა იმისა, რომ ეკონომიკის მინისტრის თანამდებობის ბოროტად გამოყენებით დიდძალი სახელმწიფო ქონება ჩალის ფასად იგდო ხელთ, ახლა ისედაც სიმწვანეშემოცლილი ქალაქის უნიკალურ ტყე-პარკსაც უპირებს განადგურებას. ალბათ დროა, რომ ამ პირწავარდნილ ხარბისა და უსაქციელო ოლიგარქის მოღვაწეობით სათანადო საგამოძიებო ორგანოები დაინტერესდნენ და თავისი ადგილი მიუჩინონ ამ უძღომელს!

**რ. შალამბერიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფლების ძიებაში ჩაკარგულები!

***ჩვენი მეგობარი რომან კენკიშვილი სპეციალობით ინჟინერია, რომელსაც ამ დარგში სადოქტორო დისერტაცია აქვს დაცული. ვფიქრობთ, მკითხველს ასევე დააინტერესებს ნაწყვეტი ბატონი რომანის წინამდებარე წერილიდან, რომელშიც იგი თანამედროვე პოლიტიკის ფსიქოლოგიურ ასპექტებს მიმოიხილავს.***

პიროვნების თავისუფლების სახელით ქვეყანაში შემოაქვთ უცხო რელიგიური მრწამსი და შემოყავთ სხვადასხვა სახის სექტები. ამით განსაკუთრებით სარგებლობენ მეზობელი თურქები, საქართველოში შემოყვანილი ყავთ მსტოვრები. მოქმედების გეგმა მარტივია: დაიახლოვებენ გაჭირვებულ ენერგიულ ადამიანებს, რომელთაც სარწმუნეობა სულაც არ აინტერესებთ, მათი მეშვეობით აბამენ ფართო ქსელს, სანათესაო, სამეზობლო, სამეგობრო, მართავენ წვეულებებს, აძლევენ საკვებ პროდუქტებს და სხვადასხვა სახის საჩუქრებს (ცნობილია თურქები ყველაზე ძუნწები არიან. ვინ გაიგო მათი საჩუქრები?). პარალელურად თავიანთი რელიგიის უპირატესობას ქადაგებენ. ყველას უნახავს როგორ დაიარებიან ქალაქად თუ სოფლად, იაღოვური ლიტერატურით დატვირთული, წელში გადაწყვეტილი ჩვენივე ჯიშის ახალგაზრდები, რომლებსაც ალბათ ქართველი დედობა და ჩვენი გენის გამრავლების მოვალეობა აკისრიათ.

ხომ ყველას ახსოვს რადიკალი მღვდელი მკალავიშვილი რომელმაც ხმა აღიმაღლა და წინ აღუდგა ყოველივე ამ უმსგავსოებას. **„თავისუფლების ინსტიტუტის“** ბუდეში დაჩეკილ-დაფრთიანებულებმა როგორ დაანგრიეს გლდანში ხალხის ფულითა და მამა ბასილის რუდუნებით ნაშენები ეკლესია. თვითონ მოძღვარი კი ციხეში გამოამწყვდიეს.

როგორც უკვე ავღნიშნეთ რელიგიურ დაპირისპირებას დიდი დამანგრეველი ძალა გააჩნია. ჩვენთან ამის წინასწარი ნიშნები უკვე არსებობს. ხოლო მაგალითები თვალწინ გვაქვს – ავღანეთი, ერაყი, ეგვიპტე.

2013 წლის 17 მაისის აქციის ყველა მონაწილე გამარჯვებულია. რა ძალები არსებობდნენ, ვინ იღებდა მონაწილეობას ამ აქციაში? ეს არის ორი დიდი ძალა. ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების დამცველი საზოგადოების ნაწილი. გარკვეული პირობების გამო ვერ მოხერხდა მთლიანად ქართველ ერს საჯაროდ ეთქვა თავისი სათქმელი და სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ამ უმსგავსობას მხარდამჭერი არ გააჩნია. მეორე ძალა – ეს არის გაცილებით დიდი ჩვენი **„მეგობარი“** ქვეყანა ან ქვეყნები, რომლის შეიარაღებაში შედის გალამაზებული და ახალი ფორმით შემოტანილი ქვეყნის ანექსიის მრავალი მეთოდებიდან ერთ-ერთი, 17 მაისს გამოყენებული.

**„ენა, მამული, სარწმუნოება“** ეს ის მცნებებია, რასაც ჩვენმა ერმა, არსებობის მთელ პერიოდში თავდადებით უერთგულა, რამაც ჩვენი მცირე ერი დღემდის მოიყვანა, რაც მარტივად, სამი სიტყვით დაგვიტოვა დიდმა ილიამ, თუ რას უნდა მოვეფეროთ, დავიცვათ და გაუფრთხილდეთ.

თანამედროვე მსოფლიო გლობალიზაციის პროცესი, რომელიც მცირე ერებს მოსპობითა და გადაშენებით ემუქრება, თუ არა ძლიერი გენეტიკური კოდი და მასზე დაფუძნებული გენეტიკური პროგრამები, ერების გაქრობის, გადაშენების ეს პროცესი მარტივი განსახორციელებელია და მცირე დროშია შესაძლებელი.

ენა, ეს არის ერად ჩამოყალიბებისა და ერთ საზოგადოებად გაერთიანების ძირითადი მამოძრავებელი ძალა. მამული გაიგივებულია დედის ფენომენთან, რომელზედაც ბევრია დაწერილი და არსებობს დედაშვილური გრძნობების ჩამოყალიბების მეცნიერული ახსნები. სარწმუნოების ძირითადი დატვირთვა არის ერის სულიერი, მორალური და ზნეობრივი თვისებების ამაღლება და მათი დაცვა-შენარჩუნება.

უმამულო ერი არ არსებობს, ის თავის საკუთარ მამულშიც კი შეიძლება ლტოლვილად იქცეს, დაბალი ზნეობისა და მორალის გამო, რადგან ასეთ საზოგადოებას არც ენა სჭირდება და არც მამული. ნებისმიერი მომხვდური, რომელიც მამულს გვართმევდა, ცდილობდა იმ ღირებულობების წართმევას, რასაც ენა და სარწმუნოება ჰქვია.

ქართველებსაც გვქონდა ზეობის ერთი დრო, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე ტერიტორიებით, მაგრამ იმის გამო რომ ჯეროვნად ვერ იმუშავა ენამ და სარწმუნოებამ ეს ყველაფერი დავკარგეთ. დავიბრუნეთ დედა აჭარა (იმუშავა ენის ფენომენმა). დავკარგეთ სამაჩაბლო და სამურზაყანო.

ერი ისეთივე ცოცხალი ორგანიზმია, როგორც ყველა დანარჩენი სულიერი დედამიწაზე. ადამიანებს, ისევე როგორც ცხოველთა რიგ სახეობებს გააჩნიათ ჯგუფებად, ჯოგებად ცხოვრების წესი, აღჭურვილნი არიან სათანადო გენეტიკური პროგრამებით და ქმნიან საზოგადოებას. ადამიანი ამ ცხოველთა ერთ-ერთი სახეობაა.

გენეტიკური პროგრამები განსაზღვრავენ ცოცხალი ორგანიზმების ქმედებას, არ არის პროგრამა, არ არის რაიმე ქმედება. ერთი და იგივე მიზნის მისაღწევად ცოცხალ ორგანიზმებს გააჩნიათ პროგრამების მთელი ნაკრები, რომელთა უმრავლესობა სიცოცხლის წარმოშობიდან დღემდე სხვადასხვა დროს წარმოიშვა. ქცევის პროგრამები, ბუნებრივი გადარჩევის შედეგად, როგორც ნელ-ნელა, თადათანობით წარმოიქმნება, ასევე შეიძლება თადათანობით გაქრეს. ზოგიერთი უსარგებლოდ ქცეული პროგრამა გონებამ შეიძლება რუდიმენტის სახით შემოინახოს და ზოგჯერ თავი შეგვახსენოს. ყოველ ჩვენთაგანს შეუძლია გენეტიკური მეხსიერების კუნჭულიდან ყურის ნიჟარის მოძრაობის პროგრამა გამოიძახოს (ის მილიონობით წელია უსარგებლო გახდა) ოღონდ ამისათვის ერთს დიდი ჯაფა დასჭირდება, მეორე კი ყურებს პირველივე მოთხოვნისთანავე აამოძრავებს.

ადამიანებმა და მისმა უახლესმა წინაპრებმა ევოლუცია განიცადეს ბუნებრივი გადარჩევის ჯგუფური ფორმის ძლიერი კონტროლის ქვეშ, როცა ეჯიბრებიან არა იმდენად ინდივიდები, რამდენადაც ჯგუფები, ამიტომ ჩამოყალიბებული პროგრამები განსაზღვრავენ საზოგადოების ცხოვრების წესს და სათანადო სტრუქტურებს.

ადამიანთა საზოგადოებებში ისევე, როგორც მის უახლოეს თანამოძმეებში იერარქიული წყობა გარდუვალია. სადაც საზოგადოება იმართება დომინანტისა და მისდამი დაქვემდებარებული სუბდომინანტებით. ამ დროს მთელი ჯგუფი იმართება ერთი დომინანტის აზრით. ზოგიერთი მწერების საზოგადოებას გადარჩევის ჯგუფურმა ფორმამ ადამიანებზე ბევრად უფრო სრულყოფილი სოციალური სტრუქტურები შეუქმნა და ჩამოაყალიბა. აქ საინტერესოა ერთი მომენტი, მწერებს ახასიათებს კოლექტიური აზროვნება. პირობითად, თუ ჭიანჭველების ჯგუფში მათი რაოდენობა ასზე ნაკლებია, ვთქვათ 99, მათ აზრი და სათანადო მოქმედება არ გააჩნიათ. როგორც კი დაემატება ერთი ჭიანჭველა, ჯგუფი იწყებს აზროვნებას და სათანადო მოქმედებას.

ადამიანი ბიოლოგიური არსიდან გამომდინარე, ისევე როგორც ყველა სულიერ არსებაში ჩამოყალიბებული პროგრამები, ქვეცნობიერად უზრუნველყოფს წინააღმდეგობა გაუწიოს მის ორგანიზმში შეჭრილ უცხო სხეულს. არახელსაყრელ პირობებში ბაქტერია გადაიკრავს სპორას, ხვლიკი მოიწყვეტს კუდს, კარგავს სხეულის ნაწილს, შუაზე გაწყვეტილი ჭიაყელა აგრძელებს ცხოვრებას, რათა დასაბამი მისცეს თავის სიცოცხლის გაგრძელებას მომავალი თაობის სახით.

რატომ არის საშიში ადამიანთა საზოგადოებაში განსხვავებული ქცევების შეტანა, დაკანონება ან უცხო სხეულის შეჭრა? ცნობილია მცენარეთა ცხოვრების წესი. გარკვეულ ტერიტორიაზე გაშენებული ერთი სახის მცენარეულობა ეწინააღმდეგება ამ ტერიტორიაზე ჩავარდნილი სხვა უცხო თესლის აღმოცენებას, მაგრამ თუ მოხვდა ისე რომ ამ ტერიტორიაზე გაჩნდა რაღაც უცხო მცენარე, განსაკუთრებით უჯიშო, იგი მთლიანდ გადააშენებს ადგილობრივს. ეს ბუნების კანონია და იგი ყველა ცოცხალ ორგანიზმზეც ვრცელდება.

აღნიშნული ბუნების კანონის შესახებ წარმოდგენაც არ ჰქონდა დიდ ქართველ მწერალს სულმნათ მიხეილ ჯავახიშვილს, როდესაც რომანი **„ჯაყოს ხიზნები“** დაწერა, რითაც ქართველი საზოგადოება წინასწარ გააფრთხილა, თუ რა შეიძლება მოჰყოლოდა ქვეყანაში ან საზოგადოებაში უცხო ჯიშის შემოჭრსა. ამ რომანის მიხედვით მოგვიანებით ფილმიც გადაიღეს, სადაც ქართველებმა ინტიმური სცენებით გავიხარეთ, ხოლო რომანის არსი ვერ აღვიქვით. ალბათ დღესაც ვისაც ეს ევალება და ერის მამობაზე დებს თავს, ეს პრობლემა გათვითცნობიერებული არა აქვს და ვერც გაიგებს.

გონებას, რომელიც სარკიან საკანშია გამომწყვდეული და მხოლოდ საკუთარ თავს ხედავს, წარმოდგენა არა აქვს რა ხდება საკნის გარეთ. თუ მოახერხებს საკნიდან გამოსვლას და ცხოვრებას გარედან გადმოხედავს, ბევრ საინტერესოს გაიგებს.

გარედან დანახულ 17 მაისს, ჩვენი ცხოვრების ერთ არაჩვეულებრივ დღეს, ისე როგორც ფუტკრის სკაში შეჭრილ სხეულს, რომელმაც ააფორიაქა ფუტკრის სკა, თავისი მნიშვნელობით 9 აპრილს გავუტოლებდი. ამ დღეს გამოჩნდა ის ეროვნული მუხტი, რომელიც ჩვენს ერში დროებით მიძინებული, სპორაგადაკრული იყო და ამოხეთქა მაშინ, როდესაც ამის საშუალება მიეცა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართველი ერის სათქმელი ახალგაზრდობამ თქვა. ეს იყო გენეტიკურ კოდზე დაფუძნებული, ახალ თაობაზე გადაცემული პროგრამებით გათვალისწინებული მოქმედებები. ამ დღეს ერთ მუშტად იყო შეკრული ერი და ბერი. ანალოგიური ერთად დგომა მე ვნახე 9 აპრილს.

ხალხის ამ მოქმედებას, ბევრი უწიგნური ხალხში დაგროვილ აგრესის გამოხატვად მიიჩნევს. არადა 17 მაისის აქციის მონაწილეები არც თანამდებობას, არც ფულს ან სხვა რაიმე ანგარებას არ შეუკრებია ერთად. სინამდვილეში ეს ყველაფერი კეთდებოდა უანგაროდ, რასაც მავანი ვერ ხვდება. ეს არის ცოცხალი ორგანიზმის თვისება გადაარჩინოს გენეტიკური კოდი.

ვინ უნდა მდგარიყო ერთად? ამ დღეს ვის დაუპირისპირდა ქართველი ერი? ერთადერთი ვინც ამ დღეს გამოჩნდა იყო ადამიანის უფლებების დამცველი, რომელიც ხალხს არ აურჩევია, ისევე როგორც ხალხის არჩეული არ არის დღევანდელი პარლამენტი. დეპუტატების უმრავლესობა, რომლებიც კმაყოფილი სიფათებით აცხადებს, რომ ხალხმა მათ ნდობის მანდატი მიანიჭა, სინამდვილეში ის ნაცებთან ერთად **„ჩვენი მეგობარი“** ქვეყნების მიერ გაკეთებულ ბუდეში არის დაჩეკილ-დაფრთიანებული, რომელთაც არავითარი ეროვნული ღირსება არ გააჩნიათ. გვახსოვს შევარდნაძის ზეობის დროს გამოთქმა **„ამაზე უარესი რა იქნება“.** სწორედ რომ უარეს მდგომარეობაში ჩაგვაყენეს ნაცებმა. ამ რეჟიმის დროს ლაპარაკი კი არა სუნთქვაც კი ჭირდა. ამას მოყვა 17 მაისი და ალბათ ის ორი ავტობუსი ხალხი სინამდვილეში ცოცხალი თოჯინები არიან. მათ უკან დგას უდიდესი ძალა, რომელიც საფრთხის შემცვლელია ჩვენი არშემდგარი, მყიფე სახელმწიფოსათვის. მათ საბრძოლო არსენალშია ლოზუნგი დემოკრატიის, პიროვნების და სიტყვის თავისუფლება, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვის არათავსებადია. დიდი ილიას შეხედულებებით იქ სადაც არსებობს დაქირავებული შრომა, დაქირავებული ყოველთვის მონურ მდგომარეობაში იმყოფება, ამიტომ დიდი ილია ყოველთვის პიროვნების თავისუფლებისათვის კი არა, პიროვნების ბედნიერებაზე ზრუნავს და ის ამ ბედნიერებას ადამიანთა თავისუფალ შრომაში ხედავს. თავს ბედნიერად გრძნობს ადამიანი, თუ მას საკუთარი ოჯახი, მიწის ნაგლეჯი ან სხვა რაიმე საკუთრების საშუალება გააჩნია. ასეთი დემოკრატია ჩვენს სახელმწიფოებრიობას არ გამოადგება. ჩვენ შეგვიძლია შევთავაზოთ უკეთესი.

ჯვაროსნები ქრისტეს საფლავის განთავისუფლების ლოზუნგით შედიოდნენ და ძარცვავდნენ იმ დროისთვის მაღალგანვითარებულ ქვეყნებს – არაბულ ქვეყნებს, კომუნისტები უცხო ქვეყნების მუშებისა და გლეხების ბორკილებისაგან განთავისუფლებას ცდილობდნენ. ამას ყოველთვის თან სდევდა სისხლიანი ომები და ქვეყნის გაყოფა. ასე დაემართა კორეას, ვიეტნამს, ლაოსს, კამბოჯას (თუმცა ზოგიერთმა ჭკუა იხმარა და არ დაუშვა ქვეყნის დანაწილება). ასე დაგვემართა ჩვენც.

ეს ყველაფერი პრაქტიკაში მიღებული მეთოდებია, დიდი ახსნა და განმარტება არ ჭირდება, რომ არა ჩვენი შემთხვევაში 8 აგვისტოს მოვლენების თავისებურება, ყველა მონაწილის გამარჯვება. რუსეთმა მიიღო თავისი, ამერიკამ დაიტოვა თავისი, ჩვენმა ვარსკვლავბიჭუნამ შეიძინა მსოფლიოში აღიარებული რუსეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ მებრძოლი გმირის იმიჯი. მან ნიღაბი ჩამოხადა და მთელ მსოფლიოს დაანახა რუსეთის იმპერიალისტური ზრახვები. ყოველ შემთხვევაში ასე მიხსნიდა საზეიმო ჯაჭვში მდგომი ერთი ჩემი მეგობარი. ამას რა დიდი ექსპერიმენტი ჭირდებოდა, ეკითხათ ნებისმიერი ადამიანისათვის ან წიგნი გადაეშალათ თუ არ წაიკითხავდნენ. ღირდა კი ამდენი ტერიტორიების დაკარგვა, ხალხის თავის ქვეყანაში ლტოლვილებად ქცევა, უამრავი ახალგაზრდის სიცოცხლე. ამდენი ცოდვა რას უქადის მათ მომავალს?! რით აიხსნება სხვისი ტერიტორიის, სხვისი ქონების მითვისება, წართმევა?! რა მეთოდები და საშუალებები არსებობს და რით აიხსნება ხალთა დაპირისპირება და ომები, ამისათვის რა გენეტიკური პროგრამებს ფლობენ ადამიანები?

არსებობს სხვისი ქონების მითვისების ექვსი საშუალება, დაფუძნებული ეკონომიურ ურთიერთობებზე და ქცევის თანდაყოლილ გენეტიკურ პროგრამებზე.

***პირველი*** – თვით კეთილდღეობის წყაროს – საკვებით, ტერიტორიული მდებარეობის წიაღისეული სიმდიდრით და სხვ. დაპყრობა, შენარჩუნება. არსებობს დაპყრობილი ქონების შენარჩუნების დახვეწილი ხერხი. ეს არის დაპყრობის ფაქტი არა ერთი ინდივიდის, არამედ ჯგუფისგან, რაც გარეშე მაყურებელში ძალაუფლების მაჩვენებელი ხდება. ადამიანში ასეთი პროგრამა ადრეულ ბავშვობიდანვე შეინიშნება.

**მეორე** – არის სხვისი ქონების წართმევა ძალით, ფიზიკური უპირატესობის გამოყენებით (ძარცვა). ბავშვები ძარცვას უფრო ადრე იწყებენ ვიდრე ენას ამოიდგამენ.

**მესამე** – ქონებისა და ყველა სიკეთის უჩხუბრად წართმევა რანგით დაბლა მდგომისათვის **„დომონირების“** უფლებით. წართმევა იერარქიის დამკვიდრების ერთ-ერთი ხერხია და მრავალი სახეობა ეწევა ამ საქმიანობას. ხელქვეითი ინდივიდები არა მხოლოდ უსიტყვოდ თმობენ ყველაფერს, რითაც დომინანტი დაინტერესდება, არამედ მათი რისხვა რომ დააცხრონ, **„საკუთარი ხელით მიართმევენ და მადლობასაც უხდიან“.**

**მეოთხე** – ქონების მოტაცება, წართმევა, მოპარვა. ქურდი ამისათვის ნაირ-ნაირ ფანდებს ხმარობს. როგორც კი ქონებას ხელში ჩაიგდებენ, მირბიან, მალავენ და შეუმჩნევლად მიირთმევენ.

**მეხუთე** – ეს არის მათხოვრობა, რომელიც ყოველთვის ზევით არის მიმართული, მიმართავენ იმას, ვინც მოიტაცა ცხოვრების წყარო ან უფრო ძლიერ ინდივიდს ან რანგით თანაბარს. ადამიანებში მათხოვრობა ძლიერ არის განვითარებული, ჩვენ დღე და ღამე ვთხოულობთ ან იძულებული ვართ ვითხოვოთ.

**მეექვსე** – გაცვლა. გაცვლას აწარმოებენ ერთი და იგივე რანგის ცხოველები. ასეთი გაცვლა-გამოცვლის დროს მუდმივად იტყუებიან, იციან როგორ გააცურონ პარტნიორი. ადამიანებში გაცვლის პროგრამები ძლიერად არის განვითარებული და მისი ქვეცნობიერი მხარეა გააცუროს პარტნიორი.

რაც შეეხება ქველმოქმედებას, მეცნიერებმა ჩატარებული ცდებით გაარკვიეს – ჯოგებად მცხოვრები მაიმუნების იერარქიები სხვა მამრებს არ უნაწილებენ (ეს მნიშვნელოვანი და საყურადღებოა) საკუთარი შრომით მოპოვებულს, ისინი მხოლოდ სხვებისათვის წართმეულს არიგებენ, თანაც მხოლოდ იმას, რაც თვითონ არ სჭირდებათ. მაიმუნი იძულებულია, რისი შეჭმაც ან ყბის უკან დამალვა ვერ მოასწრო, გაანაწილოს. ასაჩუქრებენ მლიქვნელებს ან მათხოვრებს. ეს პროცედურა მოყვასზე ზრუნვა სულაც არ არის, ეს კიდევ ერთი საშუალებაა შენი იერარქიული უპირატესობა აგრძნობინო სხვას.

მატერიალური ურთიერთობების გამოსაკვლევად მეცნიერებმა მაიმუნებს ჩაკეტილი ზანდუკით სარგებლობა ასწავლეს. მაიმუნებმა სწრაფად იწყეს წართმეული ქონების შენახვა-დაგროვება და ამ ქონებას აღარავის ურიგებდდნენ. თუ თვითეული მაიმუნი მიიღებს ზანდუკს, დომინანტი ცდილობს ყველას წაართვას.

მეორე ცდა – მაიმუნებს შეასწავლეს ბერკეტის გარკვეული მოძრაობით ჟეტონის მოპოვება, რომლითაც ავტომატში შეიძლება შეიძინო გარკვეული საგნები და პროდუქტები. საზოგადოება წამში დაიყო, ზოგი ჟეტონს მოიპოვებდა, სხვები ავტომატთან მათხოვრობდნენ. დომინანტები კი ძარცვავდნენ, თანაც დომინანტებმა მყისვე მოიაზრეს, რომ უფრო ხელსაყრელია ჟეტონის წართმევა და ყბის ქვეშ დამალვა, ვიდრე მშრომელის მიერ ნაყიდი პროდუქტებისა.

**რომან კენკიშვილი,**
**სსიპ მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის თბოენერგეტიკული დანადგარების განყოფილების უფროსი,**
**ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი**

*(გაგრძელება იქნება)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# რა უთხრა ეუსებიომ ხურცილავას...



*ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი გამორჩეული ვარსკვლავი მურთაზ ხურცილავა 5 იანვარს 71 წლის გახდა. თუმცა, უამრავი თბილი სიტყვის გარდა, ფეხბურთის ფედერაციის საპატიო ვიცე-პრეზიდენტმა იუბილეზე სამწუხარო ამბავიც მოისმინა – სწორედ იმ დღეს გარდაიცვალა ლეგენდარული პორტუგალიელი თავდამსხმელი ეუსებიო... მურთაზ ხურცილავას ორჯერ უთამაშია "შავი პანტერის" წინააღმდეგ. ამიტომ ინტერვიუ სახელგანთქმულ პორტუგალიელზე ლაპარაკით დავიწყეთ:*

– მის წინააღმდეგ პირველად 1966 წელს, ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატზე ვითამაშე, როცა მესამე ადგილისთვის მატჩში პორტუგალიელებთან 1:2 დავმარცხდით. თამაშის დღეს ჟორა სიჭინავას ვუთხარი, გუშინ სიზმარში ვნახე, საჯარიმოში ხელით ვითამაშე-მეთქი... მართლაც, ტორესთან ორთაბრძოლისას ბურთი ხელზე მომხვდა და მსაჯმა პენალტი დანიშნა! ტორესი ყოფილი კალათბურთელი, თითქმის ორი მეტრი სიმაღლის თავდამსხმელი გახლდათ, მაგრამ რამდენჯერმე მაინც დავჯაბნე თავით თამაშში! ის პენალტი კი ისე განვიცადე, მეორე ტაიმში მოედნისკენ გახედვაც აღარ მინდოდა, ქართველმა ფეხბურთელებმა და ლევ იაშინმა ძლივს დამაწყნარეს... ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობა მესამე ადგილისთვის მატჩს არასერიოზულად მიუდგა და რამდენიმე სათადარიგო ფეხბურთელი ათამაშა, რადგან მეოთხე ადგილი იმ დროს ბრინჯაოს მედლის ტოლფასად მიიჩნეოდა. მეორედ ეუსებიოს წინააღმდეგ მოსკოვში, ლევ იაშინის გაცილების მატჩში ვითამაშე.

**– მაშინდელი და ამჟამინდელი ფეხბურთი ძალიან განსხვავდება?**

– წინათ ყველა გუნდში იყო რამდენიმე გამორჩეული მოთამაშე, რომელთაც თამაშის ბედის გადაწყვეტა შეეძლოთ, დღეს კი... გულშემატკივარი კონკრეტული ფეხბურთელების სანახავად მიდიოდა სტადიონზე. როგორც თეატრში მიდიან კარგი მსახიობების სანახავად, ასეა ფეხბურთშიც – მაყურებელი სტადიონზე მოთამაშემ უნდა მიიყვანოს! ასეთ ვითარებაში კი ვინ მოვა?! წინათ ფეხბურთი უფრო სანახაობრივი იყო, რადგან გამორჩეული ფეხბურთელები იყვნენ. ჩვენს დროს მთავარი პრობლემა ბილეთის შოვნა იყო. ხალხი რიგში ათენებდა, მესხის, მეტრეველის, იამანიძის, დათუნაშვილის, ბარქაიას, კოტრიკაძის, ჩოხელის, სიჭინავას თამაში რომ ენახა.

**– მაშინ სტადიონზე მაყურებლის დატევა იყო პრობლემა, ახლა – მოყვანა...**

– ვერც მოიყვან, სანამ ფეხბურთი არ გექნება! თავად მოთამაშეებისთვისაც დამთრგუნველია ცარიელი ტრიბუნების წინ თამაში. გულშემატკივარი სტიმულს გაძლევს, სხვანაირად გადიხარ სათამაშოდ... თუმცა, გამორჩეული მოთამაშეების პრობლემა მხოლოდ ქართულ ფეხბურთში არ არის. ამდენი წელიწადია, სულ ერთი და იგივე გვარები არ გვესმის?! მესი-რონალდუ, მესი-რონალდუ...

**– აღარ არიან საქართველოში გამორჩეული ფეხბურთელები?**

– ამ კითხვას ჩემზე უკეთ სტადიონების ცარიელი ტრიბუნები პასუხობენ! მოთამაშეთა ოჯახის წევრებისა და ნათესავების მეტს რომ ვერავის ნახავ ტრიბუნაზე, რაღაზეა ლაპარაკი?! წინათ ყველაფერი ქუჩის ფეხბურთით იწყებოდა. **"დინამოში"** ისე მოვხვდი, მწვრთნელი არც მენახა და არც ვიცოდი, რას ნიშნავდა (იცინის). ახლა უამრავი საფეხბურთო სკოლაა გახსნილი, მაგრამ 10 წლის ბავშვს მეტოქის მოტყუებას რომ აუკრძალავ და **"ერთი შეხებით თამაშს"** მოსთხოვ, რა გაიზრდება მისგან? ბავშვთა მწვრთნელების მხრივაც ცუდი მდგომარეობაა. მწვრთნელს ჯერ პირობა უნდა შეუქმნა და მერე მოსთხოვო. თუ სახელმწიფო არ დაეხმარა ფეხბურთს, დღეს რაც გვაქვს, მალე ისიც აღარ გვექნება! არადა, საქართველოში ფეხბურთი ძველებურად უყვართ. ნაკრები რომელიმე ძლიერ გუნდთან 0:0 ითამაშებს და მომდევნო მატჩში ტრიბუნები თითქმის ბოლომდე ივსება ხოლმე...

**– ნაკრების მწვრთნელისა და ფეხბურთელების დაპირისპირებაზე რას იტყვით?**

– ფეხბურთელის საქმე თამაშია და არა მწვრთნელის სიტყვებზე გამოკიდება. ნაკრებში შენი ქვეყნისთვის თამაშობ, ქეცბაიასთვის ხომ არა?! მოედანზე გადი და დაამტკიცე, რომ ნაკრებში თამაშის ღირსი ხარ! ყველა ქართველს ძირითადში თამაში უნდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში 11-ზე მეტი ადგილი რომ არ არის?! ქეცბაია ემოციური კაცია და, ბუნებრივია, განიცდის, როცა მისი შეგირდები შეცდომას უშვებენ, ან რეალურ საგოლე ეპიზოდს ვერ იყენებენ, მაგრამ არა მგონია, ფეხბურთელებს აგინებდეს. ბევრი მწვრთნელი გამოვიცვალეთ და კარგად ვნახეთ, რომ საქართველოს ნაკრების თავკაცობა რთული საქმეა.

**– "დინამოში" 15 წელიწადი ვითამაშე და არ მახსოვს, რომელიმე ფეხბურთელს ფულზე დაეწუწუნოსო. მართალია?**

– რაც იმ 15 წლის განმავლობაში ამიღია, ახლანდელი ფეხბურთელები ერთ კვირაში იღებენ, მაგრამ თანაგუნდელებისგან ერთხელაც არ გამიგია, ვინმეს ფული ეხსენებინოს. მხოლოდ გულშემატკივრებზე ვლაპარაკობდით – ტრიბუნები გადაჭედილი იქნება და ქომაგები არ გავაწბილოთო. ის რა ხელფასი იყო, მაგრამ ხალხისგან უზომო სიყვარულს ვგრძნობდით და ამით ვიყავით კმაყოფილი...

**– ახლა მთავარი ფული გახდა. ისეთი მოთამაშეც ბევრია, მთავარია, მსუყე ხელფასი აიღონ და სულაც არ ანაღვლებთ, ითამაშებენ თუ არა...**

– უნდა ჰქონდეთ კიდეც ფეხბურთელებს კარგი პირობები. აბა, ის არის კარგი, ქართული კლუბების უმეტესობა სულს რომ ღაფავს?! მაგრამ თუ მხოლოდ ხელფასი გაკმაყოფილებს, დიდ ფეხბურთს ვერასდროს ითამაშებ! ფეხბურთელობა თუ გინდა, თვეობითა და წლობით უნდა მოემზადო, უარი ბევრ რაღაცაზე თქვა... ეროვნული პირველობის მატჩებს ხშირად ვადევნებ თვალს და ვხედავ, რომ ფეხბურთელების უმეტესობა ყოველწლიურად განიცდის რეგრესს. არადა, პირიქით უნდა იყოს...

**– თუ ფეხბურთელები არა გვყავს, ქეცბაიას რაღას ვერჩით?**

– მხოლოდ ქეცბაიას კი არა, **სფფ-ის** პრეზიდენტის კრიტიკაც მოდად იქცა. არადა, რაც ზვიად სიჭინავამ გააკეთა, იმდენი არც ერთ მის წინამორბედს არ გაუკეთებია. ქართული გუნდები ცუდად რომ თამაშობენ, ფედერაციის პრეზიდენტის ბრალია?! კლუბების უმეტესობა კერძოა და პატრონი ყველას ჰყავს, თავის მოვალეობას კი სიჭინავა ხუთიანზე ასრულებს!

**– ზვიად სიჭინავა არჩეული არ არის, დანიშნულიაო, ამბობენ მისი ოპონენტები.**

– რას ჰქვია დანიშნული?! ზვიად სიჭინავას არც ვიცნობდი, მაგრამ როცა ზუგდიდში მისი გაკეთებული საფეხბურთო სკოლა ვნახე, დაუფიქრებლად მივეცი ხმა. რატომ ვართ დაუნახავები, რატომ არ გვიყვარს საქმის გამკეთებელი ხალხი?! სიჭინავა ფედერაციაში რომ მოვიდა, 18 მილიონი ვალი დაახვედრეს, აგური აგურზე არ იყო დადებული. დღეს კი... მოდით და ნახეთ, რამდენი გააკეთა ამ კაცმა. ფეხბურთი არ ესმისო, არც ჟოაო აველანჟი ყოფილა ფეხბურთელი, მაგრამ არ იყო ფიფას წარმატებული პრეზიდენტი?! ნუთუ ასე სასწრაფოა სიჭინავას გადადგომა? არჩევნების დროს რატომ არავინ ამბობდა, არასწორად არის არჩეულიო? ძალიანაც სწორად აირჩიეს, იქ არ ვიყავი?!

**– დეპუტატობაზე რატომ თქვით უარი?**

– ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. არც რომელიმე პარტიის წევრი ვყოფილვარ და არც დეპუტატობაა ჩემი თვითმიზანი. ხალხს ფეხბურთელი მურთაზ ხურცილავა უყვარს, არ მინდა ვინმემ და მით უმეტეს, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა იფიქროს, თითქოს მის გვერდით დეპუტატის მანდატის ხელში ჩასაგდებად ვიდექი.

*რ. შელეგია*

---

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322




## "თქვენ მოიპოვეთ არა მარტო სამღვდელოების, ბერ-მონაზვნებისა და საერო პირთა სიყვარული!" – მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მიულოცა

"მის უწმინდესობასა და უნეტარესობას, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს!

თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, ქრისტესმიერო ძმაო და უფლის საყდრის თანამწირველო!

გულითადად გილოცავთ აღსაყდრების 36-ე წლისთავს.

წინამძღვრად მსახურების მრავალი წლის განმავლობაში სახარების დაუღალავი ქადაგებით, რწმენის სიმტკიცით და დიდი ჯაფით თქვენ მოიპოვეთ არა მარტო საქართველოს წმინდა ეკლესიის სამღვდელოების, ბერ-მონაზვნებისა და საერო პირთა სიყვარული, არამედ კეთილი სახელი მთელს მართლმადიდებელ სამყაროში, რამეთუ, როგორც წმინდა წერილი მოწმობს, "მართალთა ნაყოფი სიცოცხლის ხეა, და ვინც სულს იძენს, ბრძენია" (იგავები, 11.30).

ლოცვით ვუსურვებ თქვენს უწმინდესობასა და უნეტარესობას ძალების განმტკიცებასა და უფლის შეწევნას მაღალ მსახურებაში, ხოლო თქვენს ღვთისმოსავ მრევლს – ქრისტეს რწმენაში გაძლიერებას და წარმატებებს კეთილ საქმეებში.

ქრისტესმიერი ძმური სიყვარულით

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილი
2013 წლის 25 დეკემბერი, მოსკოვი"



სახალხო მოძრაობა "სამეგრელო" და გაზეთი "ილორი" მწუხარებით იუწყებიან, რომ ჩვენს მეგობარსა და თანამებრძოლს ნუგზარ გოგუას გარდაეცვალა ძმა, ეროვნული მოძრაობის აქტიური მონაწილე, საქართველოს ლეგიტიმური ეროვნული ხელისუფლების მმართველობის პერიოდში ჩხოროწყუს პრეფექტის მოადგილე

**რამაზ გოგუა**

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

*მეგობრების სახელით* – ზაურ გახარია, ზურაბ კვარაცხელია, ტარიელ გაგნიძე, ირაკლი თოდუა, ვიქტორ ცაავა, როლანდ ჯალაღანია, კუკური ფიფია.

უკვე გამოვიდა ჟურნალ „აია"-ს მომდევნო ნომერი, რომლის მთავარი რადაქტორია ბატონი გიორგი სიჭინავა.

ჟურნალი შეგიძლიათ შეიძინოთ თბილისში, ტაშკენტის ქუჩა №25-ში, I სადარბაზო, ბინა 1.

ზუგდიდში, ფოთში, ხობში, სენაკში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, აბაშაში და მარტვილში ჟურნალის შეძენა შეგიძლიათ სახალხო მოძრაობა „სამეგრელო"-ს წარმომადგენლობაში.

ჟურნალის ფასია 4 ლარი

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი. ბაქრაძის ქუჩა №6
სარეგ. №01018002930
234-32-95

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge